

ISSN 2346-8416

# აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის წელიწადში ორჯერ

2

დეკემბერი

თბილისი

2021

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძლვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს  
მაგალითობურას  
მიერ

რედაქტორი  
მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი  
ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი  
ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი  
ირაკლი უშვერიძე



არაგვის ლიტერატურა



## **მურიდ ალ-ბარლუთი (1944-2021)**

მურიდ ალ-ბარლუთი პალესტინის მთიან სოფელ დირ ღასანაში დაიბადა. 1967 წელს, კაიროს უნი-ვერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ის რამალაში ცელარ დაბრუნდა. მხოლოდ 1997 წელს მისცეს მშობლიური ადგილების მონახულების უფლება, თუმცა საცხოვრებლად იქ მაინც ვერ გადავიდა.

2009 წელს ლონდონში მისი ერთ-ერთი კრებულის ინგლისური თარგმანის წარდგენისას<sup>1</sup> პოეტს ასეთი შეკითხვები დაუსვეს:

– პოეზია თითქოს თქვენი სახლია, არა?

– მე ოცდაათი წლის განმავლობაში სამ კონტინეტზე დაახლოებით ოცდათორმეტ სახლში / ბინაში ცცხოვრობდი. 1972 წლიდან (როცა ჩემი პირველი კრებული გამოქვეყნდა) ვცვლი პოეზის ფორმებს, მუსიკას, რადგან თავადაც ვიცვლები. ფორმას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, არ გაამარტივო რეალობა, არ იყვირო, არ გამოხვიდე მოწოდებებით, არ იყენებდე მხოლოდ შავ-თეთრ ფერებს. რეალობის გამარტივება არც იმში ვარგა, არც ბრძოლაში, არც პირად ურთიერთობებსა თუ სიყვარულში... პოეზია, რომელიც შთააგონებს, ინერბა ჩუმად, ჩურჩულით, უხმაუროდ და მხოლოდ თავისუფალი ადამიანის მიერ...

– თქვენგან მეტ პოლიტიკურ აქტივობას არ მოითხოვენ?

– კი, უნდათ, რომ უფრო მებრძოლი ვიყო, თუმცა ვთვლი, რომ ნამდვილი წინააღმდეგობა პოეზიის სილამაზეა, რადგან ცუდი ლექსი, ანტიმპერიალისტური და პატრიოტულიც კი, არაფრის მაქნისია.

– სილამაზე როგორ შემოიჭრა თქვენს განსაცდელებით სავსე ცხოვრებაში?

– ჩემი გაჭირვება არაფერია სხვა პალესტინელთა დანაკარგთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებულიც ვიყავი, დეპორტირებულიც, სახლიც დავკარგე, სამშობლოც და ახლობლებიც, არასოდეს ვყოფილვარ სუსტი, არ მიგრძნია თავი მსხვერპლად. როდესაც შინაგანად გწამს შენი პოზიციის, შენი სიმართლის, თავს ვერ იგრძნობ მსხვერპლად. თუ გაქვს სიყვარული და შეგიძლია გვერდით მდგომის თვალებში ამოკითხო აზრი; თუ ხარ პოზიტიურად განწყობილი და სიჩუმეც კი გესმის; როცა გიყვარს და შეგიძლია განიცადო, დაინახო; როცა ყურადღებიანი ხარ სხვების მიმართ, მაშინ ხედავ, რომ თავისთავად მოდის სიყვარული. ამის უნარი არ დაგვიკარგავს არც მიწის დაკარგვის შემდეგ...

ალ-ბარლუთი ამანში გარდაიცვალა. ექიმების თქმით, პალატაში მყოფს ფურცელზე დაუწერია „ავალთ ამ მთაზე“ და იქვე, სარკეზე მიუმაგრებია. ეს არის ფრაზა ლექსიდან „ორი ბიჭი ადის მთაზე“, რომელიც შესულია 2002 წელს გამოსულ კრებულში „ბრონეულის ყვავილები“.

### **ორი პიზი ადის მთაზე**

იტანჯე ცოტა,  
იტანჯე ბევრი,  
ავალთ ამ მთაზე!

გადაქანცულებს  
გვეუფლება უიმედობა,  
უთქმელი შიში, მეგობარო,

<sup>1</sup> <https://www.youtube.com/watch?v=tyRhRPgLHWA>

სასოწარკვეთა...

მშიშრები არ ვართ,  
არც გმირები,  
არამედ ორი უბრალო ბიჭი,  
უბრალოები  
გლეხი ქალის  
მივიწყებული შელოცვებივით...

მარტივები ვართ,  
როგორც წყურვილი,  
მწყემსების თვლემა...  
მარტივები ვართ,  
როგორც ისინი,  
მინდვრებიდან  
ან ვარამიდან  
შინისაკენ რომ ბრუნდებიან.  
მარტივები ვართ, უბრალოები...  
და წეტავ, ჩვენვე დაგვმსგავსებოდა  
ჩვენი ამბავიც...

ეს მთა გზა არის დაბლობისაკენ,  
დასახლებული ადგილისაკენ...

და ყველაფერი, რაც ამჟამად გსურს,  
რაც გულით მინდა,  
ახლა იწყება  
ან მთავრდება..  
უიმედობის მწვერვალი ხომ  
თვით იმედია...

იწვალე ცოტა,  
იწვალე ბევრი,  
შენ დაიტანჯე,  
რადგან იმედიც მტანჯველია,  
როცა მის გარდა არარა რჩება.  
ავალთ ამ მთაზე...

## შენ და მე<sup>2</sup>

შენ ისეთი ლამაზი ხარ,  
 როგორც თავისუფალი ქვეყანა,  
 მე ისეთი დაღლილი ვარ,  
 როგორც ოკუპირებული მიწა...  
 ნალვლიანი ხარ,  
 ვით ბრძოლაში მიტოვებული,  
 მე კი – ფხიზელი,  
 როგორც ომი გარდაუვალი...  
 სასურველი ხარ,  
 ვით თავდასხმის უცებ შეწყვეტა,  
 გულგამწყვრალი ვარ –  
 ნანგრევების ტყუილად მქექავი,  
 შენ მამაცი ხარ,  
 ვით ფრინველი გამოწრთობილი,  
 მე კი – ამაყი, მისი ჟინი გაუხედნავი...  
 შენ აღსავსე ხარ მოლოდინით მოუთმენელით,  
 როგორც მშობელი ავადმყოფისა,  
 ხოლო მე – მშვიდი,  
 მედდასავით შეურყეველი.  
 მგრძნობიარე ხარ, როგორც წვიმა გაზაფხულისა  
 და როგორც უინუვლა ალერსიანი –  
 როგორ მჭირდები, რომ გავიზარდო!  
 ჯიუტები ვართ,  
 როგორც მკაცრი შურისძიება,  
 მორჩილნი,  
 როგორც შეწყალება და პატიება,  
 შენ ძლიერი ხარ,  
 ვით სვეტები ტრიბუნალისა,  
 მე კი – ისეთი გაოცებული,  
 როგორც ნაწყენი –  
 უეცრად რაღაც რომ წაართვეს მასხრად აგდებით.  
 და ყოველ ჯერზე, როცა ვხვდებით  
 და ვსაუბრობთ შეუჩერებლად,  
 ჩვენ ვლაპარაკობთ,  
 ვით სამყაროს ადვოკატები.

<sup>2</sup> ლექსი ეძღვნება პოეტის მეუღლეს, ცნობილ ეგვიპტელ რომანისტს – რადვა აშურს (1946-2014), რომელიც კაიროს აინ შამსის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის პროფესორი იყო. ქორწინებიდან ჩედმეტი წელი მათ ერთმანეთისგან განცალკევებით გაატარეს. ამ იძულებით გაყრასაც პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა.

## პატიმარი

პატიმარმა უთხრა  
თანამესაკნეს:  
როცა გამოვალ ამ ციხიდან,  
სახლს ავიშენებ  
დიდი აივნებით გარშემორტყმულს –  
ყველა კუთხიდან რომ შეაღწიოს იქ მზის სხივებმა,  
ფანჯრები იყოს განიერი  
და ახლო-ახლო,  
ძალიან ჭრელი ფარდაგები,  
რბილი, ფაფუკი საწოლები...  
სახლს ავიშენებ წიგნებით და მუსიკით სავსეს,  
ბევრი კალმით და რვეულებით,  
სტუმრებით, კეთილსურნელებით...  
დეტალური აღწერის თანახმად,  
სახლიდან გაქცევა შესაძლებელი იქნება!

## პროგლემა არ მაქვს

ჩემს მდგომარეობას ვაკვირდები... პრობლემა არ მაქვს;  
მშვენივრად გამოვიყურები,  
გოგონებს თეთრი ლექსებით ვხიბლავ,  
კარგი სათვალე მიკეთია,  
ჩემი სხეულის ტემპერატურა ზუსტად ოცდაჩვიდმეტია,  
გახამებული პერანგი მმოსავს,  
ფეხსაცმელები არ მიჭერს,  
პრობლემა არ მაქვს.

საკმარისად თავისუფალი ვარ,  
ენა ჯერ არ დამიდუმებია,  
ჩემ წინააღმდეგ განაჩენი არავის გამოუტანია,  
სამსახურიდან არავის გავუგდივარ,  
უფლება მაქვს, მოვინახულო დაპატიმრებული ახლობლები,  
ზოგიერთ ქვეყანაში ზოგი მათგანის საფლავის ნახვაც კი შემიძლია,  
პრობლემა არ მაქვს.

მე არ მაოცებს, ჩემმა მეგობარმა  
თავზე რქები რომ ამოიზარდა.  
მომწონს, ასე ოსტატურად რომ იმალავს კუდს

თავისივე ტანსაცმლის მიღმა.  
და კიდევ, მისი ბრჭყალების სიმშვიდე მხიბლავს.  
შეიძლება დამღებოს, მომკლას, მაგრამ შევუნდობ,  
ის ხომ ჩემი მეგობარია.  
ხანდახან ტკივილიც უნდა მომანიჭოს,  
პრობლემა არ მაქვს.

ტელევიზიის დიქტორის ღიმილი  
აღარ მხდის ცუდად.  
მივეჩვიე ხაკის, რომელიც სჭარბობს ყველა ფერს  
ღამით და დღისით.  
ამიტომ  
პირადობის დამადასტურებელ საბუთებს ვიახლებ  
ადრეული დილის საათებშიც კი.  
პრობლემა არ მაქვს.

ჩემი ოცნებები გუშინ ღამის მატარებელს გაჰყვა.  
არ ვიცოდი, როგორ დავშვიდობებოდი.  
მომივიდა ამბავი, რომ მატარებელი  
უნაყოფო დაბლობზე აყირავდა,  
იქ არაფერი აღარ ამოდის  
(მემანქანემ თავს უშველა).  
ვადიდე უფალი. ბევრი სულაც არ მიტირია.  
პატარა მაჯლაჯუნებით გარშემორტყმული,  
ღმერთის შეწევნით,  
მათგან დიდ ოცნებებს გამოვზრდი.  
პრობლემა არ მაქვს.

თვალს ვავლებ ჩემს მდგომარეობას  
დაბადებიდან დღევანდელ დღემდე  
და მაგონდება იმედდაკარგულს:  
სიცოცხლე არის სიკვდილის შემდეგ!  
პრობლემა არ მაქვს.

კითხვა მაქვს ერთი:  
უფალო ღმერთო,  
არის ცხოვრება ჩემ სიკვდილამდე?!

არაბულიდან თარგმნა  
ნინო დოლიძემ

## ჰუდა ბარაქათი (დაიპ. 1952წ.)

ჰუდა ბარაქათი, თანამედროვე ლიბანელი მწერალი ქალი, დაიბადა ლიბანში, მარონიტულ სოფელ ბძარეში, რომლის სახელიც მსოფლიომ ლიბანურ-ამერიკული მაჰჯარის სკოლის ყველაზე ცნობილი სახის — ჯიბრან ხალილ ჯიბრანის — ბიოგრაფიიდან გაიცნო, ჯიბრანიც ამ სოფლიდან იყო ნარმოშობით.

1989 წლიდან ჰუდა ბარაქათიპარიზში ცხოვრობს და საქმიანობს, წერს რომანებს ლიბანისა და ზოგადად, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე. ჰუდა ბარაქათის რომანები მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი, რამაც მწერალს საერთაშორისო ცნობადობა და აღიარება მოუტანა. 2001 წელს მწერალს მიღებული აქვს ნაჯიბ მაჰფუზის მედალი ლიტერატურაში, 2002 წელს მას მიენიჭა საფრანგეთის მთავრობის ჯილდო ხელოვნებასა და ლიტერატურაში, 2008 წელს კი— დამსახურების ორდენი.

ჰუდა ბარაქათის 2018 წელს გამოცემულმა რომანმა „დამეული ფოსტა“ 2019 წელს მიიღო არაბული ლიტერატურის საერთაშორისო ჯილდო, არაბული ბუკერის პრემია. რომანი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რამდენიმე წერილისგან შედგება. ამ წერილების ავტორები, ემიგრანტი არაბები, ერთმანეთს არ იცნობენ, ისინი ერთმანეთის წერილებს სრულიად შემთხვევით პოულობენ,

## ნაცყვეტები რომანიდან „ღამეული ფოსტა“

### წერილი

ჩემო ძვირფასო!..

რაკი წერილები ასე უნდა იწყებოდეს, მაშ ასე, ჩემო ძვირფასო...

მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთი წერილიც კი არ დამიწერია. არის ერთი წარმოსახვითი წერილი, რომელიც მრავალი წერილია, თავში მიტრიალებს, მაგრამ ფურცელზე არ გადამიტანია. ესეც არ იყოს, დედაჩემს კითხვა არ ეხერხება და, რომც მიმენერა, ალბათ, სოფლის რომელიმე განათლებულ პირთან წაიღებდა წასაკითხად. მერე კიდევ, ეს რა უბედურება მოხდა! შევიტყვე, მთელი სოფელი წყლის ქვეშ მოქცეულა კაშხლის გადმონგრევის შემდეგ. არ ვიცი, სოფლის მცხოვრები სად წავიდნენ, ან სად წაიყვანეს... ახალი ტექნოლოგით აგებული კაშხალი იყო, პრეზიდენტმა ააშენებინა გაუდაბნოებული მიწების მოსარწყავად. არ მახსოვს, მგონი, მოგიყევი კაშხლის ამბავი. ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, არსებითი მაინც ის წერილია, რომელიც თავში მიტრიალებს. დედაჩემისთვის იმ მო-

მენტზე მინდოდა მიმენერა, მატარებელში რომ ჩამსვა, მარტო, რვა თუ ცხრა წლისა. ხელში პურის კვერი და ორი მოხარშული კვერცხი მომცა და მითხრა, რომ დედაქალაქში ბიძაჩემი მელოდებოდა; რომ უნდა მესწავლა, განათლება მიმეღო, რადგან ჩემს ძმებზე ნიჭიერი ვიყავი. მითხრა, ნუ გეშინია და არ იტიროო.

უნდა ვთქვა, რომ მატარებლის დაძვრის მომენტში შეშინებული ვიყავი, დამფრთხალი, თავს მარტოსულად და გარიყულად? ვგრძნობდი, უკარება და აგრესიული ველურივით. ფარულ სურვილს ავეტანე, ვინმე უცნობისთვის რამე მევნო, უმიზეზოდ, გაუმართლებლად, – ვინმესთვის, ვის-თანაც არაფერი მაკავშირებდა; ჭკუის დაუტანებლად მიმეცა გზა ჩემი სურვილების-თვის, რადგან დროდადრო მეჩვენებოდა, რომ გონება ჩემი უპირველესი მტერი იყო...

მატარებელი როგორც კი დაიძრა, ისე-თი სიბნელე ჩამოწვა, როგორიც ზამთრობით იცის მზის ჩასვლისას, მაგრამ არც შემ-

შინებია და არც მიტირია, ახლად მოხარშული კვერცხის უსიამო სუნში ჩავიძირე. პურის კვერის მოსროლა მინდოდა და ვერ გავბედე. ჯერ ისევ რიურაუი დილა იყო, ისეთი ადრიანი, რომ დედაჩემს ძალით მოუნია ჩემი გაღვიძება. მატარებელი კი ამ ბინდუნდში ისე მიდიოდა, როგორც უსასრულო, გრძელ გვირაბში.

ეს მწუხრის ბინდი ჩამრჩა თავში მიუხედავად იმისა, რომ დღის საათები იყო. ეს ის ბურუსი იყო, რომელშიც მზე ეფარება ხოლმე თვალს ჰორიზონტზე, სიბნელე, რომელშიც ყველა ბავშვი ტირის და ყველა ჭეშმარიტი რომანტიკოსი სევდას ეძლევა — იპ-სან აბდელ-კუდდუსით<sup>1</sup> დაწყებული, რილკეთი დამთავრებული და აუხსნელი მელანქოლია შემოაწვება ხოლმე ყველა მშვენიერ, ნატიფ ქმნილებას. ბავშვთა ფსიქოლოგი ამაზე წერს: დედებო, ნუ შეშფოთდებით, ექვს საათზე ბავშვს თუ ტირილი აუტყდება! ეს მხოლოდ ტესტია. ბავშვმა ინსტინქტურად იცის, რომ მარტო, დედისგან მიტოვებული, უეჭველად მოკვდება და მისი ტირილი ძახილია დედის არსებობაში და-სარწმუნებლად — რომ მშობელი აქა და, მაშასადამე, თავადაც არ მოკვდება.

დედაჩემი კი იმ მომენტში იქ არ ყოფილა.

რაკი რომანტიკოსი ქალი ხარ და მზის ჩასვლისას ნაღველი შემოგაწვება ხოლმე, რაკი ფურცელზე დაწერილი წერილები გიყვარს, ფოსტალიონს მხარზე გადაკიდებული ტყავის დიდი ჩანთით პატარა საფოსტო ყუთში ჩასაგდებად რომ მოაქვს, შენ მოგწერ ამ წერილს და, ალბათ, ეს ერთადერთი წერილი იქნება ჩემს ცხოვრებაში, რომელიც კი გამიგზავნია ან მიმიღია. საზიზღარი თოვლ-ჭყვაპი გამთენიდან არ წყდება, ამიტომ შინ დავრჩები, ამ ამინდში გარეთ არ გავალ და შენ მოგწერ წერილს.

ახლა კი უნდა მოვნახო სათქმელი, რითაც ხაზებსა და თეთრ ფურცელს შევავსებ.

რა შემიძლია შეგატყობინო ახალი, როცა ჩვენი ბოლო შეხვედრიდან დიდი დრო არ გასულა?!.. ან, საკითხავია, ეგებ დიდმა დრომაც განვლო!.. მერე კიდევ, ახალი ამბების თხრობის ნიჭი არ გამაჩნია. ვერასოდეს ვერავის ვატყობინებ რამე სასარგებლოს. ადამიანებს სხვების მოსმენისკენ ხომ მხოლოდ ცნობისმოყვარეობა უბიძგებთ. მე ბევრი ლაპარაკი ვიცი; იმდენ ხანს ვლაპარაკობ გაუთავებლად, სანამ მსმენელის თვალში ინტერესს ვხედავ — გაიგოს ამაღელვებელი ახალი ამბავი, ჩემს ან ვინმე სხვის ცხოვრებას რომ უკავშირდება და ჩვენი შეთანხმებით მის ზურგსუკან რომ ვიღაპარაკებთ, — ანუ გაიგოს ჭორი, თუმცა ჩვენ მას სხვა სახელებს ვარქმევთ. შენ კი, ალბათ, მოგხსენება, რომ მე მხოლოდ იმას ვლაპარაკობ, რაც ენის წვერზე მომადგება. დავინახავ ჩემ წინ, კაფეში, ხის სკამზე მჯდარ კაცს და თავს ვერ ვიკავებ, ხის მრეწველობის ისტორიაზე არ ვიქაქანო — ხის სახეობათა განსხვავებაზე, მათ გამოყენებაზე; გადავდივარ იმ ზარალის შესახებ საუბარზე, რაც ჩვენი პლანეტის ტყეებს ადგება, როგორ აჩანაგებს მათ და აუდაბნოებს ჰამბურგერების სიყვარული, ველური კაპიტალის ტირანია და თვითნებობა, გიგანტური ტრანსნაციონალური კომპანიები, სახელმწიფოებსა და საზღვრებს რომ არ ცნობენ და ა.შ. თუ ჩემ წინ კაცი პლასტმასის სკამზე ზის, მაშინ პლასტმასის სამყაროში შევაბიჯებ, მისი, როგორც ნავთობპროდუქტის, შექმნის ისტორიიდან მოყოლებული, ყველაზე თანამედროვე ქირურგიულ საოპერაციო დარბაზებში, კერძოდ, მოლეკულურ მედიცინაში პლასტმასის უახლესი გამოყენებით დამთავრებული, და ა.შ.

ბევრი რამ ვისწავლე მას შემდეგ, რაც მატარებლის სადგური უკან მოვიტოვე. ნიჭიერ, გონიერ თავში, — როგორც დედაჩემი ეძახდა, — ხარბად, განუწყვეტლივ და მუყაითად ვიჭედავდი ბევრ რამეს, სანამ ყველა-

<sup>1</sup> იპ-სან აბდელ-კუდდუსი (1919-1990) — ეგვიპტელი მწერალი, რომანისტი, ჟურნალისტი, ეგვიპტური გაზეთების: „ალ-ახბარისა“ და „ალ-აპრამის“ რედაქტორი. ცნობილია იმითაც, რომ ბევრი მისი რომანის საფუძველზე გადაღებულია ფილმი.

ფერსა და ყველა სფეროში ინფორმაციის შეკრება ღრმა სიცარიელების ამოსავსებ გადაუდებელ მოთხოვნილებად არ მექცა - ბულემიასა და ნარკო თუ ალკოჰოლდამოკი-დებულებასავით. ალარც მოტივი, არც მიზე-ზი და მიზანი ალარ მახსოვდა, თუ რატომ ვაკეთებდი ამას. მაშ, მოდი, ამ ცოდნის სა-ცავს მსმენელთა გასაოგნებლად მაინც გა-მოვიყენებ, გაკვირვებისგან დასადუმებლად, ან ქალების განსაცვიფრებლად, ან თუნდაც შენს გასაოცებლად, რომ შენს გონებას წამი არ დავუტოვო თავისუფალი იმის შიშით, რომ არ იფიქრო, არ იაზროვნო. არც მინდა და არც მაინტერესებს, ვიცოდე შენზე იმაზე მეტი, რაც ერთი შეხედვისთანავე, შენი ნახ-ვის პირველივე წუთში შევიტყვე და არ ვჩუმდები იმიტომ, რომ არ მინდა, ღია სარ-კმელი დაგიტოვო თბილი და ახლობლური ურთიერთობისთვის. ინტიმური ურთიერთო-ბა ხომ უსიამო მდგომარეობაა – დაბალ ხმაზე აღსარებისმაგარი საუბარი ერთმა-ნეთს მიახლოებული თავებით საკუთარი იზოლაციის დასაძლევად და მგრძნობიარე არსებათა გულებიდან მარტობის განსა-დევნად... მახეა, ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობით, ანუ მინაში ღრმად ჩამალუ-ლი ორმო, როგორც ამას განმარტებითი ლექსიკონი გვეუბნება. წარმოიდგინე!..

მე კი, კარგად მოგეხსენება, არაფერი მსგავსი არ გადამხდენია, თუ არ ჩავთვლით, მაგალითად, იმ სანტექნიკოსის მიერ ჩემს გაბრაზებას, დრო რომ დამინიშნა, მთელი დღე მალოდინა და არ მოვიდა. მართალი რომ გითხრა, გამრთობი არ ვარ, ვერც შენ გაგამხიარულებ. ვხედავ, რომ უმნიშვნელო, შეუმჩნეველ ამბებს გიმეორებ, ყელში რომ გაქვს ამოსული და მობეზრებული ამდენი გამეორებისგან. ისლა დაგრჩენია, დამალო და არ შეიმჩნიო, რომ მობეზრდა მათი გამე-ორება. მე კი ისლა დამრჩენია, დავმალო, რომ ვიცი, როგორი მობეზრებული გაქვს მათი ხშირი მოსმენა, რადგან, თუ შენს გან-ზრას გაღიზიანებას შევუდგები, ამით მიგა-ნიშნებ, რომ სხვას ვერაფერს იპოვი ჩემთან და თუ მეტი არაფრის ცოდნა არა მაქვს, მაშ, რატომ დარჩები ჩემთან?! რა უნდა იპოვო ჩემში და ჩემთან?..

ვიცი, რომ საშუალო შესახედაობის კა-ცი ვარ; შესაძლოა, ცოტა ნაკლებიც. ისეც ხდება, რომ ცოტა გაუზრდელიც ვარ ხოლ-მე, ან, ასე ვთქვათ, უტაქტო. მაგალითად, როცა ბოლო მომენტში გირეკავ, რათა მო-გიბოდიშო და პაემანი გავაუქმო, გეუბნები, რომ ძილი მერევა და გარეთ გამოსვლის სურვილი არ მაქვს; თან არც ჩემთან მოსას-ვლელად გეპატიურები მაშინ, როცა დროის ჩემეული ზუსტი გამოთვლით შენ უკვე ჩაც-მული და გამზადებული უნდა იყო ამ დროს. გიბოდიშებ და თან მძიმედ ვამთქნარებ. სა-ტელეფონო საუბარს ისე ვამთავრებ, რომ ახალ პაემანს არ ვნიშნავთ. საკითხავია, რა-ტომ არ მიმატოვებ?..

ყოველგვარი ანგარიშსწორების, კიც-ხვისა და დამუნათების გარეშე, დიდსულოვ-ნად მოდიხარ შემდეგ პაემანზე, ორიოდ მსუბუქი კოცნის შემდეგ თავს თავთან მო-მიახლოებ, თვალებში ჩამცქერი ყურადღე-ბით, დაშინებულ მზერას არ მაცილებ და მეკითხები: „როგორ ხარ?“ თითქოს ამით ცდუნების კარს ხსნი და მეც პასუხი მზად მაქვს, რომ უკანასნელ ხანს კარგად არ მძი-ნავს; ამას კი იმიტომ ვამბობ, რომ მერე მშვენიერი საათი გავატაროთ ძილსა და უძილობაზე საუბარში, სიზმრის საიდუმლო-ებათა და ცხადის წარმოსახვათა შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში; თუმცა მალე-ვე ვამჩნევ, რომ მობეზრებისგან თავბრუს-ხვევა გეწყება იმ ნახშირორჟანგით, რომელ-საც პირიდან ვუშვებ დაჟინებით ლაპარაკი-სას. რაღაც სხვა გინდა. გინდა, შემოგჩიო-დე, რა არ მაძინებს. უძილობა მხოლოდ მსუბუქი ნაპრალია, შენ თუ მასში შემოაღ-ნიე, ამან შეიძლება იძულებული გამხადოს, გული გადაგიშალო. რაში გჭირდება მთელი ეს თამაში?.. ეს იმ დროს, როცა შენდამი ჩემს ძლიერ სიყვარულს ყოველგვარი ძა-ლისხმევის გარეშე ხედავ!.. ხედავ, როგორ მასხამს ოფლი და მძიმედ ვსუნთქავ, როცა მიახლოვდები. შენი ყელის არომატს პატარა ცხოველივით შევიყნოსავ. შენი მანათობელი სილამაზე მწვავს. მე სულ არ გჭირდები იმისთვის, რომ იცოდე, როგორი სანადელი და ვნებისალმდვრელი ხარ! ისიც კმარა შენ-თვის, ამ წადილს კაცების თვალებში რომ

ხედავ. რასაკვირველია, მშვენივრად იცი და დარწმუნებული ხარ ამაში, ამიტომაც ხარ ჩემთან ყოველთვის მიმტევებელი. ვინ არის შენსავით აუღელვებელი, დაუეჭვებელი! ამიტომაც მაშინვე გაგერიდები ხოლმე, როგორც კი დამენახვები თვითკმაყოფილი და მეტად ამპარტავანი. თუ საწოლში ვართ, ნიგნს დავწვდები ხოლმე, ან ვინმე ლამაზ ქალს გახსენებ, რომელსაც ერთად შევხვედრივართ, რათა თვალი ჩაგიკრა, თითქოს ჩემი ძმაკაცი იყო და აგდებულად გელაპარაკო ლამაზმანთა ცდუნებისა და მახეში გაბმის ჩემს უნარებზე. შენც ჩემთან ერთად იცინი ხუმრობით და არა ბრაზით, ოდნავადაც კი არ ლიზიანდები, შემდეგ გადიხარ და მტოვებ.

სინანული არაფრის მარგებელია. და-მეხმარე! ცოტა მოკრძალებული უნდა იყო, მაგრამ არც თვითდამცირებამდე მორიდებული!.. მხოლოდ ნიშანი მომეცი, რომ გიყვარვარ და ჩემზე ოდნავ მაინც ხარ მოჯაჭვული. არაა საჭირო, შეგახსენო, რომ ოჯახის გარეშე გავიზარდე. მამაჩემი ჩემთვის დაკარგულია. ნაჩქარევად, დაუფიქრებლად დამეკარგა. თითქოს იმავე ქალმა მოისროლაო მატარებლის ფანჯრიდან სწორედ იმ დროს, როცა მე შიგ შემაგდო. არ ვიცი, როგორ უყვართ კაცებს ქალები. ჩემს სოფელში, გადმონგრეულმა კაშხალმა რომ წალეკა, არ ყოფილან ქალები, რომელთაც უყვართ ან რომლებიც უყვართ. იქ მხოლოდ უსქესო არსებანი იყვნენ, ან მე ვიყავი იმ ასაკში, როცა ჯერ სქესის არსებობა არ იციან., მუდმივი შიმშილი სირცხვილსა და უხერხულობაში მამყოფებდა. მხოლოდ იმას ვცდილობდი, რომ დამემალა და შემენილბა ეს გრძნობა და მხოლოდ გაკვეთილზე მიმავალს მავიწყდებოდა იგი. სახლში თუ ქუჩაში მუდამ ათობით ბავშვი ტრიალებდა ჩემ გარშემო, ბუზებივით გუნდ-გუნდად ირეოდნენ, ხან მწარე ბზიკებისა და კრაზანების გუნდივით, უკეთეს შემთხვევაში, მფრინავი ტარაკნებივით და გასაქცევი არსად იყო. მამრობითი თუ მდედრობითი სქესის გარჩევისა და მსგავსი ფუფუნების საშუალება სადიყო!..

ცოტა რამ თუ მახსოვს იმ ადგილისა

და მის მკვიდრთა შესახებ. გულისამრევი და საზიზლარია. სიზმრებშიც კი კოშმარებად მევლინება. ეს მუნით კი არა, კეთრით შეჭმული ადგილებია, რომლებიც ისე იშლებიან ნაწილებად და ცვივიან მეხსიერებიდან, როგორც კეთროვანთა თითები. გამომხმარ-გამოფიტული და სილატაკით დაავადებული ადგილები, რომელთა განკურნების დრომ დიდი ხანია, ჩაიარა. რამდენსაც წავიკითხავ ხოლმე ბავშვობაში დაბრუნების ბედნიერებაზე, მის მიერ სულში დატოვებულ სიტყბოებასა და სინაზეზე, მონატრებაზე, შეცბუნება მიპყრობს. ნესტოებს ტალახში აზელილი ნეხვის სუნი მივსებს, თვალზე ბინდად მეკვრის მტვერი, მუდმივ წებოვან წირპლში არეული, რომლის მოცილება, ცოტა ხნით მაინც, ერთი-ორი საათით, ქუთუთოების წესიერად გასახსნელად, ბევრ წყალს ითხოვდა, ჩვენ რომ არ გვეონდა. შემდეგ ისევ ბუზები ბრუნდებიან გუნდ-გუნდად და თითქოს ბრჭყალებით მესხმიან თავს, სილაც კი არ აფრთხობთ, ისე არიან მოჩვეულები. აბა, ამის გაგება გინდოდა ჩემს ბავშვობაზე?!.. წლებზე, რომლებზეც გასწავლეს, რომ ზრდასრული პიროვნების საძირკველია და აუცილებლად ბედნიერი საწყისების ხანა?!..

კვლავ ჩემს უძილობას უბრუნდები, რათა ის შანსი გამოიყენო, რომელიც მოგეცა. ნუთუ სულ ესაა, რასაც მივაღწევ და მივიღებ შენგან?! – „ისევ ცუდად გძინავს? ჩემი რჩევა თუ გამოიყენე და დალიე ხმელი ბალახის ნაყენი, მე რომ გასწავლე,?“ შეყვარებულთა უძილობაზე რატომ არ გადამიკრავ სიტყვას, მაგალითად? განა ამას არ გულისხმობ? მაშ კარგი! გუშინ უძილობის სხვა მიზეზი მქონდა, დღეს კი სხვა რამ არ მაძინებს.

ან უნდა ვიცრუო, რომ თავი ავარიდო რამე ინტიმურის აღიარებას და მაშინ შენ კიდევ უფრო მეტად ჩამაცივდები; ან ტყუილისგან თავი შევიკავო და ვთქვა, რომ მშფოთვარე და ცვალებადი კაცი ვარ და შენც მაშინათვე აენთები ჩემს საშველად და დასახმარებლად; ან კიდევ გადავიფიქრო და აღარ ვისურვო, რომ ჩემს უძილობას მოაპყრო ყურადღება.

რატომ არ შეიძლება, შენ იყო ჩემი უძილობის მიზეზი?! მაგალითად, რატომ არ ცდილობ, შენთან დამაბრუნო, გამიფანტო სხვა ქალით გატაცება, ჩემს თვალებს ძილს რომ უფრთხობს?..

გულწრფელად რომ ვთქვა, უკვე აუტანელია ჩემთვის, ყველაფრის მნიშვნელობას რომ ეძიებ. შენი წაკითხული წიგნების ამბებს დაემსგავსე, სადაც დასაწყისია, ძირითადი ტექსტი და დასასრული – რკინის სამკუთხა ლოგიკა. საშიში გახდი შენი გონება-გამჭრიახობითა და მცდელობებით, შემოაღწიო ჩემში და სააშკარაოზე გამოიტანო ჩემი დაფარული. ამას იმ მონადირის სიამოვნებით აკეთებ, რომელიც ნანადირევის გამოშეიგვნას შესდგომია, გამარჯვებული შემართავს იარაღს, დანას მუცელზე ქვემოდან ამოუსვამს მსხვერპლს მანამ, სანამ მისი გული ცემას შეწყვეტდეს, მსუბუქი ორთქლი ჯერ ისევ რომ ამოსდის დალებული ხახიდან.

რასაკვირველია, ვაჭარბებ ისევე, როგორც შენ გადამეტებული სერიოზულობით იღებ ჩემს ნათქვამს, როგორც მტკიცებულებას – სასამართლოებში და ეს იმიტომ, რომ ერთ დღეს გითხარი, ჩემთვის განსაკუთრებული და ერთადერთი ხარ-მეთქი! ნებისმიერი სხვა, ნაკლებმიხვედრილი ქალი ჩემს სიტყვებს მდარე, ბანალურ მამაკაცურ ცდუნებად მიიჩნევდა და ყურიდან ყურში გაატარებდა. მართალია, ერთხელ ისიც გითხარი, რომ შენით გატაცებული ვარ. კეთილი, მაგრამ განა მანამდე კაცი არ მოხიბლულა შენით?! თითქოს მე ერთადერთი კაცი ვიყავი ამქვეყნად!.. მზერა დახარე და კილუცად და უხერხულად გაიღიმე, მაგრამ თავად არ გითქვამს, რომ შენც მოხიბლული იყავი ჩემით. შემდეგ... შემდეგ დაიწყე ლოდინი, რომ ამბავი დაიწყებოდა, რამე ამბავი!.. რა ამბავს ელოდი, ჩემო გოგონი?!. განა ეს აღიარება საკმარისი არ იყო?! თვით გამჭრიახ ჰასანსაც<sup>1</sup> კი ახსნა დასჭირდა, რა იყო საჭირო დედოფალ სით ალ-ჰუსნის გულის მოსანადირებლად. ამის შემდეგ ჰატარა

თევზმა, ნაწლავში ძვირფასი ქვა რომ ჰქონდა, მის კალთაში ისკუპა. ნუთუ მეც სათევზაოდ წავიდე?!.. თუ გინდა, რომ ფარიდ ალ-ატრაშივით<sup>2</sup> გიმღერო?..

რა სამწუხარო გაუგებრობაა!..

მიიღე გადაწყვეტილება და მომეცი საშუალება, მცირედი დეტალებით აგიხსნა, საით წამიყვანა იმ სოფლის მატარებელმა. იმას ვგულისხმობ, თუ როგორ და რა სწრაფად დავივინებ ქალი, რომელმაც იმ მატარებელში ჩამსვა. ეს რომ არა, დავრჩებოდი იმ ვაგონში, რომელიც სადღაც შორს, ჩემთვის უცნობ ადგილას გამაქროლებდა. მაშინათვე დავივინებ ის ქალი და მანაც დამივინება. ერთხელაც არ ჩამოსულა ჩემს სანახავად. ალბათ, იმიტომ, რომ მთლიანად სწავლა-განათლებაში ჩავრთულიყვავი. მისმა გაუნათლებლობამ და ჩამორჩენილობამ მხოლოდ მოხარშული კვერცხის სუნი და იმ ბერები გვირაბის მოგონება დამიტოვა. ჩემ წინ სხვა ქალებს შორის რომ დაესვათ, მის ამოცნობას ნამდვილად ვერ შევძლებდი. იმ ქალმა გარდატეხა შეიტანა ჩემს ცხოვრებაში და მაიძულა, მეხეტიალა ალაპის ვრცელ სამყაროში, სადაც ყველა მცხოვრები უცხო იყო, – უცხო, ყარიბი და ობოლი. არასდროს მსმენია, რომ მას ჩემი მოძებნა ეცადა. მხოლოდ მაშინ, როცა ის მოკვდა, წარმოდგენა არა მაქვს, როგორ, მაგრამ ჩემი ძმებიდან ერთ-ერთმა იპოვა ჩემი ტელეფონის ნომერი, დამირეკა და მითხრა, შენი ძმა ვარო, ესა და ეს. ახლა აღარ მახსოვს, რომელი იყო. შემდეგ მითხრა, დედაშენი გარდაიცვალა. მგონი, ვუპასუხე, რაც მას დააკლდა, ის წლები თქვენ შეგმატებოდეთ-მეთქი, ან რამე მსგავსი... შემდეგ მძვინვარე განრისებამ წამომიარა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რატომ დამირეკა-მეთქი, რა მიზანი ჰქონდა ჩემთვის ამ ამბის შეტყობინებას, მათ ხომ მანამდე ერთხელაც არ დაურეკავთ, მაგალითად, ჩემს მოსაკითხად.

დედაჩემი ავადმყოფ ქათამზე ზრუნავდა. მთელი დღე თან დაატარებდა, მამლების

<sup>1</sup> გამჭრიახი ჰასანი — არაბული ფოლკლორული პერსონაჟი.

<sup>2</sup> ფარიდ ალ-ატრაში (1910-1974) სირიელ-ეგვიპტელი კომპოზიტორი, მომღერალი, ‘უდზე ვირტუოზულად დაკვრელი, მსახიობი.

დაკორტნისგან რომ გადაერჩინა. მარცვალს ხელით აჭმევდა და გამომჯობინებამდე არ ტოვებდა. ლოცულობდა ცხვრისთვის, რომელსაც მშობიარობა უჭირდა. მის სიახლოვეს რჩებოდა, კისერს უზელდა, უძღეროდა. შემდეგ ზალარიდებით<sup>1</sup> სიხარულის ყიუინას დასცემდა, როცა დაინახავდა, ბატყანი მომყოლში როგორ ბრუნავდა. დამწუხრებული ტიროდა დედის ძუძუს მოცილებული ციკნების კიკინის ხმაზე... ოღონდ არა ჩემ გამო!.. მრავალი დღის განმავლობაში ჩემვენ ერთხელაც არ გამოუხედავს. ცხელ წყალს რომ გადამავლებდა თავზე, თუ დავიჩივლებდი, დამყვიროდა. მე არანაირი სარგებელი არ მომქონდა – არც კვერცხი, არც რძე, არც ხორცი... მხოლოდ პირდაღებული მშიერი მუცელი ვიყავი. მერე მომიშორა თავიდან და ისეთ ადგილას გამიშვა, რომლის შესახებ არაფერი იცოდა...

ამრიგად, მოკვდა და შურისძიების საშუალება აღარ დამიტოვა, – ანგარიშსწორების საშუალება. აზრი აღარ აქვს, დავუბრუნდე მასზე ფიქრს. ეს ისედაც მხოლოდ ჩემს ღამეულ კოშმარებში ხდებოდა. კოშმარულ ფორიაქში ვნახულობდი იოლ გზას, გამეგებინებინა მისთვის, როგორ ჩაქრა და ჩაკვდა ჩემს თავში ყველა აქტიური ოქსი-

ტოცინის<sup>2</sup> უჯრედი. ვუხსნიდი, რომ ექიმები აქ ამ ნივთიერებას „შემაკავშირებელ მოლეკულას“ უწოდებენ, რადგან შემეცნების პროცესში ისაა განმსაზღვრელი; რომ ჩემი ძმებისგან გამორჩეულ და განსხვავებულ ჩემს ტვინში რიგი უბნებია, რომლებიც, რომ გადავიღოთ, აღმოჩნდება, რომ ჩამქრალია, „ელექტროენერგია“ არ მიეწოდებათ. ეს სწორედ ის უბნებია, შიშს, დეპრესიას, ძალადობისა და მიტოვებულობის განცდას რომ კურნავენ და შველიან...

ერთ წიგნში წავიკითხე, როგორ ჭამენ დედები თავიანთ მამრ ნაშიერებს მათზე ძლიერი მიჯაჭვულობის გამო; როგორ ყლაპავს დედა ჩვილს და იბრუნებს მუცელში, რადგან იცის, რომ მის გარდა სხვასთან ყველასთან მისი მამრი ნაშიერი უბედური იქნება, ამიტომაც იქ აბრუნებს, სადაც უსაზღვრო ბედნიერებაა, – რასაც სხვა ნეტარება არ და ვერ შეედრება. დედა, რომლის შიგნეულობა მხოლოდ ნაშიერის მასკულინურობით საზრდოობს და ნაყრდება, მსხვერპლშეწირვის რიტუალს ატარებს საყვარელ გვამზე. ესაა თავად სიყვარული, რომელიც შთანთქავს ცხედრებსაც კი!..

დედაჩემმა სოფლის მატარებელში ისე მომისროლა, როგორც ნაგვის ტომარა.

## ცერილი

ჩემო საყვარელო ძმაო,  
ვიფიქრე, მომენტერა შენთვის, რადგან  
რაც შენ იცი, სიმართლე ის გგონია. გარ-  
კვეულწილად მართალი ხარ, მაგრამ, სინამ-  
დვილები, ჭეშმარიტება ის როდია, რისიც  
შენ გჯერა. ყველა ადამიანს თავისი საიდუმ-  
ლოებები აქვს. შენ უნდა დამეხმარო, რად-  
გან ეს ორივეს ინტერესებშია. ბევრი დრო

არ მაქვს. თვითმფრინავის დაშვების მოლო-  
დინში ვართ, რადგან იმ თვითმფრინავს და-  
აგვიანდა აფრენა, აეროპორტის ტერიტორი-  
აზე დასაჯდომი ადგილი რომ უნდა დაეთმო  
ჩვენი თვითმფრინავისთვის. იქიდან მგზავრი  
ჩამოსვეს, რომელიც უკვე აფრენის შემდეგ  
დააკავეს. ჰაერში ასული თვითმფრინავი  
უკან დააბრუნეს და ისევ აეროპორტში დას-

<sup>1</sup> ზაღარიდები – არაბი ქალების ყურისწამლები, გამაყრუებელი ხმით მოძახილები სადლესასწაულო თუ სამგლოვიარო რიტუალებზე.

<sup>2</sup> ოქსიტოცინი ჰორმონია, რომელიც გამომუშავდება ადამიანის ორგანიზმში. ის მოქმედების ფართო სპექტრის ნეირომედიატორია, დაფებითად მოქმედებს სოციალურ ქცევაზე, ადამიანში იწვევს სიმშვიდის, დაცულობის გრძნობას პარტნიორის გვერდით. ოქსიტოცინი აძლიერებს მიჯაჭვულობას ადამიანებზე, ნდობის განცდას. ამცირებს შიშსა და შფოთვას.

ვეს. ვიცი, რატომაც ჩამოსვა უშიშროებამ ხელბორკილდადებული ის კაცი. ჯიბეში ის წერილი მიდევს, დედამისს რომ მისწერა. დიდი ალბათობით, ის ამ წერილის დამალვას შეეცადა, სანამ მისწვდებოდნენ, რადგან ასეთი წერილები არც ავიწყდებათ და არც უყურადღებობით ეკარგებათ სადმე. წერილი მაშინ ვიპოვე, როცა ხელახლა ვსხდებოდით თვითმფრინავში. მას მერე, რაც ჩანთები, ჩემოდნები ძირს ჩამოცალეს და ყველა მგზავრი ჩამოიყვანეს თვითმფრინავის გასაჩერეკად. წერილის ფურცლები მიკეცილმოკეცილი, დაჭმუჭნილი იყო, ლითონის კედელსა და სკამს შორის მჭიდროს შეტენილი. მოვკარი თუ არა თვალი, რომ არაბულად იყო ნაწერი, მაშინვე შარვლის ჯიბეში ჩავიჩურთე. ახლა უკვე ვიცი, საფუძვლიანად რატომ არ გაუსინჯავთ მისი სკამი – ეს კაცი ტერორისტი არ ყოფილა, არც ჩემოდნები ჰქონდა თან და არც იარაღი. რაც წავიკითხე, იმის მიხედვით ის მხოლოდ კრიმინალია, რომელმაც ის ქალი მოკლა, ის რომ შეიფარა და თავშესაფარი მისცა, ახლა კი გაქცევა უნდოდა. ამრიგად, იცოდნენ მისი დანაშაული, მოკლული ქალის გვამი უპოვიათ და მკვლელს მანამდე ჩავლეს, სანამ შორს გაფრინდებოდა...

საშინელებაა, რაც ამ კაცმა გააკეთა, მაგრამ, რაკი წერილის წაკითხვას დრო დავუთმე და მისი პოლიციისთვის გადაცემა დამაგვიანდა, ამას ახლა ვეღარ გავაკეთებ. როგორ ვიმართლო თავი მათთან, რატომ მქონდა წერილი შენახული!.. ასეა თუ ისე, რაკი მათ დამნაშავე უკვე დააკავეს, წერილში გამოთქმული აღიარებანი მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალს საჭირო დეტალებს ვეღარ შეჰმატებს... ესეც არ იყოს, წერილი დედისთვისაა დაწერილი – მისი საბრალო, უბედური დედისთვის, რომლის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი მხოლოდ ალაპმა თუ უწყის!.. ესაა ვაჟის აღსარებანი დედის წინაშე – კაცის ცხოვრებაში უკანასკნელი ადამიანის წინაშე, ვინც იმედად ეგულება, – იმის მიუხედავად, რაც არ უნდა ჩაედინა თვითონ მას ან მის მშობელს. გულმა არ დამანება, პოლიციისთვის გადამეცა მისი უკანასკნელი სიტყვები, მისი მარტოსული

აღსარებანი. შიშზე რომ აღარაფერი ვთქვა, სიბრალული ვიგრძენი მის მიმართ. ეს უცნაურად უღერს, რასაკვირველია, რადგან ის კაცი დამნაშავე და სისხლისმღვრელია, მაგრამ ამქვეყნად ყოველ ადამიანში არის უდანაშაულო, მიამტი მხარე, როცა ის დედამისის წინ დგას. დედის წინ ის კვლავ შვილია – ის პატარა ბავშვი, რომელიც თავად მან დიდი ხნის წინ მოიტოვა უკან, დავიწყებას მიაბარა... ვიფიქრებ, რა ვუყო ამ წერილს მერე...

დედა ადამიანისთვის ცხოვრებაში ბოლო გულია, თავშესაფრად რომ ეგულება. მეც დავკარგე დედა ისევე, როგორც ამ წერილის დამწერმა კაცმა, რომელიც ცხოვრების დარჩენილ დღეებს სამუდამო ციხეში გაატარებს. დამღამობით მარტოობაში დაიტირებს დედას, შორს გადაკარგული და უცხო. ეს ის კაცია, ვისაც ცხოვრებაცა და ბედიც გაუსწორდა – არც ხალხმა დაინდო და არც ღმერთმა შეიწყალა.

და რაკი ის დედაჩვენია, – ანუ დედაშენიცაა, – აპა, გნერ, ჩემო ძმაო, სიმართლეს – რომ მე ის დავკარგე იმაზე ადრე, სანამ მოკვდებოდა.

არ ვიცი, ასე რამ შეცვალა. მოკლედ რომ ვთქვა, მთელი ის ფული, რასაც ვუგზავნიდი, აღარ ჰყოფნიდა. მეუბნებოდა, მავანისა და მავანის დედები გამდიდრდნენო, ხალხმა სახლები, ბინები აიშენაო, ასობით დოლარიან ნივთებს ყიდულობენო. მერე კი დაიწყო და გაუთავებლად მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდა, გოგოს ხარჯები როგორ გაუძვირდა – გოგომ შეჭამა, გოგომ მომთხოვა, გოგოს სჭირდება... და ა.შ. სანამ არ ვთქვი გულში, დედაჩემს ჩემი გოგოს თავისთან გაჩერება აღარ უნდა-მეთქი. ტელეფონით დავურეევ და ვუთხარი: „დედა, საყვარელო, დაგლალე ძალიან, შენს სიკეთეს, სანამ ცოცხალი ვარ, ვერ დავივიწყებ, ცოტა ხანიც მაცალე და გოგოს ჩემთან წავიყვან-მეთქი...“ გაბრაზდა. ტელეფონით ლანძღვა დამიწყო. მეუბნებოდა, რომ მოთმინება დაელია და ჩემი ტკბილი საუბარი პრობლემას ვერ მოაგვარებდა. ვუთხარი, რა გინდა, მეძავად ხომ არ გინდა დავდგე ქუჩაში-მეთქი. უურმილი დამიგდო და ამის შემდეგ ტელე-

ფონზე აღარ მპასუხობდა.

ჩემი ტკივილისა და სტრესის, ძალა-დობის მოგონება გამიახლდა. დედაჩემი იყო ჩემი უბედური, უიდბლო ქორნინების მიზე-ზი, როცა ჯერ თოთხმეტი წელიც არ შემ-სრულებოდა. ის არ იყო, გაყრა რომ არ მა-პატია?! ის და შენ, – ორივე. სწორედ თქვე-ნი ბრალი იყო ჩემი ამ ქვეყანაში ემიგრაცია და მოსამსახურების მუშაობა სახლებში, უც-ნობი ხალხის სიბინძურების ხეხვა-წმენდა, რესტორნების ტუალეტებისა და სასტუმრო-ების ნომრების დალაგება-დასუფთავება. იმ დროს დედაჩემი კმაყოფილი იყო, რადგან შორს ვიყავი მისგან – მეც და ჩემი განქორ-ნინების სკანდალიც; რადგან სისტემატურად ვუგზავნიდი ფულს. ეს ფული საკმარისი იყო, ჩემს ქალიშვილზე რომ ეზრუნა. თუმცა მერე მავანისა და მავანის ქალიშვილები „გასცდნენ პროტოკოლს“ – როგორც აქ ამ-ბობენ. დედასგან დაუსრულებლად მესმოდა სამშობლოში ამ გოგოების ხშირი ვიზიტების შესახებ – როგორ ჩავიდა ერთი მათგანი ძვირადლირებული ბრენდების საჩუქრებით დახუნდლული, როგორ გამოფინა თავისი ძვირფასეულობა უამრავი მნახველის წინა-შე; როგორ იქირავა მანქანა, ააშენა სახლი და დაასვენა მამამისი მუშაობისგან. არავის მოსვლია თავში აზრად, ეკითხა, საიდან ეს ყველაფერი!.. ეს იმიტომ, რომ გოგოს ჰიჯა-ბი ეხურა.<sup>1</sup> იყო, ხშირად ნიკაბი<sup>2</sup> ემოსა და როგორ შეეძლო ვინმეს, მის მორალში დაეჭ-ვებულიყო?!

სულ დედაჩემის სიტყვები მიტრიალებ-და თავში. განა მან არ მიმყიდა ჩემს ქმარს იმ მაპრის<sup>3</sup> სანაცვლოდ, მას რომ გაემზადე-ბინა და ამით ოჯახის კაცები დაასვენა?!.. კაპიკიც არ მინახავს იქიდან, გარდა გასამ-გზავრებელი თვითმფრინავის ბილეთის ფუ-ლისა, რათა ჩემი გაყრის შემდეგ თვალიდან დაკვარვოდი. კაპიკი არ მინახავს. ყველა სიმწარეს ვითმენდი, რათა მას მე და ჩემი გოგო ავეტანეთ. სამოც ტუალეტს ვასუფ-

თავებდი დილის ათ საათამდე, ათობით კი-ლომეტრს დოლის ცხენივით დავრბოდი და თან ჩემს უფროსს ვულიმოდი – ქალს, რო-მელიც არასდროს იღიმებოდა... და ნეტავ ახლა როგორია?.. თუ იღიმება?.. – საკუთარ თავს ვეკითხები...

ჩემი ცხოვრება მწარე ცრემლით გამო-ვიტირე და გადავწყვიტე, მეძავობისთვის მომეკიდებინა ხელი – კახპა, ქუჩის ქალი გავმხდარიყავი. რა განსხვავება იყო ამ ორ დამცირებას შორის?!.. მხოლოდ ფული თუ ამომიყვანდა ტუალეტების სუნიდან და უფ-სკრულის ფსკერის სიბინძურიდან მაშინ, როცა დედაჩემი, თუმცა დედა იყო, მავიწ-როებდა და კედელთან ვყავდი მიმწყვდეუ-ლი... შენ უკვე ციხეში იყავი. მე შესანიღბად სასტუმროებში ჩემი სამსახური ნახევარი სამუშაო დღით შევინარჩუნე.

კლიენტ კაცებთან სექსს უფრო იო-ლად ვეძლეოდი, ვიდრე ჩემს ქმართან. ისინი თავაზიანად? და კულტურულად მექცეოდ-ნენ, ნახევარი დრო ჩემთან საუბარსა და ფლირტში გაჰყავდათ. მათ სიტკონებისა და სიამოვნების სამყარო გამოალვიძეს ჩემში, რომლის გემოც მანამდე არ ვიცოდი და უშურეცელადაც მიხდიდნენ. ჩემი ერთადერ-თი პირობა ის იყო, რომ მათ უკანა ტანიდან არ ვეხმარე, როგორც ამას ჩემი ვირი ქმარი მიკეთებდა ძალით და სისხლს მადენდა. მე მგონი, ის მამათმავალი იყო და საკუთარ მიდრეკილებებში თავსაც კი არ უტყდებო-და... ამას ახლალა ვხვდები, რადგან ქალად ვიქეცი.

არაფერი, რაც კი ქუჩის ქალების წვა-ლებასა და წამებაზე მსმენია, მე არ გადამ-ხდენია თავს. არავითარი სუტენიორები და საეჭვო რეპუტაციის სახლები!.. ჩემს კლიენ-ტებს ნაშუადლევის შემდეგ მოსალამოვე-ბულს ვიყვანდი იმ ხანდაზმულთა საცეკვაო ადგილებიდან, სადაც ისინი მზის ჩასვლის შემდეგ იკრიბებიან ხოლმე და ღამის დად-გომამდე იშლებიან – ნასადილევის დესერ-

<sup>1</sup> ჰიჯაბი (არაბ.) (არაბ.) – თავსაბურავი, რომელიც მხოლოდ ქალის თმას ფარავს, მაგრამ არა სა-ხეს.

<sup>2</sup> ნიკაბი (არაბ.) – ქალის სახის საბურველი, ჩადრი.

<sup>3</sup> გაპრი (არაბ.) – საქორნინო საჩუქარი, რომელსაც საქმრო უხდის ქალის ოჯახს.

ტით პირის ჩაკოკლოზინებიდან შინ ვახშმის სუპის მირთმევამდე დროის მონაკვეთში. მათი უმრავლესობა პენსიონერი იყო, მათ შორის ქმრები, რომელთაც სახლის ცხოვრება მობეზრებული ჰქონდათ. მხოლოდ იმათ ვუახლოვდებოდი, ვინც მარტო იყო ან ახალებდა. თავიდან ვერ ხვდებოდნენ, ახალგაზრდა ქალს რა მინდოდა მათთან, მე კი ვპასუხობდი, რომ რომანტიკული ვიყავი და თანამედროვე თაობა არ მომწონდა. უბრალო, სიბრივემდე გულუბრყვილო გოგოს როლს ვთამაშობდი. მათ ასაკში ისინი ასეთებს ამჯობინებდნენ. ასეთ გოგოდ მხედავდნენ ჩემი ტანსაცმლის მიხედვითაც, რომელიც, ძალიან ვცდილობდი, ძველმოდური ყოფილოყო – მათ რომ ქალები მოსწონდათ, იმდროინდელი; ახალგაზრდობას რომ აგონებდათ, ისეთი სტილის ტანსაცმელი. მე მართლა ვერთობოდი მათთან, რადგან ისინი ჩემში ღამაზ ქალს ხედავდნენ, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა დახურული შენობის მონითალო, მკრთალი შიდა განათება რეალურ ასაკს ათ თუ მეტ წელს აკლებს. ამიტომაც იშლებიან ხოლმე გარეთ, ბუნებრივ შუქზე გამოსულები სასწრაფოდ, შებინდებულზე, რადგან სასტიკი და დაუნდობელი წლები ბრუნდებიან მათ სახეებზე, რასაც ემატება დაღლილობა, ოფლით ჩამორეცხილი მაკიაჟი და თავის ქალაზე გადაგლესილი თხელი თმა. ოღონდ არა ჩემთან!.. ჩემთან ისინი ტროტუარზე ჩერდებოდნენ და მალევე ხვდებოდნენ, რა იყო საჭირო ამ კეკლუც, კოპნია ლამაზმანთან განმარტოებისთვის. ნაზ, მოვლილხელებიან კაცებს ვირჩევდი, სპეციალურ სალონებში რომ იკეთებდნენ ფრჩხილებს. ეს მათ ფინანსურ მდგომარეობაზე უკეთ მიანიშნებდა, ვიდრე ელეგანტური ჩაცმულობა. კაცის ფეხსაცმლის ხარისხისა და ღირებულების ექსპერტიც გავხდი – იმისგან დამოუკიდებლად, ძველი იყო ის თუ ახალი. რაკი ჩემთან ყოფნით ძალიან ბედნიერები იყვნენ, მეც არასდროს მიგრძნია უხერხულობა მათგან მოკრძალებული საჩუქარივით შემოთავაზებული ფულის აღებისას; მეტიც, მართლა ისეთი გრძნობა მქონდა, მათ მარტობაში თითოეულ მათგანს სამსახურს ვუწევდი, საკუთარი ჯადოსნური

მამაკაცობის რწმენას ვუბრუნებდი... უნდა გენახა, როგორი მადლობლები იყვნენ ჩემი და დაიჯერებდი. მათთვის პატივსაცემი ქალი ვიყავი და ეს მეც კმაყოფილებას მანიჭებდა...

ეს ყველაფერი მანამდე გრძელდებოდა, სანამ იმ არაბს შევხვდებოდი სასტუმროში. თავის ნომერში მაშინ დაპრუნდა, როცა მე ჯერ ისევ ვალაგებდი. არშიყი და უხამისი სიტყვებით ღლაბუცი დამიწყო. არაბულად ვუპასუხე, იქნებ შერცხვეს-მეთქი. ამან უფრო გაათავსედა და თავს დამესხა. სანამ ჩემზე იძალადებდა, ჯერ მაგრად მცემა. სასტუმროს დაცვა და პერსონალის უფროსი გამოვიდახე. ვაჩვენე ჩანითლებული ლაქები, ცემის კვალი და შემოხეული ტანსაცმელი. დაბლა სართულზე ჩამიყვანეს. გაუჩერებლად რომ გავყიროდი, მითხრეს – ვიცით, რომ მეძავი ხარ და თვალს ვხუჭავთ, ეს შენი ცხოვრებაა და შენი ნებაა, მაგრამ იმის უფლებას არ მოგცემთ, რომ სკანდალი მოაწყო მდიდარი კაცისგან ფულის გამოძალვის მიზნით მხოლოდ იმიტომ, რომ ის არაბია და სკანდალს უფრთხისო!.. და გამომაგდეს.

ასე გადავედი სამუშაოდ აეროპორტში მას შემდეგ, რაც ამ საქმეში ჩემი ძველი კლიენტებიდან ორი ჯენტლმენი ჩაერია და სიტყვა შემანია. ცოტაოდენ ფულს ვზოგავდი და ვინახავდი. იმ ინციდენტის შემდეგ გადავწყვიტე, წავსულიყავი და ჩემი ქალიშვილი ჩემთან საცხოვრებლად ჩამომეუვანა. ბუნებრივია, კაცებს აღარ ვხვდებოდი. ეს საქმე მივატოვე.

საყვარელო ძმაო, კარგად მომისმინე, რასაც მოგიყვები! ჩვენს ქვეყანაში საჩუქრებით დახუნძლული გავემგზავრე, ჰიჯაბდახურული, როგორც სხვა ქალები; მეტიც, თავიდან ფეხებამდე შავებში გამოწყობილი. დედაჩემი ლოგინად ჩავარდნილი, ავადმყოფი დამხვდა. ჩემი გოგო კი ვერ ვიპოვე.

დედაჩემმა მითხრა, შენი ქალიშვილი გაიქცა და წარმოდგენა არა მაქვს, სად არისო. მეზობლის ქალმა, უმ რაშიდმა, მელავი გამიყარა და წამიყვანა თავისთან, სახლში. დამსვა და მითხრა, რომ დედაჩემმა ჩემი გოგო ძალით გაათხოვა და ის თავის ქმართან,

სპარსეთის ყურეში იყო. ბევრგან გავიკითხეთ და ვეძებეთ მე და უმ რაშიდმა, რომელიც იმ შეიხს იცნობდა, ჩემი არასრულნლოვანი გოგოს ქორწინება რომ გააფორმა და იმ კაცის სახელს მივაკვლიე. საელჩოდან საკონსულოში, საკონსულოდან შარიათის ყადისთან ვიარე და ბოლოს მისამართი მომცეს. გავემგზავრე ჩემს ქალიშვილთან და ვიპოვე – აღმოვაჩინე, რომ მსახურად და მოცეკვავედ მუშაობდა საროსკიპოსმაგვარ სახლში. ის კაცი მასზე ისევე დაქორწინებულა, როგორც ათობით სხვა მისნაირზე. შევხვდი მას და მოულოდნელი სიურპრიზის წინაშე აღმოვჩნდი – ტრანსგენდერი იყო, არც კაცი, არც ქალი, ქალივით მორთულ-მოკაზ-მული და ჩაცმული კაცი, შუახნის ასაკის, სქელი და ბილნი, გარყვნილი. თმა გამითეთრდა. ვუთხარი, ჩემი ქალიშვილი უნდოვანია და ციხეში გაგიშვებ-მეთქი. მითხრა, წაიყვანეო და ჩემს გოგოზე მანიშნა მსხვილი, კოტიტა, დიდ ბეჭდებასხმული ხელით. მერე გარშემო შემოხვეულ თავის ხალხს უბრძანა, გარეთ გავეთრიეთ.

ჩემს გოგოსთან ერთად ისე დავბრუნდი ჩვენს ქვეყანაში, შვილი ერთხელაც არ დამლაპარაკებია. არც ჩემს კითხვებზე უპასუხია. დედაჩემს ვეკითხებოდი, რატომ გამიყიდე შვილი, მე ხომ ბევრ ფულს გიგზავნიდი-მეთქი!.. უმ რაშიდისგან შევიტყვე, უცნური შესახედაობის ადვოკატი ხშირად დაიარებოდა დედაჩემთან და ვაჟიშვილის, ანუ შენს ციხიდან დახსნას ჰპირდებოდა!.. გააცურა, მოატყუა და ფული გამოსცინცლა – მთელი ჩემი ფული!..

სახლი ყირაზე დავაყენე და ოქროვეცხლი მოვნახე. ვიპოვე სახლის მფლობელობის დოკუმენტიც. შენი და დედაჩემის ხელმოწერები გავაყალბე, ვინც მოსაქრთამი იყო, მოვერთამე და სახლი გავყიდე.

– ვარ თუ არა მე ის, ვინც დედაჩემს სასიკვდილო სარეცელზე ხელებიდან და ყელიდან ძვირფასეულობა – სამაჯურები და გულსაკიდები დახსნა!?

– დიახ, ეს მე ვარ.

– მივაგდე თუ არა დედაჩემი მარტო სიკვდილისთვის და უფასო კლინიკის ექიმიც კი არ გამოვიდახე?!

– დიახ, სწორია, მივატოვე... მაგრამ მართალი არაა, თითქოს მე ის ბალიშით გავგუდე, როგორც შენ ამაზე ერთხელ სიტყვა გადამიკარი.

ჩემს გოგოს კრინტი არ დაუძრავს მას შემდეგაც, რაც აյ ჩამოვიყვანე. საკუთარ თავს ვუთხარი, საუკეთესო კლინიკებში ვუმკურნალებ-მეთქი. ამ ამბის დანარჩენი ნაწილი ალბათ წარმოგიდგენია. ჩემი ქალიშვილის გამო გაზრდილი საჭიროებებისთვის ერთი ქალის ბინაში ვმუშაობდი, რომელიც ვერ მიტანდა. მარტო მე კი არა, ადამიანებს ვერ იტანდა. ერთხელ სილა გამაწნა და გავუჩუმდი. მითხრა, რომ მის არყოფნაში მსახურების კი არა, მის საპირფარეშოში მოვშარდე. ადამიანთა დამცირება სიამოვნებას ანიჭებდა, ყველაზე მეტად კი საკუთარი ქმრის. ისეთ დღეში აგდებდა, ხანდახან ის კაცი საკუთარ თავზე მეტად მეცოდებოდა. სიბერიავესა და სილატაკეზე მეტად სიძულვილს არაფერი ალინებს და ქმარსაც სძულდა ცოლი და მე მას კარგი სამსახური გავუნიე, როცა ამ ქალს ნება მივეცი, მომკვდარიყო.

დიახ, დავინახე, გასისხლიანებული როგორ ეგლო სააპაზანოში. გონება დაკარგა-მეთქი, ვთქვი გულში და ასე დავტოვე. გავძარცვე მისი სამკაულის კოლოფები, ძვირფასეულობის ზარდახმა, მოვიპარე ფული მისი ქმრის საწერი მაგიდის უჯრიდან, შემდეგ გარეთ გავედი და ჩემი გასაღებით გავიკეტე კარი. მე ვიყავი ის, ვინც პოლიციას შეატყობინა გვამის აღმოჩენა ბინაში დაბრუნების შემდეგ, სადაც თითქოს სწრედ მაშინ მივედი. ქმარს დასდეს ბრალი, რომელიც გაკოტრებული იყო, არ მუშაობდა და ყველასთან ცოლის ცუდ ზნესა და მასთან ცხოვრების სიძნელეზე ჩიოდა. თქვეს, რომ ეს მან გაითამაშა ძარცვა, მოკლა ცოლი, რათა მისი მემკვიდრე გამხდარიყო. მეც მემუქრებოდნენ და მაშინებლენ, სახლი მთლიანად გამიჩხივეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს და დაიჯერეს, რომ უდანაშაულო ვიყავი. გამოძიებისას დაკითხვაზე ნამდვილად მწარედ ვტიროდი, შეძრწუნებული დავტიროდი ჩემს ცხოვრებას და მათაც ირმუნეს, უდანაშაულოდ რომ ვიყავი ბრალ-

დებული, ის მატირებდა.

ჩემო ძმაო, არც დედაჩემი მომიკლავს და არც ის ქალი. მე ისინი მივატოვე იმ დროს, როცა ვიცოდი, შეიძლება მომკვდარიყვნენ. ეს კი სრულიად სხვა რამეა. ისინი, დახმარება რომც გამენია, მაშინაც შეიძლება დახოცილიყვნენ. მე მკვლელი არა ვარ! ეს გამჩენის ნება იყო და მისი განაჩენი. რატომ უნდა გამომეჩინა ურჩიბა და არ მიმეღლო მისი მსჯავრი, რომელიც ცხოვრების მრავალ დარტყმას შორის ჩემდამი ოდნავ მოწყალე აღმოჩნდა?!.. როცა ცხოვრების სისასტიკემ თვალი ოდნავ ამარიდა და სასჯელი შემისუბუქა.

მე დედაჩემის მოკლული ვარ და იმ ქალის მსხვერპლიც. ასე ვფიქრობ. მე არავის დავსხმივარ თავს, მხოლოდ სილაქებზე საპასუხოდ აღვმართე ხელი. ეს მკვლელობა არაა!..

თუმცა დედა ძალიან მენატრება. ლამღამობით ველაპარაკები და ვტირი. რატომ, დედაჩემო-მეთქი, ვეუბნები, თუკი დედას არ ეყვარება თავისი ქალიშვილი, მაშ, ამქვეყნად სხვა ვინ შეიყვარებს მას?!. რატომ შეიცვალე ასე სიბერეში?!.. განა ბოლომდე მორჩილი შვილი არ ვიყავი?!. ასაკთან ერთად რატომ გასასტიკდი ჩემი და ჩემი ქალიშვილის მიმართ?!.. იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩემი მუცლიდან ლამის პირდაპირ გულში გადაისვი. რატომ შემიძულე გაყრის შემდეგ და ჩემი დავიწყება, შენი ცხოვრებიდან ჩემი ამოშლა გსურდა?!.. კარგად იცოდი, რატომაც გამოვექცი იმ კაცს შენთან, შენს მკლავებს შევაფარე თავი; იცოდი, გაყრა რატომ მოვითხოვე. განა შენ იმაზე მეტი აგიტანია, რასაც მე ვითმენდი?!. ასე იოლად, გულგრილად როგორ უყურებდი ჩემს მიუსაფრად წანწალს და მსახურად მუშაობის ლაფსა და ტალახში ჩემს დაძირვას?!. რა უნდა გამომესყიდა?.. რომელი ცოდვა?..

არ შეიძლია დავიჯერო, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ფული და შენი სიხარბე იყო...

საკუთარ თავს ვეუბნები, რომ იმ წერილის დამწერი კაცი თავისი კრიმინალური ისტორიის აღსარების შემდეგ ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ დედას შეხვდება და მისგან

პატიებას მიიღებს.. მისი წერილის მიხედვით, დედის გარდა მას სხვა არავინ ჰყავს და ისე დგას მის წინაშე, როგორც შემოქმედის წინაშე – მისი მსჯავრით კმაყოფილი, ბედის მორჩილი, ყოველგვარი ტყუილისგან დაცლილი... ვიმედოვნებ, საიქიოდან ჩემი გესმის და მპატიობ. მეც ხომ დედა ვარ და ვიცი, გიყვარვარ. ჯერ კიდევ ბავშვი შემიყვარე. შემდეგ წუთისოფელი გაგისასტიკედა, ისევე, როგორც მე და დაგროვილი სიმწარე გულზე მძიმედ დაგაწვა.

ასე გადაწყვიტა ცხოვრებამ – ქარიშხლები გამოგვიგზავნა, ჩვენ კი ბუმბულნი ვართ ქარსა შინა... ცხოვრებამ თუ სიღარიბემ?.. ხანდახან ისეთი შეგრძნება მაქვს, ღმერთმა ზოგიერთი ადამიანი საჭიროების გარეშე შექმნა – არსებები, რომელთა ქანცის გამწყვეტი ცხოვრებაც უსარგებლოა და არავის ისინი არ სჭირდება. ზუსტად ისევე, როგორც უფალმა შექმნა მკბენარი, მავნე ბუზები, რომლებსაც ავადმყოფობები გადააქვთ და გვამებზე დებენ კვერცხებს. უეჭველია, ამაშია შემოქმედის სიპრძნე. ბუზები, ტარაკნები, საზიზღარი მოცოცავი მწერები, იმ წერილის ავტორი მავნე და საძულველი კაცის მაგვარი ქმნილებები... ისევე, როგორც ჩემნაირი არსებები...

მოსამსახურედ მუშაობამ წელში გამტეხა – ყველაფრისა და ყველას მსახურად ვიქეცი. დედამიწის მსახურებს რომ ჰიმნი ჰქონოდათ, ზეპირად ვისწავლიდი და შეუჩერებლად ვიმეორებდი. მეორენი კი, ვისი მომსახურებისთვისაც უფალმა გაგვაჩინა, ძლიერი კბილებით სიამოვნებით კბეჩენ ცხოვრების ხილის მწიფე ნაყოფს და ნეტარებენ. ჩვენ არ გვშურს მათი, არც არანაირი იმედი გვაქვს, რომ ოდესმე მათ დავემსგავსებით, ოლონდ რომელიმე ჩვენგანმა შეიძლება ვერ შეძლოს მომდგარი ნერწყვის შეკავება მათ ნიკაპებზე წურწურით დადენილი წვენის დანახვაზე... ჩვენ კი, როცა ცხოვრება ზუსტად მიგვიჩენს ხოლმე ადგილს მეორე ნახევარში, მორჩილი მსახურები ვხდებით და უფალს ვემადლიერებით, რომ მათი მომსახურებისთვის შესაფერისნი და გამოსადეგნი აღმოვჩნდით.

შევყურებ ჩემს ქალიშვილს, რომელიც

ჩემ წინაა. ისიც მარტოსულია და მეც. რაც ჩემთან წამოვიყვანე, უფრო მეტად გავუუცხოვდით ერთმანეთს. ტელევიზორს გაფანტული, დაბნეული მზერით უყურებს. არ მჯერა, რომ დამუნჯებულია. მას ჩემი დატანჯვა უნდა, რადგან ვძულვარ. ვერ მითანს იმ ყველაფრის გამო, რასაც დედაჩემი უყვებოდა ჩემზე – თითქოს მე ის მივატოვე და მათ საკმარის ფულს არ ვუგზავნიდი, როცა თავად ფუფუნებაში ვცხოვრობდი... რომ ცოდვაში ვიყავი გახვეული და მეძავად ვმუშაობდი; ამიტომაც აქ ჩამოსვლისთანავე ჰიჯაბი დაიხურა. უეჭველია, ის ბრალს მდებს იმაში, რომ ამქვეყნად მოვავლინე – სამყაროში, რომელიც ასე სძულს.

სამზარეულოში გავდივარ. ჩაის ვიკეთებ, ფანჯარასთან ვდგავარ და ღამეს გავცქერი. ვაკვირდები სიბნელეს უცხო, უსამშობლო ატმოსფეროდან. სქელი, ბლანტი ღამის ნოტიო ნისლის წვეთები ქუთუთოებსა და ხელებზე მეკვრის. ეს ჩემი ცხოვრება არაა, მეც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი მასში – როგორ ჩავსრიალდი, ვინ მიბიძგა, ვინ მკრა ხელი, რომ ჩემი ეს ხვედრი ასე მეტარებინა და ყველა კარი ზურგსუკან გამომეხურა.

საყვარელო ძმაო, მოპარული ნივთები ისევ საიდუმლო და საიმედო ადგილას მაქვს გადამალული. როცა ციხიდან გამოხვალ, ჩემში ეჭვი აღარ უნდა გეპარებოდეს და აღარც მკაცრად უნდა განმსჯიდე, მწარე სიტყვებით. ახლა შენთვის მთელი სიმართლე უკვე ნათქვამი მაქვს. შენ უნდა დამეხმარო მოპარული ნივთების გასაღებაში. სახლიდანაც მოგცემ შენს წილს და ამ ნივთების გაყიდვით ნაშოვნი ფულიდანაც. ჩემს გოგოს უნდა ვუმკურნალო. ერთმანეთს და-ძმასავით მოვეპყრობით. მე ახლა შენს მეტი აღარავინ მყავს, არ ვიცი, მარტო როგორ მოვიქცე.

ამ წერილს, რასაკვირველია, ფოსტით არ გამოგიგზავნი. რამე გზას ვიპოვი, შენაძე რომ მოვიდეს, ან სულაც, ვიზიტისას, შეუმჩნევლად ჩაგიცურებ – უახლოეს დღე-ებში ან კვირებში ციხეში შენს მონახულებას ვგეგმავ, ინშალა<sup>1</sup>.

ან იქნებ ეს აზრი თავიდან უნდა ამოვიგდო, რადგან დიდ ხიფათს გადამყრის.

გვიხმობენ, სამუშაოს დავუბრუნდეთ. ვნახოთ, რამეს მოვიფიქრებ. გკოცნი.

<sup>1</sup> ინშალა — ღმერთმა ქნას! ეს ფრაზა ძალიან ხშირად გამოიყენება არაბთა დიალოგურ მეტყველებაში.

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან გარდავაძემ





တော်မြတ် ဖော်လုပ်



## **იუნუს ემრე (მე-13-მე-14 სას)**

იუნუს ემრე თურქულ ლიტერატურაში სუფიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი და, ზოგადად, თურქული პოეზიის ფუძემდებელია. მან თავის პოეზიაში პირველმა გამოიყენა ანატოლიური სასაუბრო ენა, ნაცვლად სპარსული და არაბული ნასესხობებით გადატვირთული ენისა.

ლეგენდების თანახმად, იუნუს ემრე მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული დერვიში იყო. მისი ოფიციალური მაგზოლეუმი სამხრეთ-დასავლეთ თურქეთში, ქალაქ კულას მახლობლად მდებარეობს.

იუნესკომ 1991 წელი (დაბადებიდან 750 წლისთვის) იუნუს ემრეს წლად გამოაცხადა, ხოლო წლევანდელი, 2021 წელი (გარდაცვალებიდან 700 წელი) თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ად-მინისტრაციამ იუნუს ემრესა და თურქული ენის წლად გამოაცხადა.

ჩემი გესმათ, ჰე, დოსტებო, ტრფობა გახლავთ მზისა დარი,  
სიყვარულით თუკი არ ძერს, გულიც ხდება ქვისა დარი.

ქვა-გულში კი რამ იხაროს? ენამ უნდა გესლი ღვაროს,  
მშვიდი სიტყვაც შეიქნება დავიდარაბისა დარი.

ოდეს ტრფობით ღელავს, დარობს, გული იწვის, კელაპტარობს,  
ქვა-გულში კი სიცივეა – ზამთრის სიცივისა დარი.

გინდა იყავ კარად სულთნის, გინდა იყავ კარად უფლის,  
მიჯნურობა წაგიძლება, ვარსკვლავისა მისადარი.

იუნუს, შიშსა განეშორე, ტრფობას დაეწაფე, თორემ  
ოდენ რწმენით ვერ გახდება კაცი დავრიშისა დარი...

თურქულიდან თარგმნეს  
მაყვალა ხარებავამ  
და  
ია სულაბერიძემ

## მემდუჳ შევქეთ ესენდალი (1883-1952)

მემდუჳ შევქეთ ესენდალს თურქ ჩეხოვს უწოდებენ. მისი ნოველები რიგით ადამიანებსა და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზეა. ამასთანავე, იგი იყო დიპლომატი, პოლიტიკოსი, თურქეთის პარლამენტის ოთხი მოწვევის წევრი. მივლენილი იყო ელჩად თეირანში, ბაქოსა და ქაბულში.

### სიჩერე

დასახლდნენ, დაფუძნდნენ, დაზარდეს შვილები. შეემატათ რძლები, სიძეები, შვილიშვილები. ამასობაში ორმოცი წელიც გავიდა. ახლა მოხუცი ცოლ-ქმარი ერთმანეთის პირისპირ სავარძელში თვლებს. ასე გამოიძინებენ. როცა დალამდება და სანოლში დაწვებიან, ძილი უფრთხებათ. უზნეო ბავშვებივით დილამდე ერთმანეთს ეჯიბრებიან უხეში სიტყვის თქმაში.

— ქალო, ისედაც ცხელა, შენ კიდევ ზურგზე მეხები, შენი სუნთქვა კამეჩის სუნთქვასავით ცხელია და ზურგს მწვავს.

ქალი ცოტა განზე იწევს და ამბობს:

— ამდენი წელი არ დაუწვავს ჩემს სუნთქვას შენთვის ზურგი და ახლა გწვავს?! ყოველდღე ახალ-ახალ რამეს იგონებ!

— მწვავს და... ტყუილს ვამბობ, თუ...?! რა შუაშია ახალი და ძველი? ასეთ ამინდში ორი ადამიანი ერთ სანოლში რომ დაწვება, რა თქმა უნდა, ასე იქნება. მაგრამ შენ ვერაფერს გეტყვის კაცი, მაშინვე ერთ ამბავს ატეხ. ბოლოს მე გამოვდივარ დამნაშვე.

ცალ-ცალკე სანოლებში რომ დავწვეთ, აგრილდება?! დღისით ფანჯარას არავის ალებინებ. დალამდება და ბოლი გაგდის. თუ გცხელა, გაიხადე ბამბის პიუამა და ისე დაიძინე.

— კი, როგორ არა! ბამბის პიუამა

გავიხადო, რომ გრიპი ავიკიდო, არა?! ფანჯარას არ გაგაღებინებ, რა თქმა უნდა, რადგან ორპირი ქარია. ყელი მტკივ-დება, ვითომ არ იცი.

— აჲა, გავიწიე... აბა, ვნახოთ, თუ დაგეძინება.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ცოლი უუბნება:

— სიცივე და სიცხე არაფერ შუაშია. დილიდან საღამომდე გძინავს. როცა დალამდება, აღარ გეძინება და ლაპარაკის ხასიათზე მოდიხარ. აღარ იცი უკვე, რა თქვა.

— მე მძინავს და შენ არა?! გუშინ მე რომ არ გამეღვიძებინე, ხვრინვას ამოუშვებდი. შემარცხინე ახალ სიძესთან.

— ააა..., ეს ცილისწამებაა, ღმერთმანი! თანაც, არ მაქვს უფლება, ერთხელ მაინც ვიხვრინო ცხოვრებაში?! ახალი სიძის შერცხვა თურმე... რატომ უნდა შემრცხვეს ახალი სიძის? როგორც ყველა ადამიანი, მეც ვწვები და ვიძინებ... უცხო ხომ არ არის? მე ბევრი გაჭირვების მნახველი ქალი ვარ. ორმოცი წლის განმავლობაში ერთხელ მომერია ძილი. რაღა გიჭირთ, მოგეცათ სალაპარაკო, როგორც იქნა, ერთი ნაკლი მიპოვეთ ამდენი წლის შემდეგ...

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ცოლი კვლავ უუბნება:

შენ, ჯობია, შენს თავს მიხედო. საკმარისია, უცხო დაინახო, რომ მაშინვე პირს მოალებ. ამას წინათ სურეია ბეის რძალს იმდენი ელაპარაკე, მოკვდა ქალი მთქნარებით, ცოტაც და დაეძინებოდა. საკმარისია, ვინმე წყნარი ჩაიგდო ხელში, იმდენს ილაპარაკებ, სანამ მთქნარებას არ დააწყებინებ. ამდენი ყბედობის მერე შენც გეძინება და კიდევ ჩემზე ლაპარაკობ? ხასიათიც შეგეცვალა, ლაპარაკიც. ღმერთმა უარესისან დაგვიფაროს.

— მე ხასიათი არ შემცვლია. რაც ვიყავი, ისევ ის ვარ. შენ შენს თავს მიხედე.

— კი, როგორ არა, არ შეცვლილხარ! ადრე როდის გითქვამს, გაინიე, მცხელაო. ასე რომ, ნუ დაგიუნია, არ შევცვლილვარო. ნუ მაბრაზებ, დაიძინე.

— მე კი მინდა დავიძინო, მაგრამ შენ რომ არ მანებებ თავს!

— აბა, უყურე! დაგანებე თავი და მეტი რა ვქნა..!

— მეტი რალა უნდა ქნა, მომეწებე ზურგზე!

— ერთი უსმინეთ ამ ვაჟბატონს... გეფიცები, ცალკე საწოლში დავიძინებ, გესმის? ისეთ რამეს გამაკეთებინებ, რაც ორმოცი წელი არ გამიკეთებია. ადრე, როგორც კატა, ისე შემომიძვრებოდა ლოგინში. მიყვარხარო, მეუბნებოდა. ახლა ნახე, რაებს მეუბნება.

— უკან დააბრუნე ის დრო და ისევ გეტყვი.

— რომ შემეძლოს, შენ არ გკითხავდი, დავაბრუნებდი! უმადური!

— რა შუაშია უმადურობა. სამოცდაათი წლის ვართ და ერთ საწოლში ვწევართ. მეტი რალა გინდა? შვილები დაგვცინიან.

— შვილების აზრი რაში მაინტერესებს. ყველგან ასეა. ცოლ-ქმარს რომ ლოცავენ, ეუბნებიან, ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბეროთო.

— რამდენადაც შესაძლებელი იყო,

დავბერდით. ახლა ერთ ბალიშზე სიკვდილი-ლა დაგვრჩენია.

— რა დროს სიკვდილია?! ჩვენზე მოხუცები არ აპირებენ ჯერ სიკვდილს! ცხონებულ ჩემს მშობლებს ერთ საწოლში ეძინათ. ცალ-ცალკე რომ დაწოლილიყვნენ, აზრადაც კი არ მოსვლიათ.

— ვიცი, ჩემი ცხონებული სიმამრი ნებისყოფიანი კაცი იყო. ახლა ასეთები აღარ არსებობენ. დღეს ახალი რძლებიც კი ცალკე წვებიან.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს მომწონდეს ახლანდელი რძლები. ორი საწოლი დადგეს გვერდიგვერდ და ამას დაარქვეს ცალ-ცალკე საწოლი.

— ერთი უყურეთ, რაებს ფიქრობს. ქალო, შენ ნელ-ნელა ბავშვს ემსგავსები. იცოდე, არ ამალაპარაკო. ცალ-ცალკე სძინავთ.

— ჩვენ ერთად გვძინავს? ყველას თავისთვის სძინავს. როცა ორი ბალიშია, თითქოს სხვანაირად შეიძლებოდეს.

— კი, მაგრამ ასე ერთმანეთს ხომ ვერ გაათბობენ ღუმელივით.

— შენ, რაც დაბერდი, ხასიათი შეგეცვალა.

— მე შემეცვალა და შენ არ შეგეცვალა?!?

— რა თქმა უნდა, არ შემცვლია. მეცვალებადი ხასიათი არ მაქვს.

— აი, ეგ არის სწორედ ცუდი.

— რატომ არის ვითომ ცუდი. მე რომ ცუდის გაკეთება მდომებოდა, თავის დროზე გავაკეთებდი. სისულელებს ნუ ლაპარაკობ და ნუ მაბრაზებ. ჯობია, დაიძინო.

— რა გაბრაზება გჭირდება, ისედაც ალესილი მახვილივით ხარ. უჰ, სულ ოფლში ვცურავ...

— შენ ბამბის პიუამა ჩაიცვი და მერე იწუნუნე, ოფლში ვცურავო... შენ რომ გისმინო...

- არავინ გთხოვს, მომისმინეო. გაჩუმ-დი, მეძინება.
- ეშმაკი ჩამჩურჩულებს, ამ კაცს ხმა ალარ გასცეო... ღმერთის მეშინია და მაინც ველაპარაკები. თვითონ მეუბნება იმას, რაც თავში მოუვა და, რომ ჰქითხო, მე ვარ ყბედი და უჭკუო...
- ახლა მე შენ ის გითხარი, უჭკუო ხარ-მეთქი?
- ადრე ხომ მითხარი.
- როდის გითხარი?
- დაგავიწყდა? ჰუსეინ ეფენდის სახ-ლში რომ ვიყავით, მე ვთქვი, ჰაირიე სკოლაში შევიყვანოთ-მეთქი. შენ არ მითხარი, შენსა-ვით უჭკუო არ ვარ და ვიცი, როდის უნდა შე-ვიყვანოო.
- აბა, ერთი ამას უსმინეთ. ეგ ოცდაა-თი წლის წინ იყო და ეს დღეს მეუბნება. რომც მეთქვა, ეგ მემახსოვრება? სიმართლე მით-ქვამს.
- რა თქმა უნდა, მითხარი. შენ ფიქ-რობ, რომ დამავიწყდა? მაშ, სულელი ვარ. ხომ? შენ თუ კიდევ ხმა გაგცე.....

ასეთი კამათის შემდეგ ქალი ერთ-ორ პირს გამოიტირებდა ხოლმე. ახლაც ასე აპი-რებდა, მაგრამ მოხუცს ხველა დააწყებინა, წამოჯდა. ქალი ანერვიულდა. წყალი მიაწოდა, წამალი დაალევინა. მოხუცს ცოტა ხანში სუნთქვა შეეკრა, ქალი ძალიან შეშინდა,

დილბერი გააღვიძა.

ასე ჩხუბობენ ცოლი და ქმარი, ერთმა-ნეთს ათას სისულელეს ეუბნებიან. მაგრამ ეშინიათ, რომ ერთი მოკვდება და მეორე მარ-ტო დარჩება. განსაკუთრებით ქალს, შვილე-ბისა და რძლების ხელში დარჩენა არ უნდა.

ხველება არ წყდება. ცოტა ხანში ჰათი-კემ გაიღვიძა. ექიმის გამოძახება უნდოდათ. ჰკითხეს კაცს, მაგრამ არ დასთანხმდა. ზურგს უკან ბალიშები ამოუწყვეს, უშველი-სო, მაგრამ ხველება არ შეწყდა.

უფროსმა რძალმა გაიღვიძა, ქმარიც გა-აღვიძა. მათ მოხუცს არ უსმინეს და ექიმს შე-ატყობინებს. როცა ექიმი მოვიდა, უთხრეს:

- ბამბის პიჟამას იცვამს და ისე იძი-ნებს, ოფლიანდება, ცივდება, ახველებს. ვეუბ-ნებით და არ გვისმენს. იქნებ თქვენ უთხრათ, თქვენ დაგიჯერებთ, რაიმე მსუბუქი ჩაიცვას.

ექიმმა მათ მოუსმინა, მაგრამ მოხუცს არაფერი უთხრა.

- დაანებეთ თავი, როგორც უნდა, ისე ჩაიცვას. ხველების მიზეზი ეგ არ არის.

როცა გათენდა, ხველება შეწყდა. შვი-ლიშვილებმა გაიღვიძეს და ბაბუას ოთახში შევიდნენ. შიშიც გაქრა. მოხუცი იცინოდა, ლაპარაკობდა, შვილიშვილებს ეფერებოდა... ცხოვრება ისევ ჩვეულებრივად გაგრძელდა.

შემდეგ დამეს თუ არა, იმის შემდეგ და-მეს კი იგივე განმეორდება...

## ცხვირსახოცის ქვებ

აგვისტო. პარასკევი. საჯარო რეესტრის სააგენტოს დირექტორი ჯავით ბეი სა-დილის შემდეგ ტახტზე წამოწვა, იფიქრა, და-ვიძინებო. მაგრამ ბუზებმა შეაწუხეს. გაახ-სენდა, რომ სოფლებში კედელთან წვებოდ-ნენ, სახეზე ცხვირსახოცს იფარებდნენ და არხეინად ეძინათ. სკამზე გადაკიდებული ქურთუკის ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე დაიფარა. ცხვირსახოცი ანუხებდა, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქ-ცია. დაიწყო ლოდინი, თუ როდის დაეძინებო-და. ახლა ფიქრებმა არ მისცეს დაძინების სა-შუალება. თავიდან იმაზე ფიქრობდა, შვილე-ბის სკოლის გადასახადისთვის გაგზავნილი თანხის ქვითარი სად დადო. შემდეგ კი გაახ-სენდა, როგორ წუნუნებდა ცოლი, ფულის შე-ტანას ვერ ვასწრებო. „მე აქ მშიერი ხომ არ ვიქნები“, – ჩაილაპარაკა თავისთვის. ამბობ-დნენ, რომ ხელფასს მოუმატებდნენ. გაახსენ-და, რომ სააგენტოს თავმჯდომარე მის მი-მართ კეთილად იყო განწყობილი და სიამოვ-ნებისგან ჩაეღიმა. თავმჯდომარემ შეცდომით განთავისუფლებული თანამშრომელი მისი ერთი სიტყვით სამსახურში დაბრუნა. ასე რომ არ მომხდარიყო და თავმჯდომარეს უა-რი ეთქვა, რა ეშველებოდა იმ საბრალოს. წარმოიდგინა, როგორ მოუწევდა მას ქუჩა-ქუჩა წანწალი, ვალი დაედებოდა, ტანსაცმე-ლი შემოეფლითებოდა, წვერს ვეღარ გაიპარ-სავდა. თვალწინ დაუდგა ეს ყველაფერი. შეე-ცოდა. „თავმჯდომარე რომ არ დათანხმებუ-ლიყო!“ – გაიფიქრა მან. გაბრაზდა. საკუთარ თავს ჰკითხა: მაშინ რას ვიზამდი?“ წარმოიდ-გინა, როგორ შეიკრა ქურთუკი. მეგობარს უთხრა: „მომეცი ერთი ეგ საბუთები“. აიღო ქალალდები და პირდაპირ თავმჯდომარესთან წავიდა. თავმჯდომარე მაგიდასთან იჯდა და რაღაც საბუთებს კითხულობდა. თავი ასწია. „რა მოხდა, ბატონო დირექტორო?“ – ჰკითხა

ჩვეულებისამებრ. „სამსახურიდან გაშვებულ ბატონთან დაკავშირებით გიბრძანებიათ, უკან აღარ მივიღებთო. ეს რა უსამართლო-ბა! რა ქნას ამ საბრალომ, სად წავიდეს, ვინ გაიგებს მის სატკივარს!? სამსახურიდან ჩვენი შეცდომის გამო გაათავისუფლეს. რა დააშა-ვა? თქვენც გაქვთ ოჯახი. შეიბრალეთ, ბატო-ნო“. თავმჯდომარე ამბობს: „უკვე დაგვიანე-ბულია. ხდება ასეთი რამები. სხვაგან ექცის სამსახური...“ ჯავით ბეი ამ უსამართლობაზე ცოფებს ჰყრის. თავმჯდომარეს ეუბნება, თუ უკან არ დაგაბრუნებთ, ჩვენთვის კარგი არ იქნება. ნეტა მთელი ადმინისტრაციის, მთე-ლი დაწესებულების თანამშრომლები კართან უსმენდნენ, როცა ამ სიტყვებს ეტყვის. ჯა-ვით ბეის ცეცხლი ეკიდება. ყველა, ვინც უს-მენს, გაოცებულია მისი გმირობით, სიმამა-ცით. როცა ბაზარში გაივლის, ყველა მასზე მიანიშნებს... თავმჯდომარეს ეშინია მისი სიტყვების. ხელმოწერას აუქმებს და თავისი სიტყვა უკან მიაქვს. ჯავით ბეი თავმჯდომა-რის ოთახიდან გამოდის, ხელში საბუთები უკავია. ხედავს, რომ კართან მიყურადებულ-ნი უცებ წყდებიან კარს და თავიანთ ოთახებ-ში გარბიან. ქვემოთ ჩადის და საბუთებს თა-ვის თანაშემწეს წინ უყრის. როდესაც თანა-შემწე თავმჯდომარის გაუქმებულ ხელმოწე-რას ხედავს, გაოცებისგან პირი ღია რჩება. ჯავით ბეიმ წარმოიდგინა, როგორ გაოცდე-ბოდა თანაშემწე და ცხვირსახოცის ქვეშ ტკბილად ჩაეღიმა. შემდეგ ამას სამსახურში აღდგენილი თანამშრომელი შეიტყობს, მო-დის და მას ფეხებში უვარდება. ამ ამბავს ყვე-ლა იგებს. მისი ცოლის ყურამდეც აღწევს. ცოლისგან წერილს იღებს: „ამდენ საქმეს აკე-თებ მანდ და ჩვენ ფულს არ გვიგზავნი“. უკვე ბრაზობს. ასეც არ შეიძლება... ისიც მაშინვე წერს საპასუხო წერილს. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთ წერილს იღებს: „დეპუტატად ვა-

პირებთ თქვენს არჩევას, გთხოვთ დაგვთან-  
ხმდეთ“.

ირჩევენ დეპუტატად. ერთ დღესაც რე-  
ესტრის სააგენტოში მოდის. ყველა მეგობარი  
ულოცავს. თავმჯდომარე კართან ხვდება.  
შარვლის უკანა ჯიბიდან პორტსიგარს იღებს  
და სიგარეტს უწვდის...

პარლამენტში შესვლის შემდეგ წინადა-  
დება შეაქვს, რომ სახელმწიფო მოხელეებს

ხელფასი გაეზიარდოს....

ჯავით ბეი იფლში ცურავდა, მღელვა-  
რებისგან იხრჩობოდა. ცხვირსახოცი სახიდან  
მოიცილა და წამოხტა. სახე გასწითლებოდა,  
თვალები გაფართოებოდა, თმები ყალყზე  
დასდგომოდა. კუთხეში დაჯდა. „როგორ სძი-  
ნავთ ცხვირსახოცის ქვეშ?!“ – გაიფიქრა მან.  
შემდეგ კი ფეხები დააბაკუნა და მოსამსახუ-  
რეს დაუძახა: „მერიემ, ყავა მომიდულე!“

თურქულიდან თარგმნა  
ასმათ ჭაფარიძემ

## გიულთენ აქინი (1933-2015)

თურქი პოეტი ქალი. 2008 წელს გაზეთ "მილიეთის" მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგად მიღებული აქვს „უდიდესი თურქი პოეტის“ წოდება. მუშაობდა მასწავლებლად ანატოლიის სხვადასხვა ქალაქში. მისი ლექსები თარგმნილია ბევრ უცხო ენაზე. ასევე, მათზე შექმნილია სიმღერები.

### ლექსი დამსხვრეულ ქალებს

ლამაზი კანი რომ მირაჟია,  
ბოლოს რომ ქრება,  
იციან ქალებმა,  
ქალებმა, რომლებიც ბოლოს  
მკითხაობის ჭაობში იძირებიან.  
სადღაც სიბნელეში, დაშვებული,  
იდუმალი ფარდის მიღმიდან  
ნამარჩიელები იმედების  
სხივი, მხოლოდ  
იმ დაშვებული ფარდების  
სიგრძის ზომაა.  
ეძიებენ იმედებს ქალები...

ვის აინტერესებს  
მათი სამყარო,  
რკინაა? ცეცხლია?  
თუ ჯოჯოხეთია.  
პროპელერივით მობზრიალენი,  
ფერადი შუშების  
მსხვრევა -მსხვრევით,  
დამსხვრეული ფრთებით,  
ამთავრებენ ქალობას.

ლამაზი კანი  
რომ მირაჟია,  
ბოლოს რომ ქრება,  
იციან ქალებმა.

თურქულიდან თარგმნეს  
მაყვალა ხარებავამ  
და  
ეთერ სადალაშვილმა

## ჰალიდე ნუსრეთ ზორლუთუნა (1901-1984)

თურქი პოეტი ქალი. იგი ცნობილია, როგორც „მწერალი ქალების დედა“. წლების განმავლობაში ანატოლიის სხვადასხვა ქალაქში მასწავლებლად მუშაობდა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მიღებული აქვს უურნალ „მოსწავლეთა დავთრის“ პრემია. ფლობდა არაბულ, სპარსულ და ინგლისურ ენებს.

### წადი, გამეცალე, გაზაფხულო

გამეცალე, ამ ჩრდილებში რა გინდა...  
გაზაფხულის მზერა ისევ მთვრალია,  
ნუ შეცდები, ჩემს გულს ნუ ესტუმრები,  
სალოცავთან ჩარაზული კარია.

ტაძარია, მეიჰანე<sup>3</sup> კი არა!  
ამ გვირილებს რად აქვთ ოქროს გვირგვინი,  
მზისფერ თმებში დაიბნიე ვარდები,  
გაზაფხულო, წადი, ღვთის გულისათვის,  
მუხლმოდრეკილ ქალწულებს ნუ ადარდებ...

გულს ნუ მოხვალ, ის კაშანე<sup>4</sup> არაა!  
სიკაშაბე, სურნელება, ფერები,  
ერთი დღე და კიდევ ერთი ქორწილი,  
ბულბულს მკერდში უზის მისი ლანდები,  
ბულბულს მკერდში ელვრებიან ვარდები!

ლამაზი ხარ, ვიცი, არ მეჩვენები!  
გაზაფხულო, წადი, სხვა გზებს ულიმე!  
ზღვას ფერები საჩუქრებად ეყაროს,  
ცის ტატნობზე, ცის კიდეზე იარე,  
ოლონდ ჩემს გულს, ამ გულს არ გაეკარო.

კანდელია, ფეიმანე<sup>5</sup> კი არა.

თურქულიდან თარგმნეს  
მაყვალა ხარებავამ  
და  
ეთერ სადალაშვილმა

<sup>3</sup> მეიჰანე-გასართობი ადგილი, ტავერნა.

<sup>4</sup> კაშანე-სასახლე

<sup>5</sup> ფეიმანე-სასმისი ალკოჰოლისთვის.

## აზიზ ნესინი (1915 – 1995)

აზიზ ნესინი ცნობილია, როგორც იუმორისტული უანრის ფუძემდებელი თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში. წერდა მოთხრობებს, რომანებს, ლექსებს, ზღაპრებს, პიესებს. აქტიურად თანამშრომლობდა უურნალ-გაზეთებთან; ხშირად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, სადაც ყურადღებას ამახვილებდა საზოგადოების მტკივნეულ საკითხებზე.

აზიზ ნესინის ნანარმოებები თავმოყრილია 120-მდე წიგნში. იგი არის მნერალი, რომელსაც ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს თურქეთში. მისი რომანები და იუმორისტული მოთხრობები თარგმნილია მრავალ ენაზე. მიღებული აქვს ორმოცხვე მეტი ჯილდო.

### ეროვნული სტუმართმოყვარეობა

ერთ პატარა, პროვინციულ ქალაქში წიგნის მაღაზია ჰქონდა გახსნილი. ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით. წერილებს მიგზავნიდა; წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ყოველ გაზაფხულზე მეპატიურებოდა. მნერდა, რომ მკითხველებს ჩემთან შეხვედრა უნდოდათ და მოუთმენლად მელოდებოდნენ. მოუცლელობის გამო ვერ ვახერხებდი მასთან სტუმრად ჩასვლას. ამის გამო ყოველ წერილში ბოლოშის ვუხდიდ.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს წიგნის გამყიდველმა ახალგაზრდა კაცმა დამირეკა. მაცნობა, რომ სტამბოლში ჩამოვიდა და ჩემი ნახვა უნდოდა. ახალ ნანარმოებზე ვმუშაობდი. სტუმრის მიღების დრო ნამდვილად არ მქონდა, მაგრამ ასეთ დროს ამის ახსნა ძალიან ძნელია... შევთანხმდით, სახლში დაველოდებოდი.

ხელცარიელი არ მოსულა, თავის რეგიონში მოწეული ხილი მომიტანა. თავაზიანად მომიკითხა; ჩაი დავლიეთ, ცოტა ვისაუბრეთ... ამასობაში ერთი საათი გავიდა... კუთხურ კილოზე სასიამოვნოდ საურობდა. ეს ადამიანები ძალიან მიყვარს, ოღონდ შორიდან... ამას თავისი მიზეზი აქვს. ჩემს ყოველ მკითხველს თითო საათი რომ დავუთმო,

მნერლობას უნდა დავემშვიდობო.

წიგნის გამყიდველის ვიზიტის მიზანი კვლავ ჩემი მიპატიურება აღმოჩნდა. მთელი გულით მთხოვა, ამჯერად მაინც არ მეთქვა უარი და ჩემი სტუმრობით მისი ოჯახი და მკითხველები გამეხარებინა; თანაც, ერთი ორი დღე დამესვენა. დასვენება! ეს სიტყვა ძალზე მაცდური აღმოჩნდა... დასვენება მართლაც არ მაწყენდა...

ჩემი გამგზავრების თარიღზე შევთანხმდით და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

დათქმულ დროს აღნიშნული პროვინციის აეროპორტში ვიყავი. მასპინძელი ცოლისძმასთან ერთად დამხვდა.

თითქმის შუაღამე იყო. გზას გავუდექით. ჭამა არ მინდოდა, ძალიან დაღლილი ვიყავი. მეგონა, პირდაპირ სასტუმროში მიმიყვანდნენ და დავისვენებდი. მასპინძელმა თავი გაიგიუა, როგორ გეკადრებათ, ბატონო, ჭამის გარეშე დაძინება სად გაგონილაო! "სტუმარი მასპინძლის ვირიაო", – გამახსენდა ანდაზა. მართლაც ასეა: სტუმარი იძულებულია, მასპინძლის სურვილს დაემორჩილოს. ვფიქრობი, ჯერ სასტუმროში მივიდოდით, ბარგს დავტოვებდი, მოვწესრიგდებოდი და შემდეგ სასტუმროს რესტორანში ვივახშებდით...

ჩვენმა მანქანამ დაუსახლებელი ადგილები გაიარა, შემდეგ რაღაც შენობები გა-

მოჩნდა; ის ადგილიც გავიარეთ და დანგრეულ, ოლრო-ჩოლრო გზაზე აღმოვჩნდით. მანქანას სიარული უჭირდა... ბოლოს ერთ ჩაბნელებულ შენობასთან გავჩერდით. კარებთან მივედით. მასპინძელიმა ღილაკს თითო დააჭირა; კარი გაიღო. სოფლურად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი და ბავშვები შემოგვეგებნენ. ქალს, მუცელში მყოფსაც თუ ჩავთვლით, რომელსაც, ალბათ, დღე-დღეზე ელოდებოდნენ, ოთხი შვილი ჰყავდა; ერთი ხელში ეჭირა, მეორისთვის ხელი ჰქონდა ჩაკიდებული, მესამე დედის კალთას ჩაბლაუჭებოდა.

– მობრძანდით, მობრძანდით! – თავაზიანად შეგვიპატიჟა ქალმა.

მივხვდი, ეს ადგილი სასტუმრო კი არა, წიგნის გამყიდველის სახლი იყო.

– სუფრა მზად არის, ქალო? – ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა მეუღლეს.

– მზად არის, – მიუგო ქალმა.

დიდებული სუფრა გაეწყო დაისახლისს. ორსული ქალისა და სამი ბავშვის დედის მიერ განეული ამდენი შრომის შემდეგ სუფრასთან დაჯდომაზე უარის თქმა უხერხული იქნებოდა... თუმცა ჭამა სულ არ მინდოდა, ერთი სული მქონდა, როდის დავიძინებდი... იმ იმედით, რომ ჭამის შემდეგ სასტუმროში წავიდოდი, არსებულ სიტუაციას შევეგუე.

ადგილობრივი კერძები ძალიან გემრიელი იყო. ვახშამი კარგა ხანს გაგრძელდა. დაძინება რომ არ მომეთხოვა, საუბარი დილამდე არ დამთავრდებოდა.

სასტუმროში წასვლა მოვინდომე. მასპინძელს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა:

– როგორ თუ სასტუმროში?! ნუ შემარცხენთ, ბატონო! ასეთ დამცირებას, მირჩევნია, მომკლათ. გინდათ, ხალხს ათემევინოთ, სტამბოლიდან სტუმარი ჩამოსვლია, სახლში ვერ უმასპინძლა და სასტუმროში დატოვაო? ასეთ რამეს ნუ იზამთ, თავს ნუ მომჭრით, სახელს ნუ გამიტეხთ! ჩემი შთამომავლობა ვერ

ჩამოირეცხავს სირცხვილის ამ ლაქას.

– თქვენი შეწუხება არ მინდოდა, სასტუმროში დარჩენა უფრო მიზანშეწონილია – მეთქი, – ვუთხარი მორიდებით.

– როგორ გეკადრებათ, რა შეწუხება, უცხო ხომ არ ხართ...

შევეცადე, ამეხსნა, რომ უკეთესი იყო სასტუმროში დავრჩენილიყავი... ვუთხარი, რომ ყველა ადამიანს თავისებური ხასიათი აქვს; რომ მე საღამურის გარეშე ძილს ვიყავი მიჩვეული...

– როგორც გაგიხარდებათ, ისე დაიძინეთ. გინდ საცვლებით დაწექით, გინდ – საცვლების გარეშე, – მიპასუხა.

მივხვდი, ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. იძულებული გავხდი, ღამე მათთან გამეთია.

ჩემი საძინებელი ის ოთახი აღმოჩნდა, სადაც საჭმელი ვჭამეთ. სუფრა აალაგეს; ჭურჭელი გაიტანეს; მაგიდა ოთახის ერთ კუთხეში მოათავსეს. ლოგინი შემოიტანეს, იატაკზე გაშალეს. ძილი ნებისა მისურვეს და ოთახიდან გავიდნენ. ტუალეტში გასვლა მინდოდა, მაგრამ მერიდებოდა... ცოტა ხნის შემდეგ, სახლში რომ სიჩუმემ დაისადგურა, დავრწმუნდი, ყველას ეძინა. წამოვდექი. ხმაური რომ არ გამომეწვია, ფეხაკრეფით გავედი დერეფანში. უცებ ფეხებში რაღაც რბილი გამებლანდა. წავბარბაცდი, კინაღამ ძირს გავიშლართე. კატამ, რომელსაც, სავარაუდოდ, სიბნელეში ფეხი დავადგი, განწირული ხმით დაიჭყავლა. ტუალეტს სუნით მივაგენი. ეს ადგილი სანყობს უფრო ჰგავდა... აქ ერთმანეთზე ეწყო ყუთები, მოზრდილი კალათა, ველოსიპედი, სარეცხის ტაშტი, რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი, ცარიელი ბოთლები... რომ შემძლებოდა, ტუალეტით სარგებლობაზე უარს ვიტყოდი. სამწუხაროდ შეუძლებელი იყო, ძალიან მიჭირდა... წყლის რეზერვუარს ჯაჭვის წაცვლად რაღაც ზონარი ჰქონდა მიბმული. ჩარეცხვა რომ მოვინდომე, ზონარი გამოვწიე. ამ მოძრაობას ისეთი გუგუნის ხმა

მოჰყვა, სახლი შეზანზარდა. რეზერვუარიდან წყლის ერთი წვეთიც არ გადმოსულა. ტუალეტის კარი რომ გავაღე, ჩემ წინ გრძელსაცვლიანი ორი კაცი იდგა: მასპინძელი და მისი ცოლისძმა.

მასპინძელმა მომიბოდიშა:

– დამავიწყდა მეთქვა, რომ წყლის რეზერვუარი არ მუშაობს.

მერე ამიხსნეს, თუ როგორ უნდა ჩამერეცხა ტუალეტი; იატაკზე მდგარ ვედროზე მიმითითეს, ამას წყლით აავსებ და ტუალეტში ჩაასხამო.

– ჩემი ბრალია, – ვუთხარი, – მე უნდა მეკითხა თქვენი ტუალეტით სარგებლობის წესი. ყველა ოჯახს ხომ თავისი წესები აქვს.

გრძელსაცვლიანი ახალგაზრდა კაცები ოთახში რომ შევიდნენ, ხელსაბანის ძებნა დავიწყე. როგორც იქნა, მივაგენი. მიუხედავად იმისა, რომ ონკანს თოკი ჰქონდა შემოხვეული, წყალი მაინც წვეთავდა. ონკანი გადავწიე თუ არა, წყალი ისეთი ნაკადით წამოვიდა, ისე ასხამდა, ერთიანად გავიწუნე; ხელსაბანი უცებ გაივსო; წყალი იატაკზე გადმოვიდა. ვცდილობდი, ონკანი დამეკეტა, მაგრამ ამაოდ... ცოტა ხანში სახლი მთლიანად დაიტბორებოდა. არ ვიცოდი, რა მექნა. დაბნეული და შეშინებული მასპინძლის საძინებლის კარს მივადექი. დავაკაუნე. ოთახიდან ორ ხმაში ხვრინვა ისმოდა. კაცებს ერთ ითახში ეძინათ, ქალს და ბავშვებს – სხვა ოთახში. კიდევ უფრო ძლიერად დავაკაუნე. ისევ ხვრინვის ხმა... ვაკაუნე, ვაბრახუნე... ძლივს გავაღვიძე... უაზრო თვალებით მიყურებდნენ... ძლივს გავაგებინე, ვინ ვიყავი და რა მინდოდა. ორი კაცი ხელსაბანს მივარდა, ონკანი ახალი თოკით გაამაგრეს; როგორც იქნა, წყალი შეაჩერეს. მართალია, წყალი აღარ ასხამდა, მაგრამ ონკანი ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ძალი იღრინებაო.

– წყალს ჩვენ მივხედავთ, თქვენ წადით, დაიძინეთ, – მითხრა მასპინძელმა.

ჩემს ოთახში დაგბრუნდი... დაძინება შეუძლებელი იყო; ონკანის ღრენა-ღმულის ხმებს ახლა ჭერში ბრახუნიც დაემატა. ვიკითხე, რა ხდებოდა; როგორც მასპინძელმა ამიხსნა, ონკანის ხმით გაღიზიანებული ზედა სართულზე მცხოვრები მეზობელი გვიბრახუნებდა.

იმ ღამეს მასპინძელმა მესამედ მისურვა მშვიდობიანი ძილი... ამდენი ნერვიულობის შემდეგ დაძინება გამიჭირდა. როგორც კი ჩამეძინა, რაღაც უცნაურმა ხმამ გამაღვიძა. მივაყურადე; ურმის ბორბლების ღრჭიალს წააგავდა. მერე მივხედი, ყველა ოთახის კარი გალება-დაკეტვისას ასეთ ხმას გამოსცემდა. ტუალეტში შესვლა-გამოსვლა რომ შეწყდა, მეც ჩამეძინა. ახლა კატის კნავილმა გამაღვიძა. კატა კარებზე აფხაჭუნებდა და ჭირვეულად კნაოდა. ოთახში შემოსვლას ითხოვდა. ადგომა დამეზარა. ვიფიქრე, მობეზრდება და გაჩერდება-მეთქი, მაგრამ შევცდი. კატამ კნავილს და ფხაჭუნს კიდევ უფრო მოუმატა. კარი გავაღე. კატა პირდაპირ ლოგინში ჩახტა. მე კატასთან ძილს მიჩვეული არ ვიყავი. რა უნდა მექნა, სკამზე ჩამოვჯექი. დიდხანს ვერ გავძელი. ძალიან მეძინებოდა. იძულებული გავხდი, კატასთან ერთად დამეძინა. კატას არ გაუპროტესტებია; პირიქით, მკერდში შემომიძვრა და მშვიდად აკრუტუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ რწყილები. დავიწყე ფხანა. ლოგინი კატას დაუტმე და ნახევრად შიშველი სკამზე დავჯექი; დაღლილს ჩამეძინა. ბავშვების ხმამ გამაღვიძა. ოთხი-ხუთი წლის ორი ბავშვი ჩემს ოთახში შემოვიდა. მესამეს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ეძინა. მკითხეს, რატომ მეძინა სკამზე. მიზეზი რომ გაიგეს, ბევრი იცინეს. უძილობისა და დაღლილობისგან ისეთი გაღიზიანებული ვიყავი, თავი ვეღარ შევიკავე:

– დაიკარგეთ აქედან, წადით თქვენს ოთახში! – ვუყვირე ბავშვებს.

მითხრეს, რომ ეს მათი ოთახი იყო, რომ

ამ ოთახში მამა კატასთან ერთად იძინებდა. ბავშვები ყოველ დღილით დედის უბიდან ამოძ-ვრებოდნენ და მამას ეხუტებოდნენ.

რაც ამ სახლში ხდებოდა, ასე თუ ისე, მესმოდა, მაგრამ ვერ გავიგე, კატა როგორ იტანდა მთელი ღამე ოთახში მოჯირითე თაგვებს. ბავშვებმა ამისსნეს, რომ კატა და თაგვები ერთად დაიზარდნენ; ერთმანეთს ისე შეეჩივნენ, მეგობრულად ცხოვრობდნენ. უფრო მეტიც, კატამ რომ კუტები დაყარა, თაგვებსაც აწოვებდა თურმე.

მივხვდი, ბავშვებს ოთახიდან ვერ გავყრიდი. ჩავიცვი და ოთახში დავიწყე სიარული. ღამის გამოცდილების შემდეგ ონკანთან მისვლისა და პირის დაბანის მეშინოდა.

გათენდა, ახლა ბუზები გააქტიურდნენ... სახეზე მასხდებოდნენ. ბუზებისგან თავის დასაცავად სახეზე ხელს რომ ვიტყაპუნებდი, საწოლში მყოფი ორი ბავშვი სიცილით იჭაჭებოდა.

– რა არის სასაცილო, – ვუყვირე პატარებს. ჩემმა ნათქვამმა კიდევ უფრო გაამხიარულა ონავრები. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვებმა ჩხუბი დაიწყეს. ერთმანეთს ურტყამდნენ. მათ გაშველებას ვცდილობდი... ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ოთახში მასპინძელი შემოვიდა. მომესალმა. ბავშვები დატუქსა და ოთახიდან გაყარა.

პირველივე რეისით სტამბოლში დაბრუნება გადავწყვიტე; სამწუხაროდ, გაირკვა, რომ თვითმმთანავის პირველი რეისი მხო-

ლოდ სამი დღის შემდეგ იქნებოდა. ოთახში მასპინძლის ნათესავიც შემოვიდა. კაცებმა იატაკზე გაშლილი ლოგინი აკეცეს და გაიტანეს. მკითხეს როგორ მეძინა. მე, როგორც სტუმრის წესია, ვუთხარი: მშვიდად და მოხერხებულად მეძინა, კარგად დავისვენე-მეთქი

– რა თემა უნდა, ბატონო, სახლი სხვაა, სასტუმრო – სხვა, – ჩაილაპარაკა მასპინძელმა, – აქ ისე არ არის, როგორც თქვენთან, დიდ ქალაქში...

ვკითხე, რას გულისხმობდა.

– დიდ ქალაქში სტუმარს სასტუმროში ტოვებენ. აქ საპატიო სტუმრის სასტუმროში გაშვება დიდ სირცხვილად ითვლება.

მაგიდა ისევ ოთახის შუაგულში მოათავსეს; დიასახლისმა საუზმის სუფრა გაშალა...

ჩემი მეორე და მესამე ღამის სტუმრობა პირველისგან დიდად არ განსხვავდებოდა; ის კი უნდა აღინიშნოს, რომ მესამე ღამეს, არ ვიცი, უძილობისგან თუ იმის გამო, რომ ამ სახლის ცხოვრებას შევეჩივე, მშვიდად მეძინა.

მასპინძელმა და მისმა ნათესავმა აეროპორტში მიმაცილეს, კეთილი მგზავრობა მისურვეს და მთხოვეს, კვლავაც მიმენიჭებინა ბედნიერება ჩემი სტუმრობით. მე გულთბილი მიღებისთვის მადლობა გადავუხადე. ვუთხარი, რომ მათთან გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდებოდა...

## სენურ სეზერი (1943-2015)

დაიბადა ქესქიშეპირში. არის რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი. მის კალამს ეკუთვნის, ასევე, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების სცენარები.

დაჯილდოებულია რამდენიმე ადგილობრივი პრემიით.

\*\*\*

სიყვარული ნება-ნება ვახვიე და აეხვია,  
მაგრამ შალის გორგალივით უცებ ჩრჩილი დაეხვია,  
ჩრჩილი ხელმოკლეობის და ეჭვების და არჩევანის  
(მე მგონია, სიკვდილშიც კი არჩევანი კარგი არის),  
არჩევანი ლექსისათვის მოცლისა და უქმად ყოფნის, –  
ვერც ლექსს დაწერ, ვერც – მანიფესტს,  
არჩევანი თუ არ გყოფნის...  
ტრფობის ძაფი ნება-ნება ვახვიე და აეხვია...  
ეგებ მობრუნებულიყავ, – ეგ სიმშვიდე დაგერღვია?  
ეგებ ყველა სიძნელესთან უკან აღარ დაგვეხია? –  
მე ნაოჭებს დავუსხლტები,  
შენ ჭალარა დაგეძლია...  
მობრუნდი და ჩვენ გარშემო ყველა ვარდი გალალდება  
და შვილების იჭვნეული შეკითხვები დამთავრდება,  
ვით ლარნაკში – ყვავილები, – ჩვენი ყოფაც აყვავდება...

ტრფობის ძაფი ნება-ნება ავახვიე, დავახვიე,  
აბა, სცადე, – ეს გორგალი დაშალე და დაარღვიე,  
გააცალე ტკივილები, ტანჯვის მჩხვლეტი ბუსუსები  
და აქციე სუფთა ძაფად ყურადღების და ღირსების...  
გავიაროთ ათას ჭირში, გავიაროთ ათას ქარში,  
ყმაწვილების დახოცვაში,  
მეგობრების დაკარგვაში...  
და ამბორი მიძღვენ ერთი,  
სანამ მოვა უკუნეთი...

თურქულიდან თარგმნეს  
მაყვალა ხარებავამ  
და  
ია სულაბერიძემ

## ათაოლ ბეჭრამოლლუ (დაიბ. 1942 წ.)

ათაოლ ბეჭრამოლლუ დაიბადა სტამბოლში. არის პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი. იგი მიხაი ემინესკუს აკადემიის, პუშკინის, აზია-აფრიკის მწერალთა კავშირის ლიტერატურული პრემიების ლაურეატია. მიხაი ემინესკუს აკადემიის მიერ წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

### შემოდგომის მელოდია

ქუჩაში რომ ჩაიარეს ლიცეუმის გოგონებმა,  
სადღაც გაქრა ქორნინების წმინდა ფიცის მოგონება.  
არც გამოცდის დარდი არ მაქვს, არც – ფულის, არც – ეტიკეტის,  
ყველაფერზე უარს ვამბობ  
და მათ ჯიბრზე სიგარეტი  
გავაბოლე... ვთქვი თუ, რისთვის, მიწის ბურთი რად ბზრიალებს?  
ეს სექტემბრის თქეში წვიმაც რას მოდის და რას თქრიალებს?-  
ჭკუაზე მყოფ ადამიანს სულ უჭკუოდ ატრიალებს...  
– ჭკუაზე მყოფს? ან ვინაა, ნეტა, ჭკუის სამსახურში?  
ფიქრზე ფიქრი მომეძალა, მომეძალა სევდა სულში...  
წუთები და საათები... დღე – გახაზულ-გადაშლილი,  
აქეთ – წიგნი, გადაშლილი,  
იქით – გული, გადაშლილი...  
იღვრებიან ჩვენი დღენი...  
და ვი ბე ნი...

### ყაზალი ხელებზე

ასე ამოდ რომ მეხვევა გრძნობის მხელით ერთი ხელი, |  
მე რომ მიყვარს ეს შეხება, – არის სატრფოს ცხელი ხელი,  
ოცნებებს რომ ბუმბულივით მიმსუბუქებს მოუღლელი,  
დამფოფინებს, თავს მევლება დედისა თუ შვილის ხელი,  
მამაკაცურ ფიქრს და ნაღველს ჰურივით რომ ვუზიარებ,  
ხელი რომ არ გაეშვება, ის ხელია მამის ხელი,  
ჩემს ცხოვრებას რომ მოჰყვება ერთად ბრძოლით, შრომით, ლხენით,  
არასდროს რომ გამეცლება, – მეგობრისა გახლავთ ხელი,  
ლამეების დგება წყება... ათას უკუნეთ და მრუმე  
ლამეს რითაც გაეძლება, – არის მარტოობის ხელი,  
ჩვენი მზერის თანამგზავრი, მუდამ ყველგან რომ დაგვყვება,  
ჩვენს ხელებსაც ხომ ეხება შეხვედრის და გაყრის ხელი?..  
ჩიტივით რომ აფრთიანებს სიტყვას, გულისნადებს, ვნებას,  
კალამი არ დაეხრება, თუ პოეტის გახლავთ ხელი,  
სიკვდილშიც რომ გამომყვება, მალამოდ რომ დამედება  
და ხიდად რომ გამედება, – სიყვარულის არის ხელი!..

## პ ა რ ი ზ ი

სონეტი

ოდეს პარიზის შუადღის მზის თაკარა აღი  
აპრიალებს და ალაპლაპებს სახლებს სარკულად,  
პარიზი ისე გაწოლილა, ისე გართხმულა,  
ვით ქვაფენილზე – გათანგული, ფერმკრთალი ქალი...

მერე იწყება გაცოცხლება, აჩოჩქოლება,  
თუმც გადიქცევა იმ საღამოს სიზმრად ყოველი,  
ხოლო პარიზი, აღრეული, შეუცნობელი,  
ბრმა ურჩხულივით შესაზარი რამ გეგონება...

და ეიფელიც – ციცქანა ტვინით, ვეება ტანით,  
აზრდაშეტილი გამოხედვით, გაყინულ თვალით,  
გიახლოვდება და გშორდება და იძირები...

გინდ უსასომ სიყვარულმა გაგაპარტახოს,  
გინდ აგაყმუვლოს, ჩაგაძალლოს, აგატალახოს,  
ამ ქალაქისგან შენ ყოველ წუთს გაიწირები...

## ლამის მდინარე

როგორც ლამე, უკუნი, მიდიოდა მდინარე  
ღრმა ხეობის ფსკერზე და გეზი ჰქონდა ზიგზაგი,

ქარაფიდან ვუცქერდი იმ უფსკრულს და იმ არეს,  
ჩემი სულიც ერთოდა, ისწრაფოდა მისაკენ...

თითქოს მძლავრი გულ-მკერდი აუდ-ჩაუდიოდა,  
როცა განათდებოდა ცივი მთვარის ციაგით,

ო, რა სავსე იყო და ო, რა თავისთავადი,  
თამამი და შიშველი, უბრალო და ზეიადი...

მღერა მისი – სამყაროს სევდის ამომღერება,  
ბორგვა მისი – ამბოხი კალაპოტის პატიმრის...

დავცქეროდი მეგობრის თავგანწირულ ხეთქებას  
და მის ზვირთებს დილეგში აბრუნებდა ნაპირი...

თურქულიდან თარგმნეს  
მაყვალა ხარებავამ  
და  
ია სულაბერიძემ

## მურათჰან მუნგანი (დაიბ. 1955 წ)

მურათჰან მუნგანი სტამბოლში დაიბადა. მას ეკუთვნის ლექსები, ნოველები, რომანები, პიესები, კინოსცენარები.

მიღებული აქვს ჰალდუნ თანერის (1987) და ერდალ ოზის (2012) სახელობის პრემიები.  
მისი ნაწარმოებები მრავალ ენაზე თარგმნილი.

\*\*\*

ძვირფასო ჩემო, საყვარელო ჩემო ობილო,  
თვეს თვე მიჰყვება, დრო კი დგას და აღარსად მიდის,  
დახშულა კარი, უნდა ეს დღეც გადავაგორო,  
გავცქერ ქვეყანას, – ქვეყანაა დაპინდულ მინის...  
მიდის ცხოვრება, მიუყვება, თანაც არ იძვრის,  
შენ რომ გიყვარდა, ის სიმღერა ოთახში ისმის  
(ორის მაგივრად მე სიმღერის მოსმენაც მიმძიმს),  
შენ რომ გემოსა, ის სამოსი ტანზე მაცვია,  
შენ რომ ხედავდი, ის სიზმრები ძილმა მაწვია,  
სურნელი შენი შენს პერანგად მხრებზე მასხია,  
დღე ინავლება... კვლავ ფინჯანში ყავა ასხია...  
არ ვაღებ კარებს, ტელეფონის არ ვუსმენ ზარებს  
და უმომავლო მოგონებებს ვუთენებ ღამეს...  
ჩემო ობილო, რა ალალი ღიმილით გვიცქერ,  
რას არ დავთმობდი, ეგ ღიმილი კვლავ რომ მანახა...  
შენ ხომ არ იცი ამ ფოტოზე,  
რომ ალარა ხარ....

თურქულიდან თარგმნეს  
მაყვალა ხარებავამ  
და  
ია სულაბერიძემ



სომხეთი ლიტერატურა



## გურგენ ხანჯიანი (დაიბ.1950 წ.)

სომეხი პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, სომხეთის მწერალთა კავშირის წევრი, დაიბადა ერევანში. ხანჯიანის ნანარმოებები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, სპარსულ, ქართულ, რუმინულ ენებზე. მას მინიჭებული აქვს „ოქროს ლერწმის“ სახელმწიფო პრემია, სომხეთის მწერალთა კავშირის ორი პრემია: პროზისა და დრამატურგიის დარგში, უურნალ „ნარცისის“ ყოველწლიური პრიზი. 2011 წელს ხელოვნებისა და კულტურის სფეროში გამოჩენილი შემოქმედებითი მიღწევებისთვის მოვალე ხორენაცის სახელობის მედალი მიენიჭა.

### ვირთხე

დ ეჭვებს შეეპყრო. უკვე რამდენიმე დღეა, რაც უცნაური წინათგრძნობა დაუფლებოდა და ვერაფრით ხვდებოდა, რისი მანიშნებელი უნდა ყოფილიყო. ყოველდღიურობაში რაიმე ხელშესახები ცვლილება არ მომხდარა, რაც დაახლოებით მაინც მიუთითებდა წინათგრძნობის იდუმალებაზე.

უშედეგო აღმოჩნდა ბოლო დღეების სრული პედანტიზმით გაანალიზება – ყოველდღიურობა უცვლელი იყო: დილით აჩქარებით სანსლავდა თავისი ჩევეულებრივ ნივრიან ერბოკვერცხს, მუქ ლურჯ, ხანგრძლივი ხმარების გამო უკვე ალაგ-ალაგ მბზინავ ჰალსტუხს იკეთებდა, სიმელოტეს ჰალსტუხისვე ფერის კანტიანი ქუდით იფარავდა, მოკუმული ვიწრო ტუჩებით სიგარეტს უკიდებდა, იღლიაში ტყავის გაცვეთილ საქალალდეს ამოიჩრიდა და სახლიდან გადიოდა. ლიფტის კაბინაში ძირს აგდებდა სიგარეტის ნამწვს, ბარაქიანად დააფურთხებდა, მერე კი გასრესდა. ერთმანეთში შეზელილი ფურთხი და გაგლეჯილი თამბაქოს ნამწვი საზიზლარ, მოლიპულ ჭუჭყიან ლაქად იქცეოდა. ხშირად გადაფურთხების ჩვეულება ჰქონდა – საკუთარი სკორეთი ნიშნების დამტოვებელი ცხოველივით. მეტროში გვირაბის სიღრმიდან გამონათებულ სინათლის ვიწრო და გრძელ სხივს შორიდანვე შენიშნავდა ხოლმე, ვითომ პანიკურად, უადგილოდ იწყებდა ხალხისთვის ხელის კვრას, ხოლო ხალხმრავალ ვაგონში

ისე ახერხებდა დადგომას, რომ სახელურებზე ჩაჭიდების აუცილებლობა აღარ იყო და გაუთავებლად ყალბად ამთქნარებდა – მგზავრებს სახეებში ნივრის სუნს აფრქვევდა. ოფისში სიავეს ძნელად და წარუმატებლად ნიღბავდა, ფარისევლურად ულიმოდა თანამშრომლებს, ხოლო, უკვე შებრუნებულებს, ბეჭებში ასობდა შეუნიღბავ, გესლიან, ქედმალლურსა და სიძულვილით აღსავსე მზერას. სალამოს, სამსახურიდან სახლში მიმავალი, მშობლებისგან უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვების თავზე მოკაკული საჩვენებელი თითით წანკიპურტების ან ოცნებებით გატაცებული გულუბრყვილ გამვლელისთვის ფეხზე დაბიჯების შანსს ხელიდან არ უშვებდა. სახლში ჯერ ტანსაცმელს იცვლიდა, შემდეგ ვახშმობდა და ტელევიზორს რთავდა – ეკრანის მოვლენებს თავისთვის ხმამალლა ურთავდა კომენტარებს. არაფერი მოსწონდა, რის გამოც კომენტარები სავსე იყო ვულგარული გამოთქმებითა და გინებით. უკმაყოფილება უმაღლეს მწვერვალს რომ მიაღწევდა, გაბრაზებული წამოსტებოდა ხოლმე ადგილიდან, აჩქარებით აჭერდა ტელევიზორის ღილაკს თითს და დასაძინებლად წვებოდა. საწოლში დიდხანს ოცნებობდა – უცნაური ბორგვითა და ოხვრით ოცნებობდა სიბნელეში, ფარდებსაც კი ჩამოაფარებდა ხოლმე, თითქოს გამოაშკარავებას უფრთხოდა. დიახ, ყოველდღიურობა უცვლელი იყო, თუმცა წინათგრძნობა არ ქრებოდა და დ იძულებული იყო, ეფიქრა,

რომ, ადრე თუ გვიან, რაღაც მაინც მოხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს რაღაც შეიძლება უსია-მოვნო ყოფილიყო, მაგრამ გაურკვევლობა ყოველთვის ინტერესს შეიცავს და დაც ელოდა.

ელოდა და ცდილობდა, გაპეტეოდა იმ მწებავ სასოწარმკვეთ ფიქრს, რომ ბოლო დროს დამით კედლის მიღმა გაჩენილი ფხაჭუნი რაღაცნაირად დაკავშირებული იყო მის მოლოდინთან.

თუმცა დღეები გადიოდა, ხოლო ცხოვრება, დაუსარულებელი უსიამოვნო ფხაჭუნის გარდა, მისახვედრად არავითარ საყრდენერტილს არ სთავაზობდა. ჩვეულებრივ, როცა უსიამოვნო ფხაჭუნი პიკს აღწევდა, და ჩუსტს იღებდა და კედლისკენ ისროდა, კედლის მიღმა დაუყოვნებლივ სიჩუმე ისადგურებდა, ისე, თითქოს იქ ყურადღებით ცდილობდნენ ოთახის მოვლენების ამოცნობას. ცოტა ხნის შემდეგ ფხაჭუნი ისევ გრძელდებოდა. ხმები კი დღითიდღე უფრო მკვეთრი ხდებოდა, ახლოვდებოდა და ვირთხისთვის ხელის შეშლას სულაც არ ცდილობდა. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ წინათგრძნობა და კედლის მიღმიერი ხმები რაღაცნაირად დაკავშირებული იყო ერთმანეთთან, ფხაჭუნისგან მოყენებული უსიამოვნება მოლოდინით სავსე ინტერესში გადაიზარდა. დას უკვირდა ვირთხის გამშედაობა; ბინაში სურსათის მარაგი არ არსებობდა, ყველაფერი მაცივარში იყო გამოკეტილი, – აბა, რისი ვირთხა იყო, ამას რომ არ მიმხვდარიყო. მაშ, რა უბიძგებდა ამ ქმედებისკენ?

ბოლოს და ბოლოს, ერთ დილას, როცა დამ გაღვიძებისთანავე კედლისკენ გაიხედა, კუთხეში ახალგამოთხრილი ბნელი ხვრელი დაინახა, რომლის კიდეები, თითქოს ქლიბით, მზრუნველად მოესწორებინათ, იატაკზე კი ნახერხი ეყარა.

იმ ღამეს დამ შუქი ანთებული დატოვა, დაჯდა ლოგინზე, ყვრიმალებიანი წვრილთვა-

ლა მელოტი თავი ხელებში მოიქცია და დაელოდა. ღამის რომელიღაც მონაკვეთში, როცა სადაცაა, ძილს უნდა დანებებოდა, ხვრელის მხრიდან წრიპინი მოისმა. დამ დამძიმებული ქუთუთოები ასწია და დაინახა – ვირთხა ბზართან იჯდა და მას ყურადღებით მიშტერებოდა.

გარკვეულ ხანს ჩუმად აკვირდებოდნენ ერთმანეთს, მერე ვირთხამ დაინწრიპინა და აუჩქარებლად შეძვრა ბზარში. გაცნობა შედგა. და დამ უცებ გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ აზრადაც არ გაუვლია ვირთხისგან გათავისუფლება. ხვრელიც კი არ ამოქოლა. პირიქით, ერთი ცხიამიანი ყველის ნაჭერი დაუდო ხვრელთან, ხოლო მეორე დღეს – პატარა ლამბაქით – რძეც. ვირთხას გაწეული მასპინძლობა მოეწონა და პუნქტუალური სტუმარივით ყოველდღე დაინყო ვახშამზე დასწრება. მალე უნდობლობის ტიხარი სრულიად გაქრა. ის ოთახში უკვე გაბედულად სეირნობდა და კუთხეებს ყნოსავდა.

დას უჭირდა რუხი მღრღნელის მიმართ თავისი კეთილგანწყობის ახსნა. თითქოს უხილავი ძალის ნებით აღმოცენებული უჩვეულო სიმპათია უცნაური იყო, რადგან მას ცხოველები არასდროს ჰყვარებია. პირიქით, მიამიტი ძალლისა ან კატის წიხლისკვრის შანსი არასდროს გაუშვია ხელიდან. და უცებ – ვირთხისადმი სიმპათია. დას სადღაც მოესმინა ვირთხისა და ადამიანის სპერმის მსგავსებაზე, თუმცა გულუბრყვილობა იქნებოდა ამით ორმხრივი სიმპათიის ახსნა. მაშ, სადიმალებოდა მათი მაკავშირებელი იდუმალი ძაფები?..

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩებოდა – დასა და ვირთხას შორის მეგობრობა დამყარდა, რომელიც დღითიდღე ახალ-ახალი გამოვლინებით მყარდებოდა.

სასაცილო სანახაობა იყო, როცა დაუსტების ფლასუნით და ულაზათო სტვენით ვახშამს ამზადებდა, ვირთხა კი ფეხდაფეხ დაპყვებოდა, თან ლაქგადასმულ პარკეტზე

თათები გამუდმებით უსხლტებოდა. საქმარი-სი იყო, და გაჩერებულიყო – ვირთხა შესაძლებლობას იყენებდა და ნოტიო დრუნჩის ნაზად უსვამდა ჩუსტებიდან გამოჩინილ მის შიშველ ქუსლებს. მსგავს წუთებში და-ს უნებლიერ ცოლი აგონდებოდა, რომელიც ეუბნებოდა: „არ მესმის, ასეთი აყროლებული ფეხებით როგორ შეიძლება ცხოვრება?“ თავის აზრებს და, ჩვეულებრივ, ვირთხას უზიარებდა: „აი ახლა ძეხვს დავჭრით, ასე... ახლა მწვანილი გავრეცხოთ... სადაა მწვანილი, გრძელებულა ავაზაკო, ჰა? აჰა, ვიპოვეთ. გეყოფა ჩემი ფეხის ლოკვა, ყველი არაა, მოითმინე ცოტა, წადი ოთახში და მოიცადე, ახლავე მოვიტან. ეჱ, მეგობარო, რომ იცოდე, რა ცხარე კამათ-ში ჩავები დღეს... ნაძირლები. არა უშავს, არა უშავს, ცოტა დარჩა, ახლოსაა დრო. მე ვგრძნობ, რომ მოდის ჩემი დრო, მალე მოფოფხდებიან ჩემთან, მალე ინანებენ. შენ ხომ გჯერა ჩემი? აი, ადამიანი რომ ყოფილიყავი, რაებს გავაკეთებდით ერთად... მარტო ძნელია, ჩემთვისაც კი. საჭიროა თანამოაზრეების ყოლა, მაგრამ საიდან?.. ჩემ ირგვლივ ულვინტიანი, მშიშარა, შურიანი ადამიანები არიან, ვის ვენდო? მოიცა, ძმაო, ასე ნუ დააცხები საჭმელს, დაიხრიობი.“ საპასუხოდ და ვირთხისგან სხვადასხვა ჰანგის წრიპინს ისმენდა და ეს სრულებით აკმაყოფილებდა, რადგან ვერ იტანდა, როცა ლაპარაკს აწყვეტინებდნენ, ან რჩევებს აძლევდნენ, ანდა, რაც ყველაზე აუტანელი იყო, ენინააღმდეგებოდნენ. და ღრმად იყო დარწმუნებული – არ არსებობს და არ იარსებებს ისეთი ვინმე, ვინც მისი აზრების განხილვის ღირსი იქნება.

როდესაც პირველად მიეფერა ვირთხის რუს ბეწვს, აღმოაჩინა, რომ ეს არათუ საზიზლარი არაა, არამედ საკმაოდ სასიამოვნოც კია... ვირთხა რბილი იყო, თბილი. მიუხედავად ამისა, და დიდხანს ვერ ბედავდა მის თითქოსდა უსიცოცხლო შიშველ კუდზე მიკარებას, თუმცა მოგვიანებით ამასაც მიეჩვია.

ჩვეულებრივ, ვახშმის შემდეგ, როცა ტელევიზორის წინ ჯდებოდა ხოლმე, ვირთხა უბენვოვარდისფერ თათებს მუცლის ქვეშ ამოიკეცავდა, და-ს მუხლებზე მოკალათდებოდა და მის ალერსს ნებდებოდა. სიამოვნებისგან თვალებს ხუჭავდა, დროდადრო თავდავიწყებით წრიპინებდა. და-სთვის კი სასიამოვნო იყო ვირთხის რიტმული სუნთქვა, ამავალ-ჩამავალი სხეულის სითბო.

ზამთრის ბოლო დღე იყო. საღამოს და სახლში ამაღლებული განწყობით დაბრუნდა, ორი მძიმე სასურსათო პარკით დატვირთული. ის და ვირთხა უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ ერთმანეთის განწყობებს. ასე რომ, ვირთხისთვის ერთი ზედაპირული მზერაც საკმარისი იყო, რათა დაუყოვნებლივ გადასდებოდა და-ს სიხარული. მან ციბრუტივით ტრიალი და მხიარული ხტუნვა დაიწყო. და-მ ქუდი მოიხადა, დაუმიზნა და ესროლა. ნასროლი ზუსტი აღმოჩნდა: ქუდში მომწყვდეულმა ვირთხამ, და-ს ხარხარის ფონზე იატაკზე აქეთ-იქით იწყო სრიალი. როცა, ბოლოს და ბოლოს, ტყვეობიდან დახსნა მოახერხა, ცბიერი თვალები საყვედურით შეანათა და-ს.

– აბა, – დაიწყო და-მ, – ახლოს მოდი, მოულოცე შენს მეგობარს, დღეს დაბადების დღე აქვს. ცხონებულ ბებიაჩემს თუ დავუჯერებთ, მე შუალამემდე მხოლოდ ერთი საათით ადრე დავიბადე. ნეტა, რატომ ვიჩქარე? ცოტაც მომეთმინა, რა. გესმის, რას ნიშნავს ოცდაცხრა თებერვალს დაბადება?.. ეს ნიშნავს, რომ ჩემი დაბადების დღე ითხ წელინადში ერთხელაა მხოლოდ.

ვირთხის ინტერესით აღსავსე გამომეტყველებამ და სასურსათო პარკებზე მიშტერებულმა მზერამ და-ს სუფრის გაწყობისკენ მიანიშნა.

– დღეს შენს ლამბაქს მაგიდაზე ვდებ. ვერიფობთ მე და შენ, და მიმიფურთხებია ვირთხული და ადამიანური მოდგმის ყველა დანარჩენი წარმომადგენლისთვის. აი, ეს პა-

ტარა ბალიში შენთვის მოვიტანე, მაგიდაზე დავდებთ, ჩემ პირდაპირ. ასე. ახლა შეგიძლია დიდებულად დაბრძანება.

დ-მ ფრთხილად აიყვანა ვირთხა და წესებისთვის განკუთვნილ ხავერდის რბილ ბალიშზე მოათავსა, მერე შეხედა და შენუხდა:

– ბოდიში, კუდი არ გამითვალისწინებია. მისმინე, რაში გჭირდება ეგ უაზრო კუდი, ჰა? მოდი, მოვჭრათ... კარგი, ნუ იბუსხები, ვიხუმრე, შენ მშვენიერი კუდი გაქვს, მღრღნელთა ოჯახის კუდებს შორის – საუკეთესო. კმაყოფილი ხარ?.. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ხარ, მლიქვნელობა ყველას უყვარს – ადამიანსაც და ცხოველსაც.

დ-მ ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო. ჩვეულებრივ, ამ ქმედების სიჩქარის მიხედვით ვირთხა უცდომელად წარმოიდგენდა ხოლმე მისი შიმშილის დონეს. ისე ხდებოდა ხოლმე, რომ დ ტანსაცმელს ვახშმობის მერე იცვლიდა, რითაც განუზომელ სიხარულს ანიჭებდა ვირთხას. ამჯერად მას საშინაო ტანსაცმელი არ ჩაუცვამს, განიერი შარვალი აინია, ტანსაცმლის კარადასთან მივიდა და ძვირფასი შავი კოსტიუმი გამოიღო, რომელიც სადღესასწაულო დღეებისთვის იყო განკუთვნილი.

– მოგწონვარ? – იკითხა, როცა ჩაიცვა.

ვირთხამ დრუნჩი აილოკა, მოუთმენლად გაიხედა სასურსათო პარკებისკენ.

– გასაგებია, – თქვა დ-მ და სუფრის განყობა დაიწყო. – ნახე, რა ყველია, დიდი ხვრელებით, ცხიმიანი. ჰოლანდიურია. რძის ნაცვლად დღეს რძის ნაღებს მიიღებ. ეს ზეთისხილია, შენ არ შეჭამ. ეს ბასტურმაა, არც ამას შეჭამ, ცხარეა. არც ლორს შეჭამ? აი, ხილი. ესეც – კონიაკი. კონიაკს არ დალევ, არა? იშმუშნები, რა გესმის შენ კონიაკის?

ხელი კონიაკისკენ წაიღო და გახსნა დაიწყო.

– იცი, ჯარში რომ ვმსახურობდი, ყა-

ზარმის საწყობის უფროსი ვიყავი. თქვენ ვერაფერს გიხერხებდით. იძულებული ვიყავი, ხაფანგები დამეგო. აბა, რა მექნა? შენი მოდგმისანი ჩემთვის ჩაბარებულ მთელ სურსათს აჩანაგებდნენ. მართალია, მათი ყოფნა აუცილებელი იყო, რათა ჩემი ნაქურდალი მათ-თვის დამებრალებინა, მაგრამ ზღვარს სცილდებოდნენ.

დ-მ ჭიქა შეავსო:

– მოდი, დავიწყოთ.

ვირთხამ მზერა ცხიმიან ყველის ნაჭერს მიაპყრო, ცოტა რძის ნაღები დალია, ხოლო, როცა ყველს შეუტია, დ-მ სიცილით აღნიშნა:

– ხვრელები მაინც დატოვე, შე ოხერო.

ცოტა ხნის მერე, როცა შიმშილის პირველმა ტალღამ გადაიარა, სიგარეტს მოუკიდა, გამწოვი ჩართო – ვირთხა კვამლს ვერ იტანდა.

– მისმინე, რატომ ხარ მარტო? – იკითხა დ-მ, – სად არიან შენები, ცოლი, შვილები, ჰა? თუ შენც ისეთივე ურთიერთობა გაქვს შენს მოდგმასთან, როგორიც მე -ჩემებთან?

ვირთხამ შეწყვიტა ყბების ცმაცუნი და ანცად შეიჭმუხნა ცხვირი.

– იქნებ?.. უი, აზრადაც არ გამივლია. – დ-ს ის უცნაური თრთოლა გაახსენდა და ჩაიხითხითა. – მდედრი ხარ? მართლა? მოდი, მოდი, ვნახო. აბა, აბა, ნუ გრცხვენია. მან ფრთხილად გადააბრუნა ვირთხა ზურგზე. განსაკუთრებულ სხვაობას ვერ ვხედავ... ხო, აი... თან როგორი ვარდისფერი ძუძუები გქონიათ, ქალბატონო. კარგი ახლა, ნუ იპრანჭები, ჩვენ ხომ შინაურები ვართ. ხომ ქალწული ხართ?..

ვირთხამ მორცხვად, მაგრამ არცთუ სიამაყის გარეშე, თვალები მოჭუტა. დ-მ სიცილით გაუშვა, ასანთის ღერი აიღო, კარგად მოკალათდა სკამზე და გრძელი, ყვითელი კბილების ჩიჩქნა დაიწყო. ასანთი არ გაუთლია, ამის საჭიროება არ იყო, კბილები ერთმანეთს ისე ჰქონდა დაშორებული, რომ

ასანთის ლერი ასეც თავისუფლად ეტეოდა ხვრელებში. ცოტა ხანს თავდავიწყებით იჩიჩქნა, მერე ლერი მოიშორა და ჩიჩქნა ენით გააგრძელა, კბილები გაიკრიალა, დალეჭა პირში დარჩენილი ნამცეცები და ხელახლა შეუდგა ჩიჩქნას.

— ეჰ, აბა, რა გითხრა, — ალაპარაკდა, როცა ჩიჩქნა დაამთავრა და ასანთის ლერი გადააგდო. — ადამიანებს ჯიუტად არ სურთ ჩემი განსაკუთრებული მნიშვნელობის შემჩნევა ამ ცხოვრებაში, მე ზემოდან დამეკისრა განსაკუთრებული მისია. სამწუხაროა. დრო შეიცვალა, ადამიანები ალარ არიან გამსჭვალულები დიადი იღებით, პატარა პრობლემების მქონე ანგარებიან ქმნილებებად არიან ქცეულნი. შურიანები არიან, ძალიან შურიანები. ჩემი შეცდომაცაა, ალბათ, ადრე გამოვავლინე საკუთარი თავი, მათ დროზე ადრე დაინახეს ჩემი სიდიადე და გამუდმებით თავში მირტყამდნენ — გამუდმებით ჩრდილში მტოვებდნენ. მე, რომელიც ყველგან და ყველაფერში პირველი უნდა ვყოფილიყავი. გარდა ამისა, თანამოაზრები არ მყავს, თანამოაზრების გარეშე კი ძნელია. იყო ერთი, ვისაც დიდხანს ვაკვირდებოდი. ლამაზი, სასიამოვნო ბიჭი. ვიფიქრე, ის იყო, ვისაც ვეძებდი. როგორ შევცდი. ერთხელ მოვიწვიე და დაველაპარაკე, ასე ვთქვათ, კარტები გავუხსენი. წარმოგიდგენია, მე მას შევთავაზე ის... ნუ... ჩემი ის რომ ყოფილიყო. აი, ის, თანამოაზრე, თანამზრახველი, მარჯვენა ხელი, ასე ვთქვათ. მან კი გულდასმით მომისმინა და მითხრა: „მისმინე, შენ გამოსამწყვდევი ხარ“. სულელი, გულუბრყვილო, ტუტუცი, ჰუმანისტი ძალლიმვილი... ადამიანებზე ფიქრობს თურმე. ვინ არიან ადამიანები? ვინ? შენ გეკითხები... უნებისყოფო, უმიზნო ბრბო, უსახო ბიომასა. ისინი ჩემნაირმა უნდა ჩამოაყალიბოს და მიზანმიმართული გახადოს. სამყაროს მონარქი სჭირდება, უბრალოდ, აუცილებელია. და აღიგზნო, მუშტი დაარტყა მაგიდას

და იყვირა — მეამბოხეებისა და დავრდომილთა მოსპობა...

მისმა დარტყმამ მაგიდა შეარყია. წონასწორობადაკარგული ვირთხა ჩამოვარდა.

— ადექი მალე, არ მიყვარს, როცა მაწყვეტინებენ, — იყვირა დ-მ.

ვირთხა სწრაფად აძვრა მაგიდაზე და გატრუნული მიყუჩდა პატარა ბალიშზე.

— სათქმელი დამავიწყდა. გითხარი, ნუ მაწყვეტინებ. ვერ შემახსენებ?.. ხო, გამახსენდა. ესე იგი, ასე — ჩემი სპეციალური სისტემის მიხედვით, ყველა უნდა დახარისხდეს და ყველა უნდა მუშაობდეს, არც ერთი უსაქმო წამი არ უნდა დაიშვას, უსაქმურობა ყველასთვის არაა, უსაქმურობა წამლავს უბრალო ადამიანის აზრს და სულს, ზედმეტი სურვილები უჩნდება ხოლმე, ირყვნება. დაღლილ, დამსახურებულ ადამიანს კი არაფერი უნდა, მუცლის აკსებისა და დაძინების გარდა. თავისუფალი მხოლოდ ელიტა უნდა იყოს, ანუ მე და ჩემნაირები, ასეთები თუ მოიძებნება, რაშიც უკვე ღრმად მეპარება ეჭვი. მონარქი, რომელიც წარუძღვება უთავო ცხვრების ფარას. გასაგებია? მე პოულარულად ავხსენი, ასე ვთქვათ, სქემატურად. დეტალები, მაგალითად, რა უნდა გაკეთდეს, ცხვრებმა სრულყოფილი ბედნიერება რომ იგრძნონ და სხვა, ვირთხული ტვინისთვის არაა.

დ-მ ჭიქაში მინერალური წყალი დაისხა და ხარბად დალია.

— არა უშავს, არა უშავს, ჩემი დროც მოვა, მე ჯერ კიდევ ვიძიებ შურს, ისინი ჯერ კიდევ იხოხებენ დიადის წინაშე, მე კი როზგით, როზგით...

ის ცოტა ხანს ფიქრებში ჩაძირული დუმდა, მერე კი თქვა:

— აი, ვირთხა რომ ვყოფილიყავი... წარმოგიდგენია, რაებს გავაკეთებდით ერთად? თქვენ, ვირთხები, თაყვანს მცემდით, არა? თქვენ უფრო ორგანიზებული მოდგმა ხართ, თქვენ მხოლოდ მცოდნე, ჭკვიანი წინამძლო-

ლი გჭირდებათ. მე გაგაერთიანებდით და ადამიანების წინააღმდეგ გაგიძლვებოდით. ის საცოდავები ისეთი ძლიერები არ არიან, თქვენ რომ გეონიათ. ჩვენ მათ ბაქტერიებით მოვერეოდით. არავითარი ბომბი, არავითარი აფეთქება, მხოლოდ პანუკა, ლამაზუკა ბაქტერიები. ჩემს სამუშაო ოთახში კოლბები და სინჯარები გინახავს? დიდი, სქელკედლებიანი მწვანე სინჯარა?.. მაშ, საყვარელო, უქმად არ ვზივარ. სპეციალური ხრწნის ნარევზე გამრავლებული ბაქტერიებია. ჯერ ჩემს მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ საფუძველი ჩაყრილია და იმედისმომცემია. მისმინე, ინფექცია ვირთხების მეშვეობით რომ გავავრცელოთ? ჰა?.. კარგი აზრია, არა? თუმცა ეს იდიოტები მალე, ალბათ, თვითონ დაიხოცავენ თავებს, იმდენი იარაღი აქვთ დაგროვილი. ერთ დღეს ხომ აფეთქდება, არა? ჩემმა ბაქტერიებმა ხელი უნდა შეუშალონ მათ, მაგ ცხვრებთან ერთად მეც ხომ არ დავიკარგები? თქვენ რა გიჭირთ, მიწის ქვეშ მოიყრით თავს და გადარჩებით. სამყარო ვირთხებს დარჩება.

ვირთხა უცებ შეწუხდა და მაგიდიდან ჩამოსასვლელად მოემზადა.

– საპირფარეშო? – მიხვდა დ. – წავიდეთ, მეც მაქვს მაგის საჭიროება.

ადგა. შეამჩნია, რომ ვირთხა თავისი ბზარისკენ მიდიოდა. დაუძახა:

– სად მიდიხარ? მოდი, ჩემი საპირფარეშოთი ისარგებლე, მოდი, მოდი, ნუ გრცხვენია.

საჭიროების მოთავების შემდეგ ოთახში დაბრუნდნენ, წინ ზურგზე შემოწყობილი ხელებით დ მოდიოდა, უკან არანაკლებ გოროზი პოზით – ვირთხა.

– მისმინე, – დ-მ ბოთლის ძირში დარჩენილი კონიაკი ჭიქაში ჩაცალა, -საინტერესოა, თქვენი ვირთხული გემოვნებით, შენ მომხიბვლელი მდედრი ხარ, თუ?.. ალბათ, არც ისე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო არ დარჩებოდი.

პროტესტის ნიშნად ვირთხამ მჭახედ დაიწრიპინა.

– ანუ იქნებ ლამაზიც ხარ, იმდენად ლამაზი, რომ შენთვის ღირსეული მამრი არ მოიძებნა, ჰა?

ვირთხამ პრანჭვა-გრეხვით დააპაჭუნა თვალები.

– აი, ჩემნაირი მეგობარი რომ ჩაგვარდნოდა ბრჭყალებში, ხელიდან არ გაუშვებდი, არა? ჩემმა სულელმა ცოლმა ვერ დააფასა ჩემი ღირსებები. „ღმერთს უნდა უმადლოდე, საჩუქრებში უნდა მაბანავო, შენთან დაწოლას რომ ვთანხმდება“. წარმოგიდგენია, რას ამბობდა? ცანცარა, სულელი ქალი. სულელი ქალები, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ძვირად სურთ თავიანთი აყროლებული სხეულების გაყიდვა. საზიზღარი მეძავები. სულ არ მჭირდება. მიმიფურთხებია. ჩემნაირი მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანი მათ გარეშეც იცხოვრებს, – დ-მ უნებურად გახედა ფანჯრის რაფაზე დადებულ ჭოგრიტს.

– დიახ, მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი წარმოსახვა და მსოფლიოს ულამაზესი ქალები შენია – როგორც და როცა გენებოს. და ხარჯების განევაც არ გჭირდება, არცერთი კაპიკის, – გადაიხარხარა, – ასე ეშმაკურად რატომ ილიმი? მითვალთვალებდი?.. მითვალთვალებდი, შე ოხერო.

ვირთხამ თვალები დახარა.

– ეს მანკი არ არის, არ იფიქრო, – თავი გაიმართლა დ-მ, – ეს მაძლიერებს. არცერთი ქალის ხიბლს არ შეუძლია ჩემი ჭკუიდან გადაყვანა. მიმიფურთხებია მათვის, მე ძლიერი ვარ და დამოუკიდებელი. მაგ კახპებს ჰგონიათ, რომ ლამაზი ფეხები საკმარისია სასურველი მამაკაცის გასასულელებლად. ასეც არის. მაგრამ ეგ ჩემზე არ ვრცელდება. ჩემი უფროსის მდივანი, მაგალითად, ჩემ გვერდით გავლისას სპეციალურად აქნევდა სავსე უკანალს, მე კი, უბრალოდ, არ ვიმჩნევდი, დაუ, გასკდეს. საიდან ეცოდინება უფროსის

მაგ კახპუკას, რომ მე უკვე არაერთხელ ვწოლილვარ მასთან, თან როგორ, როგორ პოზებში...

ვირთხას ისევ მოშივდა, პაუზით ისარგებლა და ერთი დიდი ნაჭერი ლორი დაითრია.

— მართალია, ცოტაც ვჭამოთ, — დ-მ ხელი ჭიქისკენ წაიღო, — მე კიდევ ერთი ჭიქა კონიაკი მაქვს. დასანანია, რომ არ სვამ.

ორივენი საქმიანად ღეჭავდნენ. მერე და მ სიგარეტი მოწია, საათს შეხედა და თქვა:

— აი, ნახევარი საათი დარჩა. მე კი დარჩენილი კონიაკი უკვე დავლიე. დაბნეული გავხდი, გულმავიწყი... ეჱ, ნახევარ საათში, სამოცი წლის წინ...

მოიწყინა, ხარბად ჩაისუნთქა სიგარეტის კვამლი და ფანჯრისკენ მიტრიალდა. თითქმის მთელი დღე გაზაფხულის წვიმა მოდიოდა, ახლა კი წვიმას თოვლი შენაცვლებოდა. ქარის მახეში გაბმული ფიფქები ქუჩის ლამპიონს დასტრიალებდნენ, ისედაც მბჟუტავ სინათლეს კიდევ უფრო აფერმურთალებდნენ. ლამპიონის ჟანგიანი ქუდი მელანქოლიურად ირწეოდა და სინათლის ძირსდავარდნილი, უფერული ზოლი აქეთ-იქით მიმოჰქონდა.

დ გაყინული მზერით მიშტერებოდა მოულოდნელი თოვლისგან გაკვირვებულ გამვლებს, რომლებიც, საგაზაფხულო პალტოებში შეფუთნილები, თავიანთი თბილი ბინებისკენ მიიჩქაროდნენ. „მათ ელიან“, — გაიფიქრა დ-მ, მზერა ტალახში არეკლილი ცივი ციალისკენ მოაბრუნა და სევდიანად ამოიოხა:

— მთელი სამოცი წელი, — თვალები ნოტიო გაუხდა, სახე დაუგრძელდა, ტუჩის კიდეები ჩამოეკიდა, — დედა, დედა... რაში გჭირდებოდი? არ მჯერა, რომ შენ და ის ლოთი ბავშვის გაჩენაზე ფიქრობდით. თქვენ, უბრალოდ, თქვენს მთვრალ ვნებებს იქმაყო-ფილებდით. მერე ფაქტის წინაშე დადექით,

რომელიც მე ვიყავი. მან, რა თქმა უნდა, მიგა-ტოვა და შენ მარტო დარჩი შენს შეცდომას-თან ერთად, ხოლო ადამიანებს საკუთარი შეცდომების გამუდმებით ყურება არ უყვართ და წლების მერე შენც გაუჩინარდი — უძლურ ბებერს შემატოვე. მე ახალი შეცდომების დაშვებაში ხელს გიშლიდი.

დ გაჩუმდა. სასტიკი გამომეტყველება მიიღო. გაუარა მყისიერმა სისუსტემ, სარკმლიდან სიგარეტის ნამწვი მოისროლა და იყვირა:

— მაგრამ მე ყველასთვის მიმიფურთხებია. აგად თუ კარგად თქვენ თქვენი გააკეთეთ, არ შეგეძლოთ, არ გაგეკეთებინათ, ზემოდან იყო ნაბრძანები — მე უნდა გავჩენილიყავი. დედა, მამა, ბებია, ცოლი... ჯანდაბამდეც გზა გქონიათ ყველას — პატარა, ბანალური ადამიანური კავშირები. მე გადავაკეთებ სამყაროს, მე, მე... — დ-მ ისტერიულად გაიცინა და ვირთხას შეხედა.

ვირთხა ამ მზერას ელოდა — თავის ავისმომასწავებელ მიმზიდველ თვალებში მოიხელთა და შეინახა. დ-ს ურუანტელმა დაუარა, დაუხამხამებლად, მონუსხულივით უყურებდა ვირთხას თვალებში — თვალს ვერ სწყვეტდა, შიგნით რაღაც უჩვეულო შფოთვა დაეწყო, რაღაც აუხსნელი, იდუმალი რამ ხდებოდა.

ვირთხა მაგიდიდან გადმოხტა და ნელი ნაბიჯით თავისი ბზარისკენ წავიდა, დ მოვა-დოებული მისდევდა. კუთხესთან მისვლისას ვირთხა მობრუნდა და ისევ მოიხელთა დ-ს მზერა, რომელიც მზადყოფნას გამოხატავდა. ერთმანეთს თვალებში მიშტერებოდნენ, თითქოს სიღრმეებში უნდოდათ შესვლა. დ გაუნძრევლად იდგა. ცოტა ხნის წინ დაწყებული შინაგანი შფოთვა იზრდებოდა. ეჩვენებოდა, რომ რაღაც უხილავი ძალა სხეულის ნაწილებს უგრეხდა.

ვირთხა ხვრელში რამდენჯერმე შეძვრა-გამოძვრა — ყოველ ჯერზე დ-საც ინ-ვევდა. დ-მ უცბად ცხადად იგრძნო, როგორ

უპატარავდებოდა სხეული – უპატარავდებოდა და რუხი ბეწვით ეფარებოდა, რაც მეტად უპატარავდებოდა სხეული, მით მეტად უხშირდებოდა მეჩერი წვერი. დ-ს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მისმა ჯერ კიდევ ადამიანისყურებიანმა წაწვეტებულმა სახემ მხოლოდ უაზრო წრიპინი გამოსცა. დანაოჭდა – იატაკზე გროვად იქცა მისი გამოცარიელებული ტანსაცმელი და ამ გროვიდან რუხი

ვირთხა გამოცოცდა. კისერზე ჩამოკიდებული ჰალსტუხი ჩამოიფერთხა, მდედრთან მიირბინა, უკანა თათებზე დადგა და ულვაშები აიპრისა. მდედრი მის ირგვლივ დატრიალდა, დაყნოსა, ცხვირით უბიძგა და პზარში შევრა. დ-მ ირგვლივ მიმოიხედა, ერთი წამით შეყოვნდა, მერე კი ავხორცი წრიპინით მდედრს მიჰყვა.

**სომხურიდან თარგმნა  
ასია დარბინიანმა.**



სპარსელი ლიტერატურა



## სადეკ ჰედაიათი (1903-1951)

თანამედროვე სპარსული პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საუკეთესო წარმომადგენელი სა-დეკ ჰედაიათი თეირანში დაიბადა. 1951 წ. მან პარიზში თვითმკულელობით დასრულა სიცოცხლე. დაკ-რძალულია პერლაშეზის სასაფლაოზე.

სადეკ ჰედაიათი მრავალი მოთხოვნისა და ნოველის ავტორია, თუმცა მისი მრავალრიცხოვანი ნა-წარმოებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევა მოდერნისტული რომანი „ბრძა ბუ“, რომე-ლიც მსოფლიოს ბევრ ენაზეა თარგმნილი. ქართულად რომანი ორჯერ ითარგმნა. „ბრძა ბუ“ რამდენი-მე მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმს დაედო საფუძვლად.

## სამი წვეთი სისხლი

გუშინ იყო, ოთახი რომ გამომიცალკე-ვეს. ნუთუ, როგორც ზედამხედველმა მით-ხრა, სრულად განვიკურნე და მომდევნო კვი-რაში თავისუფალი ვიქნები? ნუთუ ავად ვიყა-ვი? ერთი წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობა-ში როგორ არ ვიხვეწებოდი, ქალალდა და კა-ლამს ვითხოვდი, არ მაძლევდნენ. სულ იმას ვფიქრობდი, რა წუთსაც ჩამივარდება ხელში ქალალდი და კალამი, რამდენი რაღაცაა, რა-საც დავწერ-მეთქი... მაგრამ გუშინ, ისე, რომ არც კი მომითხოვია, ქალალდი და კალამი მო-მიტანეს. ის, რასაც ასე ვნატრობდი, ის, რა-საც ასე ველოდი... მაგრამ რა მერე? – გუშინ-დლიდან მოყოლებული, რამდენი არ ვიფიქრე, მაგრამ არაფერი მაქვს დასაწერი. თითქოს ვილაცამ ხელი გამიკავა ან მკლავი გამიშემდა. ახლა რომ ვაკვირდები, იმ აბდაუბადა ხაზებ-ში, ქალალდზე რომ დავჩხაპნე, ერთადერთი, რაც იკითხება, ესაა: „სამი წვეთი სისხლი“.

\*\*\*

ლაუგარდოვანი ცა, ამწვანებული ბალი და გორაკზე გადაშლილი ყვავილები... ნაზ სი-ოს ყვავილების სურნელი აქამდე მოაქვს... მაგრამ რა მერე? სიამოვნებას ალარაფერი მა-

ნიჭებს. ყოველივე ეს პოეტებისთვის, ბავშვე-ბისთვის და მათთვისაა კარგი, ვინც ცხოვრე-ბის ბოლომდე ბავშვად რჩება. ერთი წელია, რაც აქ ვარ, ღამლამობით კატის ხმა არ მაძი-ნებს... ეს საზარელი მოთქმა, ჩახლეჩილი ყე-ლი, სულს რომ მაცლის... დილაობით კი, ღა-მის თვალის გახელამდე, უმაქნისი ინექცია... რა გრძელი დღეები და საშინელი საათები გა-ვატარე აქ... ზაფხულობით ყვითელი შარვლი-თა და პერანგით სარდაფში ვიკრიბებით, ზამ-თრობით ბალის განაპირას მზის გულზე ვსხდებით... ერთი წელია, რაც ამ უცნაურ ხალხში ვცხოვრობ. არაფერია ჩვენ შორის სა-ერთო. ჩვენ ცა და დედამიწასავით განვსხვავ-დებით ერთმანეთისგან – მაგრამ ამ ადამია-ნების კვნესა, დუმილი, გინება, ტირილი, სი-ცილი ძილს მუდამ კოშმარებით ამივსებს.

\*\*\*

ჩვენს ვახშმობამდე ჯერ კიდევ ერთი საათია დარჩენილი. ისევ ის ერთფეროვანი საჭმელი: მაწვნის წვნიანი, ბრინჯის ფაფა, ბრინჯი, პური და ყველი, ისიც – იმდენი, სა-სიცოცხლოდ რომ გეყოს. ჰასანის მთელი ნატვრა ისაა, რომ ერთი დიდი ქვაბი აშქანე<sup>1</sup>

<sup>1</sup> ირანული ტრადიციული წვნიანი, რომელსაც, ძირითადად, ღარიბ ღვახებში მიირთმევდნენ.

შექამოს ოთხ ცალ სანგაქის<sup>1</sup> პურთან ერთად; განერის დრო რომ მოუკა, ქალალდისა და კალმის ნაცვლად დიდი ქვაბით აშქანე მოუტანონ. ისიც ერთ-ერთია აქაური ბედნიერი ადამიანებიდან. დაბალი ტანით, პრიყვული სიცილით, მსხვილი კისრით, მელოტი თავითა და დაკოურილი ხელებით – სალესი თიხის სათრევად გაჩენილი. მისი სხეულის ყველა ნაწილაკი ადასტურებს და ის ბრიყვული მზე-რაც ყიდის, რომ სალესი თიხის სათრევადა გაჩენილი. სადილობისას და ვახშმობისას, მოჰკამადალი რომ არა, ყველა ჩვენგანს ღმერ-თთან გაისტუმრებდა. მაგრამ თვითონ მოჰკა-მადალიც ამ სამყაროს ადამიანებს ჰქავს, რადგან აქ, რაც უნდა თქვან, სხვა სამყაროა, ჩვეულებრივი ხალხის სამყაროს მიღმა. ერთი ექიმი გვყავს, ღვთის წყალობით, არაფერი გა-ეგძა. მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, ერთ ღამესაც ვახშამში ყველას შხამს ჩავუს-ხამდი და შევაჭმევდი, მერე დილით ბალში დავდგებოდი, დონიჯს შემოვიყრიდი და თვალს გავადევნებდი, მკვდრებს როგორ გაი-ტანდნენ. თავიდან, აქ რომ მომიყვანეს, აკვი-ატებული მქონდა, რომ მომწამლავდნენ. სა-დილ-ვახშამს ხელს არ ვაკარებდი, სანამ მო-ჰკამადალი არ გასინჯავდა, მერე კი ვჭამდი. ღამლამობით დამფრთხალს მეღვიძებოდა, მეგონა, რომ ჩემს მოსაკლავად მოვიდნენ. ყველაფერი ეს როგორ შორეულად იქცა და გაფერკმრთალდა... ყოველთვის ერთი და იგივე ხალხი, ერთი და იგივე საჭმელი, ერთი და იგივე ცისფერი ოთხი, რომელიც კედლის შუა ზოლამდე ჩამუქებულიყო....

ორი თვის წინ იყო, ერთი გიუ ქვედა ეზოს საკანში შეემწყვდიათ. შუშის გატეხილი ბურთულით მუცელი გამოეფატრა, ნაწლავები გამოეწელა და ეთამაშებოდა. ამბობდნენ, ყასაბია და მუცლის ფატვრას შეჩვეულიაო. იმისთვის კი, ფრჩხილებით თვალი რომ გამოითხარა, ხელები ზურგსუკან შეეკრათ. ყვი-

როდა და სისხლი თვალზე შეჰქმობოდა. ვიცი, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ზედამხედველისგა-ნაა.

აქ მყოფი ხალხი ყველა ასეთი არაა. ბევ-რი მათგანი, რომ განიკურნოს და გაეწეროს, გაუბედურდება. მაგალითად, ამ სოყრა სოლ-თანმა, ქალთა განყოფილებაში რომაა, ორ-სამჯერ გაქცევა სცადა, დაიჭირეს. მოხუცი ქალია, მაგრამ სახეს კედლის გაჯით იგლესს და ფერუმარილად ნემსინვერას ყვავილს ხმა-რობს. თავი თოთხმეტი წლის გოგო ჰგონია. რომ განიკურნოს და სარკეში ჩაიხედოს, გუ-ლი გაუსკდება. ყველაზე უარესი ჩვენი თა-ყია, სამყაროს თავდაყირა დაყენება რომ უნ-დოდა. მართალია, დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის უბედურების მიზეზი ქალია და სამყაროს გამოსასწორებლად ყველა ქალი უნდა ამოწყდეს, სწორედ ეს სოყრა სოლთანი შეუყვარდა.

ეს ყველაფერი ჩვენი ზედამხედველის-განაა. გაუკრავს ყველა გიუს ზურგსუკან ხე-ლებს და, თავისი დიდი ცხვირითა და წვრილი თვალებით, ოპიუმის მწეველივით იწყებს ბოლთის ცემას ბალის სილრმეში – ფიჭვის ხის ძირას. ზოგჯერ დაიხრება ხოლმე, ხის ძირს დასცექრის. ვინც უნდა შეხედოს, იტ-ყვის, რა უბოროტო და საწყალი ადამიანია, შეშლილების გროვას ხელში რომ ჩავარდნია. მაგრამ მე მას ვიცნობ, ვიცი, რომ იქ, ხის ძირას, მინაზე სამი წვეთი სისხლი დაეწვეთა. მისი ფანჯრის წინ გალია კიდია. გალია ცარი-ელია, რადგან მისი იადონი კატამ დაიჭირა. მაგრამ მან გალია დაკიდა, რათა კატები გა-ლიით მოიტყუოს და დახოცოს.

გუშინ იყო, ერთ ჭრელ კატას რომ დაე-დევნა. როგორც კი ცხოველი მისი ფანჯრის წინ ფიჭვის ხეზე აძვრა, დარაჯს უთხრა, მის-თვის ესროლა. ის სამი წვეთი სისხლი კატი-საა, მაგრამ, მას რომ ეკითხებიან, ამბობს, ბა-იყუშისააო.

<sup>1</sup> ტრადიციული ირანული პურის სახეობა.

ყველაზე უცნაური კი ჩემი მეგობარი და მეზობელი აბასია. ორი კვირაც არაა, რაც მოიყვანეს. ძალიან დამიახლოვდა, თავი წინასწარმეტყველი და პოეტი ჰგონია. ამბობს, რომ ყველანაირი საქმიანობა, განსაკუთრებით კი, წინასწარმეტყველება, ბედ-ილბალზეა დამოკიდებული. ვისაც მაღალი შუბლი აქვს, სულ რომ არაფერი გაეგებოდეს, მაინც ბედს

ეწევა; ვინც მცოდნეა და მაღალი შუბლი არა აქვს, მის დღეში ჩავარდება. აბასს თავი თარის ოსტატიც ჰგონია. ერთ დაფაზე სიმი გაუბამს, თავისი ჭკუით, თარი გაუკეთებია და ლექსიც დაუწერია, რომელსაც დღეში რვაჯერ მიმღერის. მგონი, სწორედ ამ ლექსის გამო იყო, აქ რომ მოიყვანეს, ლექსი თუ უცნაური თასნიფი<sup>1</sup>:

ვაი, რომ ისევ დაღამდა,  
მთელი ქვეყნიერება თალხით შეიბურა,  
ყველა არსებას სიმშვიდე მიეცა.

ჩემ გარდა, ტანჯვა და დარდი რომ გამიმრავლდა.  
ქვეყანა ვერ იხარებს სულით და ხორცით,  
ჩემს ტკივილებს მხოლოდ სიკვდილი უწამლებს.  
მაგრამ იმ კუთხეში, იმ ფიჭვის ძირას  
მიწაზე სამი წვეთი სისხლი დაწვეთებულა.

გუშინ იყო, ბაღში ვსეირნობდი. აბასი ამ სიმღერას მღეროდა. მის სანახავად ერთი ქალი, ერთი კაცი და ერთი ახალგაზრდა გოგო მოვიდნენ. უკვე მეხუთედ. მე ისინი მენახა და ვიცნობდი, ახალგაზრდა გოგოს თაიგული მოეტანა. ის გოგონა მიღიმოდა, აშკარა იყო, მოვწონდი. საერთოდაც, ჩემ გამო მოსულიყო, სახენაყვავილარი აბასი ხომ ულამაზოა, მაგრამ, ის ქალი ექიმს რომ ელაპარაკებოდა, დავინახე, აბასმა როგორ გაიყვანა გვერდზე გოგონა და აკოცა.

\*\*\*

აქამდე არც არავინ მოსულა ჩემ სანახავად და არც ყვავილები მოუტანია ვინმეს. ერთი წელი გავიდა. უკანასკნელად სიავაშმა მომინახულა, სიავაში ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ჩვენ მეზობლები ვიყავით, ყოველდღე დაროლფუნუნში<sup>2</sup> ერთად დავდიოდით და ერთად ვბრუნდებოდით, გაკვეთილების შესახებ

ერთად ვმსჯელობდით და შესვენებისას სიავაშს თარის დაკვრაში ვავარჯიშებდი. როხსარე, სიავაშის ბიძაშვილი, რომელიც ჩემი საცოლე იყო, ზოგჯერ ჩვენს კომპანიას უერთდებოდა. სიავაშს განზრახული ჰქონდა, როხსარეს და შეერთო; შემთხვევით, ნიშნობამდე ერთი თვით ადრე, სიავაში ავად გახდა. ერთი-ორჯერ მოსაკითხად წავედი, მაგრამ თქვეს, რომ ექიმს აუკრძალავს მასთან საუბარი. რამდენიც არ დავიჟინე, იმავე პასუხით გამომისტუმრეს. მეც აღარ ავიჩემე.

კარგად მახსოვს, გამოცდა მოახლოებულიყო. ერთ დღესაც, საღამოს, სახლში რომ დავბრუნდი, წიგნები, სხვა სასწავლო ნივთებთან ერთად, მაგიდაზე დავყარე. სწორედ იმ დროს, ტანსაცმლის გამოცვლა რომ დავაპირე, თოფის ჩაცლის ხმა მოისმა. ხმა ისე ახლოდან მოდიოდა, რომ შევშინდი, რადგან ჩვენი სახლი თხრილს გადაღმა იყო და მსმენდა, რომ ჩვენს სიახლოვეს ქურდობა მოხ-

<sup>1</sup> სპეციფიკური ხალხური რომანსის აღმნიშვნელი ტერმინი სპარსულ ლიტერატურაში.

<sup>2</sup> პოლიტექნიკუმი, პირველი მოდერნული უნივერსიტეტი თეირანში, დაარსდა 1851 წელს.

და. რევოლუციური მაგიდის უჯრიდან ამოვიდე და გამოვედი, ეზოში გაფაციცებული ვიდექი. მერე კიბეებით სახურავზე ავედი, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე. როცა ვბრუნდებოდი, მაღლიდან სიავაშის სახლს გადავხედე, დავინახე, რომ სიავაში პერანგითა და საცვლით შუა ეზოში იდგა, გაკვირვებულმა ვკითხე:

– სიავაშ, შენ ხარ?

მიცნო და მითხრა:

– გადმოდი, სახლში არავინაა.

– თოფის ხმა გაიგონე?

თითო ტუჩზე მიიდო და თავით მანიშნა, მოდიო. მეც სწრაფად ჩავედი და სახლის კარზე დავუკაკუნე. კარი თვითონ გამიღო. თავი არ აუნევია, მიწას მიშტერებულმა მკითხა:

– ჩემს სანახავად რატომ არ მოხვედი?

– ორ-სამჯერ მოვედი, მაგრამ მითხრეს, ექიმი უფლებას არ იძლევაო.

– ფიქრობენ, რომ ავად ვარ, მაგრამ ცდებიან.

მეორედ ვკითხე:

– სროლის ხმა გაიგონე?

პასუხი არ გაუცია, ხელი მომკიდა, ფიჭვის ხესთან მიმიყვანა და რაღაც მაჩვენა. ახლოდან შევხედე, ახლახან დაწვეთებული სამი წვეთი სისხლი იყო მიწაზე.

მერე თავის ოთახში წამიყვანა, ყველა კარი ჩარაზა. სკამზე დავჯექი, შუქი აანთო და მაგიდის გვერდით, ჩემს მოპირდაპირე სკამზე დაჯდა. მისი ოთახი სადა, ცისფერი იყო და კედლები – დაბლიდან შუამდე – ჩამუქებული. ოთახის კუთხეში თარი დაედო. რამდენიმე წიგნი და სასწავლო ნივთიც მაგიდაზე ეყარა. მერე სიავაშმა ხელი გასწია, მაგიდის უჯრიდან რევოლუციური ამოილო და მაჩვენა. ძველებური, სადაფისტარიანი რევოლუციური იყო, ჯიბეში ჩაიდო და თქვა:

– ერთი დედალი კატა მყავდა, ნაზი ერქვა. შეიძლება გინახავს კიდეც, ჩვეულებრივი ჭრელი კატა იყო, ორი დიდი, თითქოს სურმით მოხატული თვალით. ზურგზე კოხტა ნაყშები

ჰქონდა. თითქოს ლითონის პრესპაპიეზე მელანი შეეშეფებინათ და მერე გაედლაბნათ... დღისით, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, მეგებებიდა, შემომკნაოდა და მეგლასუნებოდა. როცა ვჯდებოდი, ზურგზე და მხრებზე მაცოცდებოდა, ცხვირს სახეზე მისვამდა, ხაოიანი ენით შუბლს მილოკავდა. მოითხოვდა, რომ მეკოცნა. ამბობენ, დედალი კატა მამალ კატაზე უფრო ცბიერი, ქლესა და მგრძნობიარეაო. ჩემ გარდა, ნაზი ყველაზე ახლოს მზარეულთან იყო, რადგან საჭმელს მასთან შოულობდა. მაგრამ ხანდაზმულ დიასახლისს, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა, ნამაზს ასრულებდა და კატის ბეწვს ვერ იტანდა, თავს არიდებდა. სავარაუდოდ, ნაზი თავისთვის ფიქრობდა, რომ ადამიანები კატებზე ფხიანები არიან და ყველა გემრიელი საჭმელი და თბილი ადგილი დაუსაკუთრებიათ. კატებმა კი იმდენი უნდა იმლიქვნელონ და იპირფერონ, რომ მათი კომპანიონობა მოახერხონ.

ნაზის ბუნებრივი გრძნობები მხოლოდ მაშინ იღვიძებდა და სისხლი მაშინ უდულდა, როცა ბრჭყალებში მამლის გასისხლიანებული თავი ჩაუვარდებოდა და მტაცებელ ნადირად იქცეოდა. თვალები უფართოვდებოდა, კლანჭებს გამოყოფდა და, თუ ვინმე მიახლოებას გაბედავდა, გაბმული ღმუილით ემუქრებოდა. მერე, თითქოს თავს იტყუებსო, ონბაზობდა. მამლის თავს ცოცხალ არსებად წარმოიდგენდა, თათს გამოსდებდა, აიძაგრებოდა, გაიტრუნებოდა, ჩასაფრდებოდა, კვლავ თავს დაესხმოდა და ამ ხტომა-ჯირითში, უკან დახევასა და თავდასხმაში მთელი თავისი მოდგმის სიჩაუქესა და სიმარჯვეს ერთიანად ამჟღავნებდა. ამ წარმოდგენით რომ დაიღლებოდა, სისხლიან თავს მადიანად შეექცეოდა და რამდენიმე წუთის მერე მის ნარჩენებს დაეძებდა. ერთი-ორი საათით ცრუკულტურულობა ავინყდებოდა. არც არავის ეკარებოდა, არც არავის ეგლასუნებოდა და არც არავის ეპირფერებოდა.

მაშინ, როცა ნაზი მეგობრობას ამჟღავნებდა, ველური და იდუმალი ხდებოდა, თავისი ცხოვრების საიდუმლოს არ ააშკარავებდა, ჩვენი სახლი თავისად მიაჩნდა და თუ აქ, შემთხვევით, უცხო კატა, მით უფრო კი, დედალი კატა, გამოჩნდებოდა, გაბმული ღმუილისა და ფხორვის ხმები დიდხანს არ წყდებოდა.

ხმა, რომელსაც ნაზი სადილის სათხოვნელად გამოსცემდა, ნებივრობის ხმებისგან ძალიან განსხვავდებოდა. მისი მშიერი ჩხავილი, საბრძოლო ღმუილი და ვნებიანი „მიაუ-მიაუ“ ერთმანეთს არ ჰგავდა, სხვადასხვა ჰანგი ჰქონდა: პირველი ჯიგარს ფლეთდა, მეორე მტრობა-ქიშპობას გამოხატავდა, მესამე კი დარდიანი კვნესა იყო, რომელსაც ბუნებრივი მოთხოვნილების გამო თავის ჯუფთან წასასვლელად გამოსცემდა. მაგრამ ყველაზე მეტყველი ნაზის მზერა იყო, ზოგჯერ კი ადამიანურ მგრძნობელობასაც ამჟღავნებდა. უნებლიერი იკითხავდი კიდეც, ნეტა, ამ ბანჯგვლიან თავში, ამ იდუმალი მწვანე თვალების მიღმა რა ფიქრები და გრძნობები მღელვარებსო. გასული წლის გაზაფხული იყო, ის შემზარავი ამბავი რომ მოხდა. ცნობილია, რომ წელიწადის ამ დროს ყველა ცხოველს ვნება ეძალება და ფორიაქობს. გაზაფხულის ქარი თითქოს სიგიფეს და შფოთვას შთაბერავს ყველა სულიერს. ჩვენს ნაზისაც, პირველად იყო, სიყვარულის შფოთვამ რომ დარია ხელი, მთელი სხეული უცახცახებდა და დარდიანად კვნესოდა. მამალმა კატებმა მისი კვნესა გაიგონეს და ყოველი მხრიდან მოკითხეს. ბრძოლებისა და გაწევგამოწევის მერე ნაზიმ თავის სწორფრად ყველაზე ძლიერი და ყველაზე ხმამაღალი კატა ამოირჩია. ცხოველები არშიყობის პროცესში სპეციფიკურ სუნს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ამიტომაა, რომ შინაური ნებიერა და ფაქტიზი ხვადები ძუ კატების თვალში არაფრად ფასობენ. მათგან განსხვავებით, ღობეებზე მძრომიალე კატები – მანანნალა, გამხდარი, ქურდბაცაცა და მშიერი კატები,

რომელთაც ტყავზე თავიანთი ჯიშის სუნი უდით, მდედრების ყურადღების საგანს წარმოადგენენ. დღისითაც, მაგრამ განსაკუთრებით, ღამლამობით, ნაზი და მისი ჯუფთი სიყვარულს ხმამაღლა უმღეროდნენ. ნაზის რბილი, ნატიფი ტანი ზმორებაში იწელებოდა, მეორისა მოზიდულ მშვილდს ემსგავსებოდა და ორივენი ბედნიერების კვნესას ეძლეოდნენ. ეს საქმე დილამდე გრძელდებოდა. მერე კი ნაზი, აწეწილი ბანჯგვლით, დაღლილი და ქანცგაცლილი, მაგრამ ბედნიერი, ოთახში შემოდიოდა.

ღამლამობით ნაზის სიყვარულობანა არ მაძინებდა, ერთ დღესაც გავმწარდი. ამ ფანჯრის წინ ვმუშაობდი, შეყვარებულები დავინახე – ბალჩაში მონარნარებდნენ.. მე იმ რევოლურით, უკვე რომ ნახე, სამ წაბიჯზე ნიშანში ამოვილე. რევოლური ჩაიცალა და ტყვია ნაზის ჯუფთს მოხვდა. მგონი, წელში მოწყდა, შეხტა და უხმოდ, უკვნესელად, გასასვლელში გავარდა, ბალის თიხატკეპნილ კედელთან დაეცა და მოკვდა.

მთელ მის ნაკვალევზე სისხლის წვეთები ჩანდა. ნაზიმ ცოტა ხანს ეძება, სანამ მის ნაფეხურებს არ მიაკვლია, სისხლი დაყნოსა და პირდაპირ მისი გვამისკენ გაემართა. ორი დღე და ორი ღამე მკვდარს დარაჯობდა. ზოგჯერ თათით ეფერებოდა, თითქოს ეუბნებოდა: „გაიღვიძე, ადრიანი გაზაფხულია. სიყვარულობის დროს რატომ დაიძინე, რატომ არ ინძრევი? ადექი, ადექი!“

რადგან ნაზის სიკვდილისა არაფერი გაეგებოდა, არ იცოდა, რომ შეყვარებული მოუკვდა.

იმ დღის შემდეგ ნაზი თავისი ჯუფთის გვამთან ერთად დაიკარგა. სად არ ვეძებე, ვის არ ვკითხე, მაგრამ უშედეგოდ. ნუთუ ნაზი გამიწყრა? ნუთუ მოკვდა? ნუთუ სასიყვარულოდ წავიდა?. მაშ, იმ მეორეს გვამი რა იქნა?

ერთ ღამეს იმ ხვადის კნავილი გავიგონე, დილამდე მოთქვამდა. მეორე ღამესაც ასე

იყო, მაგრამ დღისით მისი ხმა წყდებოდა. მე-სამე ღამეს ისევ ავიღე რევოლუციური და, ზემოთ მიმართული, ფანჯრის წინ ფიჭვის ხეს დავახა-ლე. სიბნელეში თვალები ნათურებივით უე-ლავდა, ხანგრძლივი კვერცხი ამოუშვა და მი-ჩუმდა. დილით ხის ძირას სამი წვეთი სისხლი ჩანდა. იმ ღამიდან მოყოლებული, ყოველდამე მოდის და იმავე ხმით კვნესის. დანარჩენებს ლრმად სძინავთ, რამდენჯერაც ვუთხარი, იმ-დენჯერ დამცინეს. მაგრამ მე ვიცი, დარწმუ-ნებული ვარ, რომ ეს ხმა სწორედ იმ კატისაა, მე რომ მოვკალი. იმ ღამიდან მოყოლებული, ჩემს თვალს ძილი არ ეკარება. სადაც უნდა წა-ვიდე, რომელ ოთახშიც უნდა დავიძინო, მთე-ლი ღამე ულმობელი კატა ხრინწიანად, საზარ-ლად მოთქვამს და თავის ჯუფთს უხმობს.

დღეს, რადგან სახლში არავინ იყო. იმ ადგილზე მივედი, სადაც კატა ყოველ ღამით იჯდა და ჩხაოდა. დავუმიზნე. რადგან სიბნე-ლეში მისი თვალები ანათებდა, ვიცოდი, სა-დაც იჯდა ხოლმე. რომ გავისროლე, კატის კვნესის ხმა გავიგონე და ზემოდან სამი წვე-თი სისხლი ჩამოვარდა. შენ ხომ შენი თვალით დაინახე, შენ ხომ დამემონიშვილი?

ამ დროს ოთახის კარი გაიღო, როხსარე და დედამისი შემოვიდნენ. როხსარეს ხელში თაიგული ეჭირა. წამოვდექი, მივესალმე, მაგ-რამ სიავაშმა ღიმილით თქვა:

– რასაკვირველია, ბატონ მირზა აპმად-ხანს თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ, წარდგენას

არ საჭიროებს, ის დამემონიშვილი, რომ სამი წვეთი სისხლი ფიჭვის ძირას თავისი თვალით დაინახა.

– დიახ, დავინახე.

მაგრამ სიავაში მოვიდა, გადაიხარხარა, ჯიბეში ხელი ჩამიყო, ჩემი რევოლუციური ამოი-ლო, მაგიდაზე დადო და თქვა:

– იცით, რომ მირზა აპმადხანი არა მარ-ტო თარზე უკრავს კარგად და ლექსებს თხზავს, არამედ უზადო მონადირეცაა? შესა-ნიშნავი მიზანი აქვს.

მერე ჩემკენ მოუთითა, მეც წამოვდექი და ვთქვი:

– დიახ, ამ საღამოს მოვედი, რომ სიავა-შისთვის სასწავლო ნივთები გამომერთმია.

თავშესაქცევად ცოტა ხანს ფიჭვის ხეს ვუმიზნებდით, მაგრამ სისხლის ის სამი წვე-თი კატისა არ არის, ბაიყუშისაა. ხომ იცით, ბაიყუშმა ყმანვილს ხორბლის სამი მარცვალი შეუჭამა და ყოველდამე იქამდე კვნესის, სა-ნამ ყელიდან სამი წვეთი სისხლი არ გადმოუ-ვა; ან კატამ მეზობლის იადონი დაიჭირა. ეს-როლეს და ესეც მისი დანატოვარია... ახლა მოითმინეთ, ახლად შეთხზულ სიმღერას შე-გისრულებთ.

თარი ავიღე, მელოდია საზის ხმას შე-ვუწყე და ეს ლექსი წავიმდერე:

ვაი, რომ ისევ დაღამდა,  
მთელი ქვეყნიერება თალხით შეიბურა,  
ყველა არსებას სიმშვიდე მიეცა.

ჩემ გარდა, ტანჯვა და დარდი რომ გამიმრავლდა.

ქვეყანა ვერ იხარებს სულით და ხორცით,  
ჩემს ტკივილებს მხოლოდ სიკვდილი უნამლებს.  
მაგრამ იმ კუთხეში, იმ ფიჭვის ძირას

მიწაზე სამი წვეთი სისხლი დაწვეთებულა.

ამ დროს როხსარეს დედამ განრისხე-  
ბულმა დატოვა ოთახი და გარეთ გავიდა.  
როხსარემ წარბები აზიდა და თქვა: „ეს გი-  
უია“. მერე სიავაშს ხელი ჩასჭიდა. ორივენი  
ახარხარდნენ, გარეთ გავიდნენ და კარი

ცხვირწინ მომიკეტეს.

ჭიშკართან რომ მივიდნენ, ფანჯრიდან  
დავინახე, ლამპიონის ქვეშ ერთმანეთს ჩაეკ-  
ვრნენ და აკოცეს.

სპარსულიდან თარგმნა  
**მარიკა ბახტაძემ**

## ჰუშანგ მორადი – ქერმანი (დაიბ. 1944 წ.)

სპარსული საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ჰუშანგ მორადი-ქერმანი სოფელ სირჩში, ქერმანის პროვინციაში დაიბადა. იგი ავტორია არაერთი პროზაული კრებულისა, რომელთა დიდი ნაწილიც თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, პოლანდიურ, არაბულ, სომხურ და ქართულ ენებზე. მორადი-ქერმანის მოთხრობების მიხედვით გადაღებულია სატელევიზიო და კინოფილმები. მწერალს მიღებული აქვს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდო. 1992 წელს ნარდგენილი იყო ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელბის პრემიაზე, სადაც უიურის საპატიო ჯილდო დაიმსახურა.

### ჩექმა<sup>1</sup>

დედა ლეილას დღისით მეზობელთან ტოვებდა და თვითონ სამუშაოდ მიდიოდა ხოლმე. სამკერვალო საამქროში მუშაობდა. ლეილა მეზობლის გოგოსთან თამაშობდა ხოლმე. მეზობლის გოგოს სახელად მარიამი ერქვა.

ლეილა და დედამისი მარიამის სახლის ერთ-ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ლეილა ხუთის იყო, ხოლო მარიამი – მასზე ერთი წლით უფროსი.

ერთ მშვენიერ დღეს მარიამს ბიძიამ თოჯინა მოუტანა. იმ დღეს ლეილამ და მარიამმა თოჯინით ძალიან ბევრი ითამაშეს. თოჯინა სულ ლეილას ეჭირა. ლეილას გულით უნდოდა, რომ თოჯინა მისი ყოფილიყო, მაგრამ მარიამმა უთხრა:

– რითაც გსურს, იმით ითამაშე, მაგრამ თოჯინა ჩემია.

ლეილა დანაღვლიანდა. საღამოს დედამისი რომ მოვიდა, მასთან მიირბინა და უთხრა:

– დედა, დედა, თოჯინა მინდა. მარიამს რომ აქვს, ისეთი თოჯინა. მიყიდი?

დედამ უთხრა:

– არა, არ გიყიდი.

ლეილამ ჰკითხა:

– რატომ არ მიყიდი?

- იმიტომ, რომ შენ არა ხარ კარგი გოგო.
- კარგი გოგო ვარ, დედა.
- კარგი გოგო თუ ხარ, რასაც დაინახავ, ყველაფერზე რატომ გაიძახი, მეც მინდაო?
- შენ თვითონ მითხარი, თუ კარგი და დამჯერი გოგო იქნები, კარგ რაღაცას გიყიდიო. ჰოდა, ახლა თოჯინა მიყიდე, ასეთი თოჯინა.
- მე ხომ არ მითქვამს, თოჯინას გიყიდი-მეთქი.
- მაშ, რის ყიდვას აპირებ?
- ისეთ რამეს გიყიდი, რაც თან ძალიან საჭირო იქნება და თან ძალიან მოგეწონება.
- მაგალითად, რას?
- ჩექმას.
- ჩექმას?
- კი, ჩექმას. ერთ წყვილ კარგ და ლამაზ ჩექმას, რომელსაც ზამთარში, სიცივეში, თოვლისა და წვიმაში ჩაიცვამ. ფეხები ჩაგითბუნდება. თავისუფლად ირბენ და ითამაშებ. სკოლაშიც წახვალ. თოჯინა მხოლოდ და მხოლოდ სათამაშოა და მსგავსს ვერაფერს გაგიკეთებს.

ლეილა დასთანხმდა, რომ დედამისს, თოჯინის მაგივრად, ჩექმა ეყიდა. მაგრამ მოთმენა აღარ შეეძლო. დედას ჩადრის კუთხეზე მოქაჩა:

<sup>1</sup> ნოველა ირანული საბავშვო წიგნების საბჭოს პრემიის ლაურეატია.

– ახლავე წავიდეთ და მიყიდე.

დედამ უთხრა:

– ახლა დაღლილი ვარ. ერთ უქმე დღეს, როდესაც სამსახურში არ წავალ, ერთად წავიდეთ და ვიყიდოთ.

ლეილამ ტირილი დაიწყო. აზლუქუნდა და აჯუჯლუნდა. დედა გაუჯავრდა და უთხრა:

– თუ არ დამიჯერებ და შემანუხებ, სულ არ გიყიდი. რომ გეუპნები, კარგი და დამჯერი გოგო არ ხარ მეთქი, ნულარ მეკამათები.

ლეილამ და დედამისმა ბევრი ილაპარაკეს და ლეილა დასთანხმდა, რომ მეორე დღეს ერთად წასულიყვნენ და ჩექმა ეყიდათ.

•

მეორე დღეს დედა სახლში ადრე მოვიდა. ლეილა შემოსასვლელში იჯდა და სახლის კარს მისჩერებოდა. დედა რომ დაინახა, გაუხარდა. მასთან მიირბინა და ფეხებზე მოეხვია:

– წავიდეთ დედა, წავიდეთ, ჩექმა ვიყიდოთ.

დედამ ლეილას ხელი ჩაჰკიდა. გავიდნენ გამზირზე. ერთი ქუჩიდან მეორეზე გაუხვიეს, რათა იმ გამზირისთვის მიეღწიათ, რომელზეც ფეხსაცმლის მაღაზიები იყო ჩამწკრივებული.

ლეილა და დედამისი მაღაზიებთან იდგნენ და ვიტრინებში დაწყობილ ფეხსაცმელებს ათვალიერებდნენ. ჯერ კიდევ შემოდგომა იყო და ვიტრინებიდან საზაფხულო ფეხსაცმელები მოჩანდა. ჩექმები და ზამთრის ფეხსაცმელებიც იყო.

ლეილას გულით მოუნდა, რომ პირველივე ჩექმა ეყიდათ, რომელიც დაინახა. ყველა ჩექმა მოსწონდა და ეშინოდა, ვაითუ, სხვაგან ჩექმა არ ყოფილიყო, მაგრამ დედამ თქვა:

– მაღაზიებში უამრავი ჩექმაა. უნდა ვიაროთ, რომ კარგი და ლამაზი ჩექმა ვიპო-

ვოთ. სიჩქარე არაფერს გვარგებს!

ბევრი იარეს. ერთი გამზირიდან – მეორეზე. ერთი მაღაზიდან – მეორეში, მაგრამ დედას მოსაწონი ჩექმა ვერა და ვერ იპოვეს. ლეილას მოშივდა. დედასაც. დედამ ცოტა იაზდის ნამცხვარი იყიდა. ერთად შეჭამეს.

ლეილა წინ წავიდა და მაღაზის ვიტრინაში ერთი წყვილი ჩექმა დაინახა. დედას დაუცადა. დედა მოვიდა. ჩექმები მოეწონა. დასთანხმადა, რომ ეყიდათ. ჩექმები ლამაზი მუხუდოსფერი იყო.

ლეილამ ჩექმები ჩაიცვა. თავისუფლად ჩაუვიდა ფეხი. დედამ უთხრა:

– გაიარე.

ლეილამ გაიარა. შიშითა და სიხარულით დადიოდა. ენანებოდა ჩექმების ძირს დადგმა. დედამ ჰერთხა:

– ფეხები თავისუფლად გაქვს?

ლეილამ უპასუხა:

– კი, თავისუფლად მაქვს.

– – მშვიდობაში, – უთხრა გამყიდველმა.

ლეილამ თქვა:

– ცოტათი განიერია. შიგნით ფეხები მილაყლაყებს.

გამყიდველმა გაიცინა. დედამ უთხრა:

– განიერი არაა. ზამთარში სქელ მატყლის წინდებს ჩაიცვამ, წინდებისთვისაც ხომ უნდა დარჩეს ადგილი. ჩექმა ვიწრო რომ იყოს, როდესაც სკოლაში წახვალ, აღარ ჩაგეტევა და უნდა გადააგდო. ფეხი სწრაფ-სწრაფად გეზრდება.

დედამ ჩექმების ფული გადაიხადა. გამყიდველმა მათი ყუთში ჩადება დააპირა, მაგრამ ლეილამ არ ინდომა გახდა. ჩექმებით უნდოდა სახლში წასვლა. რამდენიც არ უმეორა დედამ, როცა აცივდება, მაშინ ჩაიცვიო, არ დაუჯერა. ტირილი დააპირა. გამყიდველმა უთხრა:

– გაუშვი, ჩექმებით წამოვიდეს და გა-

ხალისდეს. მის ჩუსტებს ჩავაწყობ ყუთში.

დედა დაეთანხმა. ლეილამ ჩუსტებიანი ყუთი იღლიაში ამოიდო და ქუჩაში გავიდა. გახარებული იყო. დედაც გახარებული იყო. ლეილა წინ მიდიოდა. სიარულისას ფეხები ჩექმებში ულაყლაყებდა და ხმებს გამოსცემდა. ლეილა, რამდენიმე ნაბიჯს რომ გადადგამდა, ჩერდებოდა და ჩექმებს დაჰყურებდა. გულით უნდოდა, სახლში მალე მისულიყვნენ და ჩექმები მარიამისთვის ეჩვენებინა.

ჩამობნელდა. დედა ძალიან დაღლილი იყო. თავი სტკიოდა. თქვა:

- ახლა ავდგეთ და ავტობუსს გავ- ყვეთ.

•

ლეილა და დედამისი გაჩერებასთან დადგნენ. ავტობუსი რომ მოვიდა, ავიდნენ. ავტობუსი სვენებ-სვენებით მიდიოდა. დაღა- მებულიყო. გამზირი გადაჭედილი იყო, მის ორივე მხარეს მდებარე ვიტრინები – განა- თებული. ავტობუსში ადამიანების გამონა- სუნთქის ოხშივარი იდგა. ლეილას დედამისის მკურდზე ჩამოედო თავი. ჩექმებს თვალს არ აშორებდა. ავტობუსი აკვანივით ირწეოდა და მანქანებს შორის ნელა მიიკვლევდა გზას. ლეილას ქუთუთოები თანდათან დაუმძიმდა და ჩაეძინა. მძღოლის თანაშემწის ხმა ხმა გა- ისმა:

- ხიდის გაჩერება!

ავტობუსი გაჩერდა. ლეილას დედის გვერდით მჯდომი მსუქანი და ზორბა ქალი, რომელსაც ტანსაცმლით გავსებული დიდი მოწნული კალათა ჰქონდა, სწრაფად წამოდ- გა, საჩქაროდ დავლო ხელი კალათას და თა- ვისკენ მოზიდა. სივიწროვე იყო. კალათა ლე- ილას ჩექმებს გამოედო. ცალი ჩექმა ფეხი- დან გასძვრა და სკამთან დავარდა. ქალი წინ წავიდა. რამდენიმე მგზავრი ჩავიდა. ავტო- ბუსმა გზა განაგრძო. მიდიოდა და მიდიოდა. დედა თვლემდა.

ავტობუსმა მოედანზე შეუხვია. მძღო-

ლის თანაშემწემ დაიძახა:

- აპმადის მოედანი!

ავტობუსი გაჩერდა. დედას გამოელვიძა. რამდენიც არ ეცადა, ლეილა ვერ გააღვიძა. ავტობუსი დაძვრას აპირებდა. დედამ გოგონა ხელში აიყვანა და უცებ ჩავიდა. ტროტუარზე გადავიდა. ავტობუსმა გაიარა. ლეილას ჯე- რაც ეძინა. დედამისს ჩახუტებული ჰყავდა.

დედამ ქუჩაში შეუხვია. ქუჩა გრძელი და მიხვეულ-მოხვეული იყო. დედა მძიმედ სუნთქავდა. დაღლილი იყო. უნდოდა, რომ ლეილა გაეღვიძებინა. მაგრამ გული არ უშ- ვებდა. როგორც იქნა, სახლამდე მიაღწია. ოთახის შესასვლელში, როდესაც გოგონას- თვის ჩექმების გახდა დააპირა, შეამჩნია, რომ ცალი ჩექმა არ იყო! ლეილა სწრაფად მიაწვი- ნა ოთახის კუთხეში და ქუჩაში გაბრუნდა. ქუ- ჩა კუთხე-კუნძულ მოიარა. ავიდა ტროტუარ- ზე. მივიდა ავტობუსის გაჩერებაზე. ავტობუ- სი წასული იყო. ჩექმა ვერსად ნახა. დაბრუნ- და.

გვიანი ლამე იყო. დედამ ლოგინი გაშა- ლა. ცალი ჩექმა ოთახის კუთხეში იდგა. დე- დას მეორე ცალზე ფიქრი არ შორდებოდა. ფიქრობდა, რას იზამდა ლეილა, როცა გაილ- ვიძებდა და მიხვდებოდა, რომ ცალი ჩექმა დაკარგულიყო..

•

დღის ბოლოს, როდესაც მძღოლის თა- ნაშემწე ავტობუსს ასუფთავებდა და სკამე- ბის ქვეშ გვიდა, ცალი ჩექმა იპოვა. გადაგდე- ბა უნდოდა. დაერანა. გაიფიქრა, ეს ჩექმა ვი- ლაცისთვის სულ ახლახან უყიდიათო. ახალ- თახალი ჩექმა იყო. გულით უნდოდა, ბავშვი მოეძებნა და ჩექმა დაებრუნებინა, მაგრამ ბავშვს არ იცნობდა. დღის განმავლობაში ავ- ტობუსში ათასობით ბავშვი ამოდიოდა მშობ- ლებთან ერთად. საიდან უნდა სცოდნოდა, ჩექმა რომელი ბავშვის იყო? მძღოლის თანა- შემწემ ცალი ჩექმა ბილეთების გამყიდველს გადასცა. ბილეთების გამყიდველმა კიოსკის

ვიტრინაში გამოდო, რათა ბილეთის საყიდე-ლად მოსულ მგზავრებს დაენახათ. იქნება პატრონი გამოჩენილიყო.

•

მეორე დღეს დედამ უთენია გაიღვიძა. სალოცავად გაემზადა. ილოცა. ლეილა მეზობელს ჩააბარა, ცალი ჩექმის დაკარგვის ამბავი უამბო და სახლიდან გავიდა.

თანდათან ინათა. დედამ ისევ მოიარა ქუჩა, წყლის არხში ჩაიხედა, ჩექმა ვერსად ნახა. აგვიანდებოდა. ავტობუსის გაჩერებაზე დადგა. ავტობუსი მოვიდა. ჩაჯდა და სამსახურში წავიდა.

•

დილით ჯერ მარიამმა გაიღვიძა. ლეილასკენ გაეშურა. ლეილას თავის ოთახში ღრმად ეძინა. მარიამმა ოთახის კუთხეში ცალი ჩექმა დაინახა. აილო. შეხედა. ლეილა გააღვიძა.

– ლეილა, ადექი, გათენდა.

ლეილამ გაიღვიძა. თვალები მოიფშვნიტა. მარიამმა უთხრა:

– რა მშვენიერი ჩექმაა. ძალიან ლამაზია.

ლეილამ უთხრა:

- დედამ მიყიდა.
- მეორე ცალი სადაა?
- არ ვიცი.

მარიამმა და ლეილამ ცალი ჩექმის ძებნა დაიწყეს. ოთახი გადააქოთეს. მარიამის დედამ ეზოდან ხმამაღლა ამოსძახა:

– რატომ ურევთ ოთახს? გამოდით გარეთ.

მარიამმა უპასუხა:

– ლეილას ცალ ჩექმას ვეძებთ. ..

დედამ უთხრა:

– ტყუილად ნუ ეძებთ. მეორე ცალი, წუხელის, ქუჩაში დაიკარგა. ლეილას რომ ეძინა, ფეხიდან გასძვრა.

ლეილამ ტირილი დაიწყო. ცალი ჩექმა იღლიაში ამოიდო და ეზოში გავიდა. კუთხეში

დაჯდა და აზლუქუნდა.

მარიამმა ჩუმად უთხრა ლეილას:

– მოდი, ერთად გავიდეთ ქუჩაში და მოვძებნოთ. ვიპოვით.

ლეილა და მარიამი სახლიდან გავიდნენ.

მარიამმა დედამის არ უთხრა, სად მიდიოდნენ. ქუჩას გაუყვინენ. გამზირზე გავიდნენ. მარიამმა თქვა:

– შეიძლება, ჩექმა გამზირზე ეგდოს.

ლაპარაკ-ლაპარაკით ტროტუარზე გადავიდნენ. ძირს იხედებოდნენ და ისე მიდიოდნენ.

•

როდესაც მარიამის დედამ აღმოაჩინა, რომ ლეილა და მარიამი სახლში არ იყვნენ, ანერვიულდა. თავზე ჩადრი წამოიხურა და ქუჩაში გავიდა. ყოველ შემხვედრს ეკითხებოდა, ორი პატარა გოგო ხომ არ გინახავთო?

ზოგიერთი ეუბნებოდა, არ გვინახავსო, ზოგიერთი კი, იქით წავიდნენო.

ლეილა და მარიამი ქუჩას მიუყვებოდნენ და ტროტუარს ათვალიერებდნენ. თავიანთ სახლს და ქუჩას ძალიან დაშორებოდნენ. ვინრო ქუჩაში შეუხვიეს. ლეილამ უთხრა:

– – წამო, დავპრუნდეთ.

მაგრამ მარიამმა ყური არ ათხოვა.

ბოლოს გზაჯვარედინს მიაღწიეს. ალარ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. სახლში დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ გზა აბნეოდათ. ლეილამ ტირილი დაიწყო. მარიამიც, ის იყო, ატირდებოდა.

ტროტუარზე მიმავალმა მოხუცმა ქალმა მარიამი და ლეილა დაინახა. მიხვდა, რომ დაკარგულიყვნენ და შეეკითხა:

– ბავშვებო, სად არის თქვენი სახლი?

ბავშვებმა არ იცოდნენ, მათი სახლი სად იყო.

– ქუჩის სახელი იცით?

მარიამი დაფიქრდა და თქვა:

– ქუჩას სორუში ჰქვია, მაგრამ არ ვი-

ცით, რომელ მხარეს უნდა წავიდეთ. მოხუცმა ქალმა ბავშვებს ხელი ჩაჰკი-და, გამვლელებისგან სორუშის გზა გაიგო და ბავშვები იქით წაიყვანა. მარიამის დედა, შე-შინებული და შეწუხებული, ტროტუარზე დარბოდა და აქეთ-იქით იხედებოდა. როცა მოპირდაპირე მხრიდან მოხუც ქალთან ერთად მომავალი ბავშვები დაინახა, გაუხარდა და ქალს მადლობა გადაუხადა. ლეილას და მარიამს ჩხუბი დაუწყო, ნებართვის გარეშე სახლიდან რატომ გახვედითო.

•

ბილეთების გამყიდველმა ნახა, რომ რამდენიმე დღე გავიდა და ჩექმას არავინ მოაკითხა, ჩექმა აიღო და კიოსკიდან გამოიტანა. წინა კედელზე მიაყუდა, თვალში მოსახვედრი რომ ყოფილიყო.

ადამიანები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ცალ ჩექმას შეხედავდნენ და თავიანთთვის ფიქრობდნენ, ნეტა, ეს ჩექმა რომელმა ბავშვმა დაკარგა? ალბათ, ახლა მის ძებნაში უნდა იყოსო.

•

ლეილა დილაობით ცალ-ცალ ჩექმას და ჩუსტს იცვამდა ხოლმე. ზოგჯერ მარიამიც იცვამდა ცალ ჩექმას, რაზეც შელაპარაკება მოსდიოდათ და ერთმანეთს ებუტებოდნენ. ყოველთვის, როცა დედა სახლში ბრუნდებოდა, ლეილა მასთან მირბოდა და ეკითხებოდა:

- დედა, ჩექმა ხომ არ გიპოვია?
- არა, დედიკო. სხვა ჩექმებს გიყიდი.
- როდის მიყიდი?
- ერთ დღეს, როდესაც მეცლება და ფული მექნება.
- ჩექმას რომ მიყიდი, მაშინვე არ ჩავიცვამ. არც დავიძინებ, რომ არ დავკარგო.

•

დედები – ლეილას დედა და მარიამის დედა დაღალა იმან, რომ ლეილა ცალ ჩექმას ყველგან თან დაატარებდა და მარიამთან და მეზობელ ბავშვებთან მის გამო კინკლაობდა. ჩექმის გადაგდება უნდოდათ, მაგრამ ენანე-

ბოდათ. ახალთახალი ჩექმა იყო.

•

ბილეთების გამყიდველი, როცა კი მარტო რჩებოდა, ჩექმას უყურებდა. ღმერთს ეხვეწებოდა, რომ ერთ დღეს მისი პატრონი გამოჩენილიყო. ყოველ ღამით, როდესაც კიოსკს კეტავდა, ჩექმას იღებდა და კიოსკში შეჰქონდა.

ერთ საღამოს დაავიწყდა კიოსკში შეტანა. ჩექმა ღამით კედელთან მიდგმული დარჩა.

დილით ადრე, მეეზოვე ტროტუარს რომ ხვეტდა, ცალი ჩექმა დაინახა. შეხედა. ასწია და მის ქვეშ გამოხვეტა. მერე ისევ ადგილზე დადგა. მიხვდა, რომ ცალი ჩექმა ვიღაც ბავშვს დაჰკარგოდა. ინატრა, ჩექმის პატრონი გამოჩენილიყო.

ვიღაც ეშმაკი და ცელქი ბიჭუნა ტროტუარზე მიდიოდა. სკოლიდან ბრუნდებოდა. გულით უნდოდა, ბურთი ჰქონოდა. ყველა-ფერს ბურთად აღიქვამდა; გზაზე, რასაც კი თვალს მოჰკრავდა, წიხლს ურტყამდა: მუყაოს ყუთს, ქვას, ხილის ქერქს... სანამ ცალ ჩექმას არ მიადგა. შეხედა და ძლიერად ამოარტყა წიხლი. ათამაშა და აბურთავა. ამასობაში ჩექმა გადავარდა და წაგვით სავსე წყლის არხში ჩავარდა. ბიჭუნამ თავი ჩაღუნა და წავიდა.

•

წყალმა ჩექმა წაიღო. ჩექმამ ნაგავი გაჭედა. წყალი დაგუბდა და მისმა დონემ მოიმატა. სამანქანო გზა და ტროტუარი დატბორა. ტროტუარზე მიმავალ ადამიანებს ფეხსაცმელები უსველდებოდათ. დუდლუნებდნენ და ილანძლებოდნენ.

მეეზოვე არს წმენდდა, რომ წყლის-თვის გზა მიეცა. ცალი ჩექმა დაინახა. ფიქრმა გაჰკარა, რომ სადღაც ენახა. ნელ-ნელა გაახსენდა, რომ ჩექმა დილით ერთ კედელთან, გამზირზე იდო.

მეეზოვემ ჩექმა ონკანის ქვეშ გარეცხა.

გაასუფთავა. წაიღო, მეჩეთის კედელთან მია-  
ყუდა, იქნებ პატრონი გამოჩენილიყო. ცალი  
ჩექმა მეჩეთის კედელთან იდო. ყველა გამ-  
ვლელს თვალში ხვდებოდა. ლოცულობდნენ,  
რომ პატრონი გამოსჩენოდა. ცალი ჩექმა, მე-  
ჩეთის კედელთან, ისევ ისე უპატრონოდ  
რჩებოდა. ძლიერმა ქარმა და წვიმამ წააქცია.

•

ჩექმა გატალახიანდა და გაჭუჭყიანდა.  
ბავშვები წიხლებს ურტყამდნენ და თამაშობ-  
დნენ. ერთ-ერთმა ბავშვმა, რომ ნახა, ჩექმას  
პატრონი არ ჰყავდა, სახლში წაიღო და თავის  
ძმას მისცა. მისი ძმა ჩუსტების გადამამუშა-  
ვებელ ქარხანაში მუშაობდა. ქარხანაში დახე-  
ულ ჩუსტებს და ძველ რეზინის ჩექმებს  
ელექტრომანქანაში ყრიდნენ და აქუცმაცებ-  
დნენ. სითხედ აქცევდნენ, ყალიბში ასხამდნენ  
და ახალ ჩუსტებს და ჩექმებს ამზადებდნენ.

•

ყოველდღე, როდესაც ლეილას დედა  
თავის ქუჩაზე მიდიოდა, ცალფეხა ბიჭუნას  
ხედავდა ხოლმე. მუდამ მათ სახლთან იჯდა.  
ბზრიალებს ყიდდა და ბავშვების თამაშს უყუ-  
რებდა. დედამ იფიქრა, რომ ცალი ჩექმა მის-  
თვის მიეცა. იქნებ გამოსდგომოდა.

სახლში რომ დაბრუნდა, ლეილას დაე-  
ლაპარაკა და უთხრა:

- ლეილა, ეს ჩექმა შენ არაფერში გარგია. მოდი, ქუჩაში გავიდეთ და იმ ცალ-  
ფეხა ბიჭუნას მივცეთ, ჩვენ პირდაპირ რომ  
ცხოვრობს.

ლეილამ უთხრა:

- ამას თუ მივცემთ, შენ სხვა ჩექმებს  
მიყიდი?

- კი, რა თქმა უნდა, გიყიდი. აუცი-  
ლებლად გიყიდი. აქამდე იმიტომ არ გიყიდე,  
რომ ვერ მოვახერხე.

- როდის მიყიდი? როდის მოახერხებ?  
- ამ კვირის ბოლომდე გიყიდი. ისეთი  
ლამაზი ჩექმები მოიტანეს მაღაზიებში, რომ  
ნულარ იტყვი!

- მე თვითონ მივცემ იმ ბიჭს ჩექმას.

- კი ბატონო. მაგრამ ისე უნდა მისცე,  
რომ არ იუხერხულოს.

- კარგი.

- ლეილამ და დედამისმა ცალი ჩექმა აი-  
ღეს და ბიჭუნასთან წავიდნენ. დედა სახლთან  
გაჩერდა, ლეილამ კი ჩექმა წაიღო. ბიჭუნას  
წინ დუადგა და უთხრა:

- გამარჯობა.

- ბიჭუნამ გაულიმა და უპასუხა:

- გამარჯობა, ბზრიალა გინდა?

- არა, აი, ეს ჩექმა – შენ. ახალთახა-  
ლია. მე წყვილი ჩექმა მქონდა, მაგრამ ერთი  
ცალი დავუარგე. რამდენიც არ ვეძებეთ, ვერ  
ვიპოვეთ. საცოდაობაა ამისი გადაგდება.

- ბიჭუნამ იუხერხულა და თქვა:

- არ მინდა შენი ჩექმა.

- დედა მივიდა და უთხრა:

- აბა, რა ამბობ?! ჩვენ მეზობლები  
ვართ. უცხოები ხომ არა. ჩვენი სახლი აქვეა.  
გასულ წელს, ზამთარში, ნავთი რომ არ  
გვქონდა, მოვედით და დედაშენს გამოვარ-  
თვით. არ გახსოვს? ვფიქრობ, რომ ეს ცალი  
ჩექმა გამოგადგება. საცოდაობაა ამისი გა-  
დაგდება.

- ბიჭუნა თითქოს დასთანხმდა. ჩექმის  
ცალი აიღო და თვალიერება დაუწყო. ლეი-  
ლამ, ნახვამდისო, დაუძახა და დედამისისკენ  
გაიქცა. სახლში წავიდნენ. დედამ ჩაილაპარა-  
კა „ლმერთმა ქნას, თავს უხერხულად არ  
გრძნობდეს“.

- ბიჭუნამ ცალი ჩექმა კარგად დაათვა-  
ლიერა. უნდოდა ენახა, მოერგებოდა თუ არა.  
ჩექმა მარჯვენა ფეხის იყო, მას კი მარჯვენა  
ფეხი არ ჰქონდა. არ გამოადგებოდა. სიცილი  
აუტყდა.

- ბიჭუნას ჩექმა გვერდით ედო. ფიქრობ-  
და, რა ექნა. ქუჩაში თავისი ოთხბორბლიანი  
მოტოციკლეტით მემარილე მოდიოდა. იგი  
დახეულ-გაცვეთილ საშინაო ჩუსტებსა და  
რეზინის ჩექმებს აგროვებდა და, სანაც-  
ვლოდ, მარილს იძლეოდა. ბიჭუნამ ცალი ჩექ-

მა გაუწოდა. მემარილემ ჩექმას დახედა და თქვა:

– ეს ხომ სულ ახალია. მეორე ცალი სადაა?

– მეორე ცალი დაკარგულია. მეზობელი გოგონასია. რამდენიც არ ეძება, ვერ იპოვა.

მემარილემ ცალი ჩექმა აიღო და მოტო-ციკლეტში ჩადო. დახეულ ჩექმებსა და ჩუს-ტებს დაადო, რომლებიც ოჯახებში შეეგროვებინა.

•

ჩუსტების გადამამუშავებელი ქარხანა იმავე უბანში იყო. მემარილემ დახეული ჩუს-ტებითა და ძველი ჩექმებით სავსე ტომარა ქარხანაში წაიღო გასაყიდად. ლეილას ცალი ჩექმაც მათ შორის იყო. როდესაც სახელოს-ნოსთან ტომრის ჩამოცლას აპირებდა, ელექტრომანქანასთან დადგმულ კალათას მოჰკრა თვალი.

კალათაში ჩექმის მეორე ცალი დაინახა. ელექტრომანქანაში ჩასაგდებად და დასა-ქუცმაცებლად გაემზადებინათ.

მემარილემ ტომარაში ჩექმის ცალს ჩა-ხედა, ამოილო და მეორე ცალისკენ გაეშურა.

კარგია, რომ ჩექმის ცალები დაინახა. გვერ-დიგვერდ დადო. გაიღიმა და თავისთვის თქვა:

– გამოჩნდა! ახლა დაწყვილდა.

ქარხნის მუშამ მემარილეს შეხედა და ჰკითხა:

– რას უყურებ?

– ჩექმას. მისი ცალი გამოჩნდა.

მუშამ ჰკითხა:

– მის პატრონს იცნობ?

– კი, პატარა გოგონაა, ზემოთა ქუჩა-ზე ცხოვრობს.

მემარილემ ჩექმები ბიჭუნას მისცა.

ბიჭუნამ წყვილი ჩექმა ლეილას სახ-ლთან მიიტანა, დააკაკუნა. ლეილა კართან მოვიდა. ბიჭუნამ ჩექმები მიაწოდა და უთხრა:

– ნახე, შენი ჩექმის ცალი გამოჩნდა.

ლეილას გაუხარდა. ისე ძალიან გაუხარ-და, რომ არ იკითხა, მეორე ცალი სად იყო და როგორ გამოჩნდა. სახლში შეირბინა, ხმამაღ-ლა დაიძახა: „მარიამ, მარიამ, ჩემი ჩექმა გა-მოჩნდა. ჩემი ჩექმა გამოჩნდა“.

მიბრუნდა და სახლის კარს გახედა. ბი-ჭუნა წასულიყო.

სპარსულიდან თარგმნა  
თინათინ წიკლაურმა

## აბას საფარი (1951-2021)

თანამედროვე ირანელი პოეტი, მთარგმნელი, ხელოვანი, მკვლევარი აბას საფარი დაიბადა ქ. იაზ-დჰი. 1979 წელს სასწავლებლად ლონდონში გაემგზავრა და მას შემდეგ ემიგრაციაში ცხოვრობდა.

აბას საფარი აშშ-ში დამკვიდრდა, თუმცა ირანის მოქალაქედ დარჩა. ლონგ ბიჩის უნივერსიტეტში სახვით ხელოვნებას ეუფლებოდა, მაგრამ სწავლა არ დაუსრულებია. იგი ირანსა და აშშ-ში გამოცემული თორმეტი წიგნის ავტორი, ორი ემიგრანტული ირანული (სპარსულენოვანი) ლიტერატურული გამოცემის – „სანგ“ (1997-2000) და „ქაქთუს“ (2000-2002) – თანადამფუძნებელი და პოეზიის ნაწილის რედაქტორი იყო.

აბას საფარი 2021 წლის 26 იანვარს კალიფორნიაში, ლონგ ბიჩში, კოვიდით გარდაიცვალა.

გთავაზობთ მის ლექსებსა და კალიგრამებს კრებულებიდან „სველი ასანთი“ (2005) და „ძველი ფოტოაპარატი და სხვა ლექსები“ (2002).

„ჩვენ უფლისგან ვართ და უფალსავე მივუბრუნდებით“

### „ბეჭედთი ზაჟრაზე“ დაპრძალვის გზამპვლევი

წესრიგი –  
უკეთესს ვერ ინატრებ.  
თქვენი მკვდარი გულარხეინად  
მიცვალებულთა სამმართველოს მიაბარეთ.  
მკვდრის განმპანველი იქ რომც არ იყოს,  
მკვდრები რიგს  
თვითონ დაიცავენ.

საცხედრის ხეივნის ჩრდილში  
გამყოფად თეთრი ზოლი დაგხვდებათ.  
ის ზოლი შეგიძლიათ სიგარეტით  
ან ბეღურების უივუივით ამოავსოთ.  
მაგრამ მათ მხიარულ უივუის  
სერიოზულად ნუ მიიღებთ.

ბეღურებმა ერთადერთი წოტი იციან,  
და იმასაც თავისთვის ღილინებენ.  
მათ უცნაურ ქცევას  
თქვენს მკვდართან არაფერი ესაქმება.

წამდაუნუმ საათზე  
ყურებას მოერიდეთ.  
დაკრძალვის განყოფილება  
დღევანდელ საქმეს სახვალიოდ

არასდროს გადადებს.

მიცვალებულის გულმავიწყობასა  
და ჭირისუფლის დაბნეულობას  
სასაფლაოს ნუ გადააპრალებთ.  
მიმღები პუნქტის ბრალი არ არის,  
თქვენი მკვდრის მობილური  
მისი საწვიმრის ჯიბეში თუ კიდევ რეკავს.

სიკვდილის სასწორი, განურჩევლად -  
მხოლოდ ოცდაერთ გრამს – აკლებს  
მარადისობის მგზავრების წონას.  
თქვენ კი  
მოამზადეთ მხრები  
ამქვეყნად უმსუბუქესი ტვირთის  
საზიდად.

მიწის „სასწრაფო“  
არცერთ ეტაპზე  
არ იგვიანებს.  
ალაპის შვიდჯერ ხსენებასაც კი ვერ მოასწრებთ,  
სასწრაფოს მანქანა, კარგამოღებული,  
ისე დაგელოდებათ.  
თითქოს თქვენი მგზავრი  
აეროპორტში მიჰყავდეს.  
თქვენი მკვდარი  
თავისი ახალი მისამართით  
მას ჩააბარეთ  
და გჯეროდეთ -  
მძლოლის გულგრილობა  
არასგზით გადამდები არ არის.

როცა მიწასთან ჩაიმუხლებთ,  
მისი ნოტიო სიმსუბუქე  
ნელთბილი ხელებით მოსინჯეთ  
და მის შიშს  
გულის კარს ნუ გაულებთ.  
სულაც, მიწა  
იმ ჩამოშლილ კედლად ჩათვალეთ,  
რომლის გადალმა ჩვენი მკვდრები  
თავისხელა სურათის ჩარჩოებში  
გველოდებიან.

თანდათანობით დავიწყებაც  
მიწის ერთ-ერთი თვისებაა უთვალავთაგან.  
ახლა კი გულარხეინად  
დაბრუნდით შინ და  
გახსოვდეთ:  
თქვენგან მიწას მიბარებული  
თავისი საიქიოს არცერთ ფოტოს  
თქვენს მისამართზე არ გამოგზავნის.

\*\*\*

### პუდა არ ვიყავი

მარტო ვიყავი,  
მაგრამ არ ვიყავი ბუდა.  
არღავნისფერი ლოტოსი  
ბროლის მკერდში არ მიფეთქავდა.

ამქვეყნად ყველა საპყრობილები  
მივიწყებული პატიმარი, ხოლო  
მსოფლიოს ყველა სასაფლაოზე  
თითო ძვირფასი ადამიანი მიწას მყავდა მიბარებული.  
მარტო ვიყავი.  
მთვარესავით,  
რომელსაც ჩემს სიმარტოვეზე უფრო დაბალი  
ლობე ვერ ეპოვა.

## კალიგრამები

მონატრეპა

ჩვენია ქილომეტრის თავის თავში უფალავი წვიმის სურნელი დაიუნჯეს, გაგრამ მუდამ კოკის პირული წვიმა ენაზრულად.

სამაგისტრო განათლების მიზნით რომელიმე კავშირი არ არის.

სიცოდან

### ლამეში შექრილი

ვეხს სავანეს. და, ძილისგან გამოქცეული, ისევ გპოულობს.

ვიწყდები.

რაჭალი  
რაჭალი

ილი გაგირბის და დღის წიალში ჰპეო

რ. გადასახი რამდენიმე ერთსახლის მარტინი მარტინი და დღის წიალში ჰპეო

၁၆၈

მდინარის გალაზ რომ გავიდონ და ასარასოდეს დაპირულებულა.

ანუ გულისძომა კვლელი იმპაკტი ბავშვებისა, ან კვლელ ფრანსეს აჩვენებულია,

გაუგებრობა

დაუანგებულ რომელისა და გასაღებს წვიმაში  
სულის ლაფავდა. დაუანგებულ რომელისა და გასაღებს წვიმაში

სპარსულიდან თარგმნა  
თეა შეურლაიაშ

## ფარიბა ვაფი (დაიპ. 1963 წ.)

თანამედროვე ირანელი მწერალი ქალი ფარიბა ვაფი თავრიზში დაიბადა. ამჟამად თეირანში ცხოვრობს. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროზაიკოსია თავის სამშობლოში, ბოლო ხანებში კი პოპულარობა მოიპოვა უცხოეთშიც.

ფარიბა ვაფი რამდენიმე რომანისა და ნოველების კრებულის ავტორია. მისი წიგნები ირანში მრავალი ლიტერატურული პრემიით აღინიშნა. 2017 წელს კი ერთ-ერთი რომანის („თარლან“) გერმანულენოვანმა თარგმანმა ფრანკფურტის ლიტერატურულ ფესტივალზე ლიტპრომის პრემია დაიმსახურა.

ფარიბა ვაფის წიგნები რამდენიმე ენაზე თარგმნილი, მათ შორის, ქართულად.

## ვილის გზაზე

ახალგაზრდა ვიყავი და დარდს ჩემი გული ასე არ უნდა დაემძიმებინა. მინდოდა, რამდენიმე დღით გასეირნებისა და განტვირთვის შესაძლებლობა მქონოდა და არაფერზე მეფიქრა, დედაჩემის ბუზღუნს მოვშორებოდი და ბავშვებზე ზრუნვის დამქანცველი ტვირთი მხრებიდან ჩამომეხსნა. ზუსტად ამიტომ მითრას უბრალო მოპატიუება იმაზე სერიოზულად მივიღე, ვიდრე თავად იფიქრებდა, და ხმამაღლა გამოვაცხადე:

– დეიდა მითრას ვილაში მივდივართ.

ფურის გაუხარდა და ჰაერში შესტა. დიდი ხნის შესვენების შემდეგ დედა ისევ თადარიგს შეუდგა:

– თბილი ტანსაცმელი უნდა წავიღოთ, ჩრდილოეთში ცივი ღამებია.

მითრას დედას წაყვანის შესახებ არაფერი უთქვამს. მხოლოდ მე მთხოვა, რომ, ბავშვებთან ერთად, რამდენიმე დღით მასთან წავსულიყავი:

– თქვენს დასახვედრად აბასს გამოვგზავნი სადგურში.

შემდეგი სატელეფონო ზარების დროს გამგზავრების დეტალებზე ვისაუბრეთ, მაგრამ მითრას დედა არც კი უხსნებია. გულის სილრმეში იმასაც ვფიქრობდი, რომ ეს მითრას მხრიდან ერთგვარი კომპენსაცია იყო დედასთან ჩემი ცხოვრების გამო. მითრა მას-

თან ყოფნას ერთ კვირაზე მეტ ხანს ვერ უძლებდა, საზღვარგარეთ გამგზავრებას ან საქმეებს იმიზეზებდა და მას ჩემთან გზავნიდა ხოლმე:

– შენი ქმარი არ არის და მარტო არ იქნებით.

და ახლა, მთელი ამ სიმდიდრისა და ქონების პირობებში, ბუნებრივი იყო, რომ ხანდახან სინდისს შეეწყებინა და ჩემთვის რამდენიმე დღით თავის ვილაში დასვენება შემოეთავაზებინა. იცოდა, რომ დეპრესია მქონდა და წამალს ვსვამდი. დედამ უთხრა, ზოგჯერ ჩემს შეკითხვებსაც არ პასუხობსო. იმისთვისაც კი დიდ ძალისხმევას ვხარჯავდი, რომ ჩემი რამდენიმეგრამიანი ენის გამოძრავების ნაცვლად, დამძიმებული თავი დამექნია. მითრამ იცოდა, რომ ამ ბოლო დროს არაფრის თავი არ მქონდა.

ზოგჯერ ისიც კი მავიწყდებოდა, რაკავშირი ჰქონდათ ბავშვებს ჩემთან, როდის და რატომ მოვიდნენ. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მათ წინაშე პასუხისმგებლობა მქონდა. მათ ძილსა და კვებას დიდ ყურადღებას ვაქცევდი, ხანდახან ვეთამაშებოდი კიდეც, მაგრამ აქედან არაფერი მანიჭებდა სიამოვნებას. მინდოდა, რამდენიმე დღით დედობისგან შვებულება ამეღლ და დამევიწყებინა, რომ

დედა ვარ. იმის დავიწყებაც მინდოდა, რომ შვილი ვიყავი და დედაჩემს ჩემთან საუბარი სჭირდებოდა. ბოლო დროს დედაჩემს კი არა, საკუთარ თავსაც ძლივს ვიტანდი.

ვიფიქრე, რომ ჩემი არყოფნა დედაჩე-მითვისაც კარგი შესაძლებლობა იქნებოდა, სახლი ჩემი სიმძიმისგან გათავისუფლდებო-და და დედა რამდენიმე დღე ჩემს სახეს ვერ დაინახავდა, სახლში იმ მეზობელს დაპატი-ჟებდა, რომელიც მოსწონდა და, ბავშვების გაბმული ტირილისა და ხმაურისგან შორს, მშვიდად დაიძინებდა-მეთქი.

– შენ ხომ სიარული გიჭირს?

დედა კი მტკიცე იყო თავის გადაწყვე-ტილებაში.

– ფეხით ხომ არ მივდივართ, მითრა აბასს გამოგზავნის ჩვენს დასახვედრად.

გავჩუმდი, როგორ უნდა მეთქვა დედა-ჩემისთვის, რომ არ წამოსულიყო, რომ მისი გაძლება არ შემძლო და მარტო ყოფნა მინ-დოდა. ნეტა, ისეთი დედა ყოფილიყო, რომ რამდენიმე დღით მისთვის ბავშვების დატო-ვება და გადაკარგვა შემძლებოდა, მაგრამ ის ასეთი არ იყო.

– მე ჩემი ბავშვები უკვე გავზარდე. ახ-ლა თქვენი ჯერია.

მე ვახსენებ, რომ მითრას ბავშვებთან ასე არ იქცეოდა.

– მაშინ უფრო ახალგაზრდა ვიყავი, შე-მეძლო.

ერთხელ, როცა ფუია დაუტოვე, წარ-ბშეჭმუხნილმა მითხრა:

– სწრაფად დაბრუნდი. მოშივდება და არ ვიცი, რა ვქნა.

– უბრალოდ, რძე მიეცი.

– რამდენი უნდა მივცე? მე ასეთი რა-მები არ ვიცი. ერთხელაც შემეშლება, აი, ნა-ხავ. ჩვენს დროს ხომ ხელოვნური რძე არ იყო.

მითრამ დარეკა. აინტერესებდა, რო-მელი დღის ბილეთს ვიღებდით, რა რიცხვში და რომელ საათზე ვაპირებდით წასვლას. მითრას ფორმალობები უყვარს. თითქოს, ამერიკაში, ტექსასში მივდიოდეთ და არა ამო-ლის<sup>1</sup> ერთ-ერთ სოფელში. მითრამ ზუსტად გვითხრა, სადგურის რომელ კუთხეში უნდა გავჩერებულიყავით, რომ აბასს ჩვენი პოვნა არ გასჭირვებოდა. ყველამ ვიცოდით, რომ ბატონი აბასი ჩვენი ძებნით თავს არ დაილ-ლიდა, წრეს დაარტყამდა, მერე სწრაფადვე დაბრუნდებოდა სახლში და ძალიან თავისუფ-ლად იტყოდა, იქ არ იყვნენო.

დედა ადგა და ტელეფონთან მოვიდა.

– უთხარი, რომ სადგურის რესტორნის წინ დაველოდებით, ასე უფრო ადვილად გვი-პოვის.

ტელეფონის კაბელი თითზე დავიხვიე.

– ჯერ ზუსტად არ ვიცით, წამოვალთ თუ არა.

ჯიბრზე ვუთხარი. სინამდვილეში კი დედაჩემს ვეუბნებოდი, მიხვდებოდა ჩემი ნათქვამის ირონიულობას. დედამ იცოდა, თავს როგორ ვგრძნობდი, მაგრამ მზად არ იყო ამ მოგზაურობაზე უარის სათქმელად. ეს არც არასდროს გაუკეთებია. იქ, სადაც გართობა და მხიარულება იყო, ერთბაშად ახალგაზრდავდებოდა, მკვირცხლი ხდებოდა და ყველას ასწრებდა. ხანდახან ეჭვიც კი მე-პარებოდა, რომ ასეთი ქალის შვილი ვარ.

– ბატონი აბასი რისთვისლა მოდის? ჩვენით მოვალთ, მარტო ხომ არ ვარ, დედაც მოდის.

დედამ ხელი გამოიწვდინა, ტელეფონის გამორთმევა უნდოდა. მცირე პაუზის შემდეგ მითრამ მითხრა:

– აბასს მაინც გამოვუშვებ თქვენს და-სახვედრად.

ყურმილი დედას მივაწოდე. როგორც ყოველთვის, ძალიან სწრაფად გაუგეს ერთმა-ნეთს. მითრამ არ შეიმჩნია, რომ დედა არ დაუ-

<sup>1</sup> ამოლი – ქალაქი და ადმინისტრაციული ცენტრი ირანში, მაზანდარანის პროვინციაში.

პატიუებია და დედასაც ისე მოჰქონდა თავი, თითქოს, მითრამ პირველი ის დაპატიუა.

– მითრა, ჩვენით მოვალთ.

მერე, ალბათ, მითრამ რამე სასაცილო თქვა, რადგან ჩემმა სამოცდაათი წლის დედამ პატარა გოგოსავით გაიცინა, ხმამაღალი, ახალგაზრდული, ლალი სიცილით. შესაძლოა, მოგზაურობის სიყვარულმა და მისმა ტკბილმა მოლოდინმა გააცინა ასე.

ამ დროს სეფერს ძუძუს ვაწოვებდი და ტელევიზორის სადგამ მინის მაგიდაში საკუთარ ანარკელს ვუყურებდი. ეს მე ვიყავი სამოცდაათის – ოცდაცხრა წლის ასაკში, და მასავით გაცინება არ შემეძლო. სეფერს ჩაეძინა. მკერდი ნელა გამოვაცალე და ზურგზე დავწექი, მერე ცოტა ხანს მოვიცადე, სანამ ლრმად ჩაეძინებოდა.

დედა დივნიდან ადგა. მისი სამაჯურების ხმა გავიგონე, მერე სუნიც ვიგრძენი, სველი მატყლისას ჰგავდა. დედა კოჭლობით წავიდა საპირფარეშოსკენ და, როდესაც უკან დაბრუნდა, მე ჯერ კიდევ ვიწექი.

– ადექი, ეს ბავშვი თავის ლოგინში გადაწვინე.

დივნის კუთხეში ჩაძინებულ ფუიაზე მეუბნებოდა. ავდექი, ავიყვანე და თავის საწოლში ჩავანვინე.

– ერთი ჭიქა წყალი მომიტანე, რომ წამალი დავლიო.

წყლის ჭიქა აიღო და იკითხა, სწორად ესვამ ამ წამალს თუ შეცდომითო.

– შეიძლება, მოვკვდე და ხვალ დილით ვეღარ ავდგე.

ყოველთვის ასე ამბობდა. ეს ცერემონია იყო სიკვდილის წინაშე. ან, შეიძლება, ისიც უნდოდა, რომ უფრო კარგად მოვქცეოდი. კბილები გამოვიხეხე და სინათლე ჩავაქრე.

– ფარდები გადაწიე.

ფარდები გადავწიე. ფანჯრიდან მქრქალი ყვითელი სინათლე შემოვიდა და ოთახის სიბნელეს შეერია.

– ღამის სანათის ანთება დაგავიწყდა. აქაურობა საფლავს ჰგავს.

ავანთე. შიგნით პეპელა იყო, რომელსაც ფრთები ეწვოდა.

დედას ეღვიძა. როგორც წესი, ბალიშზე თავს დადებდა თუ არა, ხვრინვას ამოუშვებდა ხოლმე, მაგრამ ახლა ვერ იძინებდა. ვიცოდი, რომ გამგზავრებისგან გამოწვეული მღელვარება არ აძინებდა. გვერდზე იწვა, მკლავი თავქვეშ ამოედო და ფეხებს ხელა და რბილად უსვამდა ერთმანეთს. მისი ფეხების მოძრაობა იმაზე მიანიშნებდა, რომ სასიამოვნო ოცნებებზე ფიქრობდა. წლების წინ, როცა თავად ვეცადე, გამეგო, რას ნიშნავდა ეს მოძრაობა, ჩავთვალე, რომ ზიზლი უნდა მქონოდა მის მიმართ. მაშინ მიმაჩნდა, რომ ფეხების ეს მოძრაობა აკრძალული სიამოვნების ცეკვას გამოხატავდა და ეს ყველაფერი სახლში მომხდარ იმ გაურკვეველ და ბუნდოვან ამბებს მახსენებდა, რომელთა გაგებაშიც არავინ დამეხმარა და გონებაში სამუდამოდ საძრახისად ჩამრჩა. ახლა მისი ფეხები უკვე მოხუცის კიდურებად ქცეულიყვნენ და მათი ერთმანეთთან შეხება სალესი ქვის უსწორმასწორო ფიცარზე დაფუშვნას ჰგავდა. ეს ხმა მაბრაზებდა. სინამდვილეში კი მისი სიცოცხლისადმი ლტოლვა და ძლიერი წყურვილი მაღიზიანებდა. იგივე ცხოვრება ჩემში არანაირ სურვილს არ აღვიძებდა, მისი საიდუმლოებებით აღძრული მღელვარება ჩემს გულს ვერ ათბობდა და მეტიც, მას ისე აცარიელებდა, როგორც არასდროს.

– ერთ ღამეს აივანზე დაიძინებ და თავს უკეთ იგრძნობ. იქ კარგი ჰაერია.

თავი მოვიმძინარე. არ მინდოდა, სიბნელეში გამოგზავნილი მისი მეგობრული შეტყობინება მიმელო. არ მჯეროდა, რომ ჩემზე ფიქრობდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მომავალ დღეებს წარმოიდგენდა: დიდი აივანი ფარდა-გით და ხალიჩად ქცეული ცხვრის ტყავით. კრიალა ცაზე ვარსკვლავები კიაფობენ და ჰაერში სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. ბატო-

ნი აბასი ყალიონს აცხებს. დედა მითრას ფუმ-ფულა ბალიშებზეა მიწოლილი და თავი სა-მოთხეში ჰგონია. გრილი ნიავი უბერავს და ბალში ტოტებს არხევს, ბალისა და მდინარის ხმები ერთმანეთს ერევა და ყველაფერს იღუ-მალი ელფერი ეძლევა... ნამდვილად ამ ხედის წარმოდგენით მოგვრილმა უზომო სიამოვნე-ბის შეგრძნებამ გააახალგაზრდავა ასე მისი ხმა.

როგორ შეეფერებოდნენ ის და მითრა. მითრაც მას ჰგავდა, ცხოვრება უყვარდა, ბუ-ნება და მისი საჩუქრების გამოყენება.

რას აშავებდა? იმ ღამით ეს შეკითხვა რამდენჯერმე დავუსვი საკუთარ თავს და ყო-ველ ჯერზე თავად ვპასუხობდი, რომ მასაც, ყველა სხვა ადამიანის მსგავსად, აქვს უფლე-ბა, დრო სასიამოვნოდ გაატაროს. უნდა, რომ დარჩენილი ცხოვრებისგან სიამოვნება მიი-ღოს. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ამ პასუხს დავემშვიდებინე, უფრო მეტად ვპრაზობდი.

დედა მოხუცი იყო, მაგრამ სიბერეს მას-თან რა ხელი ჰქონდა. თავად იმორჩილებდა სიბერეს. როგორც აბეზარ კაცს, ისე ათვინი-ერებდა, ზოგჯერ კეკლუცობით და ზოგჯერ – ბასრი კბილებით. არც უბედურება აკლდა, მაგრამ კარგი მეომარი იყო. ყოველთვის იბ-რძოდა, თუმცა ამის გამო საკუთარი თავი არ დავიწყებია, არ დაბეჩავებულა. პრობლემებ-საც კი თავაწეული ხვდებოდა და მიჩვეული იყო ამ მდგომარეობას, ამ დეტალზე ზრუნვა მისი ბუნების ნაწილად ქცეულიყო.

ხშირი თმა ჰქონდა და შემორჩენილი კბილები ჯერ კიდევ მყარი ჩანდა. წლების წინ გულის ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციის წინ მხოლოდ სახის კრემი ითხოვა და კიდევ – სუნამო, რომელსაც ხელში დაიჭრდა, საა-ვადმყოფოს სუნი რომ არ ასვლოდა.

დედა სამოცდაათი წლის იყო და იმ ლა-მაზი სამოცდაათი წლის ქალების რიცხვს მი-ეკუთვნებოდა, რომლებსაც ფაშფაშა და დარ-ბაისლური სხეული აქვთ, სტუმრად ნაზ და ლამაზ თავშლებს იხურავენ და იციან, რო-

გორ მოიქცნენ, რომ მოდურები და მოკაზმუ-ლები გამოჩნდნენ.

ზუსტად ამიტომ უყვარს მითრას სტუმ-რებისთვის დედაჩვენის წარდგენა. მიღებებ-ზე მიჰყავს ხოლმე და მთელი თავისი სიკეპ-ლუცით აცხადებს, ეს დედაჩემიაო. თავად დედის მოყვარული გოგონას შთაბეჭდილებას ტოვებს და დედაჩემი კი – ისეთი შეუდარებე-ლი ქალისას, რომლის უპრალო ამოსუნთქვაც დიდი წყალობაა ყველასთვის. დედას იმდენად მოსწონს თავისი როლი, რომ მიღების დასრუ-ლების შემდეგაც არ უნდა ამ როლიდან გა-მოსვლა.

მაგრამ, როცა მარტო რჩებიან, მითრა მას შენიშვნებს აძლევს. დედა გულმავინყია. ძილში სახე ემანჭება. ხშირად იბნევა და ყუ-რადღების მოკრება სჭირდება. მითრას კი ყველაფერი სძულს, რაც ადამიანის გონებრი-ვი მდგომარეობის გაუარესებას ახსენებს.

მომდევნო დღეებში იმედი მქონდა, რომ დედას სინდისი შეაწუხებდა. ერთ დღეს ვთქვი, რომ ავტობუსის ბილეთები არ იშოვე-ბოდა, მერე ვუთხარი, ჩრდილოეთში იმდენი ნალექი მოვიდა, რომ შეიძლება, წყალდიდობა მოხდეს-მეთქი. დედამ მშვიდად მოითმინა. წასვლამდე ერთი დღით ადრე კი მითხრა:

– თუ წუხდები, არ წამოვალ.

შესაფერისი დღე შეარჩია. იცოდა, რომ, თუ ამ სიტყვებისა და ამბის შემდეგ სახლში დარჩებოდა, ფაქტობრივად, მოგზაურობას ჩამიშხამებდა. არაფერი ვუთხარი. ასე თქვა, ადამიანი ძალიან უიღბლო უნდა იყოს, თავისი უმაღური შვილებისთვის ზედმეტ ტვირთად რომ იქცესო. ამქვეყნად ორი ქალიშვილი ჰყავს და ვერცერთი მათგანი ვერ იტანს. უფ-როსი გოგო სულ საზღვარგარეთ დადის, უმ-ცროსს რაც შეეხება ხომ, ყოველთვის, როცა მისი ქმარი მივლინებიდან ბრუნდება, სადმე უნდა გადაიკარგო. ჯანმრთელი რომ ყოფი-ლიყო და ცოტა ფულიც ჰქონოდა, გერმანია-ში წავიდოდა თავის ვაჟთან. მისი მადლიერე-

ბიც იქნებოდნენ.

დავნებდი. მგონი, ზედმეტი სიმკაცრე გამოვიჩინე. სხვა რამეზე გაბრაზებულმა ჯავრი დედაზე ვიყარე. დედობისგან და ჩემი ქმრის შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობებისგან ვიყავი დაღლილი. ჩემი ასეთი მძიმე განწყობა დედაჩემის ბრალი არ იყო.

რა წამსაც შევურიგდი იმ აზრს, რომ დედაც მოდის, მივხვდი, იქნებ ეს არც ისე ცუდი ყოფილიყო. მხოლოდ მას შეეძლო პატონ აბასთან ცოტა ხნით საუბარი. აბასის საქმე ფულის შოვნა იყო. ამას ისეთი სისწრაფით აკეთებდა, რომ შედეგებით ტკბობას ვერ ახერხებდა. დედა მითრასთვისაც კარგი თანამოსაუბრე იყო. მითრამ მთელი ქვეყნის ამბები იცოდა და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. რას არ აკეთებდნენ საუბრის დროს. მითრა დედას სახეზე ბერვებს უქნიდა და თმას ულებავდა. სანაცვლოდ დედა ნემსისა და ძაფს იღებდა და საბნის კუთხეს ან ლეიბის პირს კერავდა. იქნებ დედა დამთანხმებოდა, რომ ბავშებისთვის მიეხედა, მე კი ჩანჩქერამდე მისვლას და ბუნებასთან და საკუთარ ცხოვრებასთან ხელახლა შერიგებას შევძლებდი.

სიბნელეში დედას ხმა გაისმა.

შენს ასაკში ბავშვებსაც ვუცვლიდი და სახლის საქმებსაც ვუმკლავდებოდი. ას საქმეს თვალის ერთ დახმამებაში ვაკეთებდი და ეს არც არაფრად მიმაჩნდა. მარჯვე და დაუდეგარი ვიყავი. შენ კი მკვდარს ჰერცებარ, სულ დაღლილი ხარ. მაგრამ არა უშავს, გავემგზავრებით და ნამდვილად კარგ განწყობაზე დავდგებით. შუადღეზე ახალ თევზს და დილაობით ყველსა და ნიგოზს შევჭამთ, ბალის ხილით რამდენიმე ქილა მურაბას მოვხარშავთ. შენი ბავშვებიც ცოტა გაკაუდებიან. ნახავ, დაბრუნებამდე კანი როგორი შეგეცვლება.

ავტობუსით რვასაათიანი მგზავრობის შემდეგ უკვე თეირანში ვიყავით და ღამით ამოლის სადგურამდეც მივაღწიეთ. პატონი აბასი შორიდანვე დავინახეთ, თვალებს აქეთიქეთ აცეცებდა, ხელში მანქანის გასაღებს

ატრიალებდა და სწრაფად სცემდა ბოლთას. ხელი დავუქნიე და მოგვიახლოვდა. როგორც ყოველთვის, ეჩქარებოდა. თითქოს მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ხელმოწერისთვის უნდა მიესწრო.

– მანქანა შორს გავაჩერე.

რამდენიმე საათი დაგვჭირდა ამოლამდე და ახლა ვილამდე მისასვლელად ნახევარი საათის გზა კიდევ რჩებოდა. დედა მძიმედ მოაბიჯებდა. ფუია ტიროდა, უნდოდა, ხელში ამეყვანა.

– არ შემიძლია, ფუია.

სეფეპრს ჩემს მხარზე ეძინა. პატონმა აბასმა ჩემი ჩანთა მოსინჯა, რამდენად მძიმე იყო, მერე აიღო და ისარივით გავარდა. ერთხელ შემობრუნდა და დაგვინახა, რომ ლასლასით მივყებოდით უკან.

– იჩქარეთ, მანქანა ცუდ ადგილზე გავაჩერე.

ფუიას ხელი ჩავკიდე და უკან გავედევნე. დედამ თავად აიღო თავისი ჩანთა და რაღაც ჩაილაპარაკა. ვიფიქრე, რომ ლანძღვა გაუგზავნა აბასს, რომელიც ძალიან აჩქარებდა.

ირგვლივ ბნელოდა. სადგურის გარეთა სივრცე სავსე იყო რკინის კონსტრუქციებით, მიწითა და ცემენტით. გამახსენდა, რომ მითრამ მითხრა, ძველის ადგილზე ახალ ტერმინალს აშენებენ. გვერდით კაცმა ჩამიარა სტვენით. ისეთ ადგილზე მივედით, რომ ძლივს ვხედავდით, ჩვენ ნინ რა ხდებოდა. მთელი ქვეყნის სინათლისგან შორს აღმოვჩნდით. თან წვიმდა და თან არა. სადღაც ციდან გზააბნეული წვეტი დამეცა ცხვირზე. ფუია აღარ ტიროდა, ხელჩაკიდებული მომყვებოდა.

დედა ძლივს მოდიოდა. თავშალი თავიდან ჩამოსცურებოდა და მისი კუთხე კბილებით ეჭირა. გავჩერდი, რომ ამომესუნთქა. ოფლი მომდიოდა და სეფეპრის სიმძიმისგან ხელს ვეღარ ვგრძნობდი. დედა ძალიან ჩამომრჩა. მისი მსუქანი სხეული ნინ ვეღარ მოიწვდა მარჯვინივ და მარცხნივ ირწეოდა და

გზას ვერ აგრძელებდა. ავტობუსში ამდენ-  
ხნიანმა ჯდომამ ნამდვილად უფრო აატკივა  
ფეხები. შევხედე და გულში ვთქვი:

— არ ჯობდა, სახლში დარჩენილიყავი?

ვიგრძენი, რომ დედაჩემის გამო გული  
დიდად არ დამწვია. მოხუცი ქალი კოჭლობით  
მოდიოდა, რომ ვილაში მისულიყო, ავანზე წა-  
მონოლილიყო, ფეხები ერთმანეთზე გაესვა  
და ეოცნება. ეს მაგიუბდა. ბრმა სიბრაზე  
იყო, რომელიც არ ვიცოდი, საიდან და რო-  
გორ მოდიოდა. რაც უნდა ყოფილიყო, ღრუ-  
ბელივით იწოვდა მთელ ჩემს გრძნობებსა და  
სისხლს.

გზა გავაგრძელე და ფუიას ვუთხარი,  
რომ ცოტა წინ ევლო ბატონი აბასის სხეული  
სიბრელეში უჩინარდებოდა. გამხდარი და  
მკვირცხლი იყო და ჩქარობდა, რომ ჩემი ძვე-  
ლი ჩანთა, როგორც ძვირფასი ტვირთი, მან-  
ქანამდე მიეტანა.

— ბიძიას თვალი არ მოაშორო.

უკან მივიხედე. დედა ხმამაღლა ამბობ-  
და რაღაცას. ყურადღება არ მივაქციე. უნდა  
გაეძლო. ფეხიც კი არ შემინელებია, რომ დამ-  
ნეოდა. ერთი თვალით ცხვირწინ ვიყურებო-  
დი, მეორეს კი ბატონ აბასს არ ვაცილებდი.  
ფუიას ეშინოდა ირგვლივ გამეფებული სიჩუ-  
მისა და სიბრელის და მაგრად იყო ჩემზე მოკ-  
რული. ბატონი აბასი შორიდან, ჯოჯოხეთის  
მცველივით, ხელით გვანიშნებდა, იჩქარეთო.

მძიმედ ვსუნთქავდი, დაღლილი ვიყავი.  
უიმედოდ გავიფიქრე, წეტა, სად მივდივარ  
ორ ბავშვთან და ერთ მოხუც ქალთან ერთად,  
თან ამდენი ბარგით-მეთქი. სად და — მითრას  
წყეულ ვილაში. იმ მითრასი, რომელსაც  
ცხოვრებაში არასოდეს ჰქონია ჩემსავით მძი-  
მე წუთები. უკვე მასზე გაბრაზებას ვიწყებდი.  
იგი არასდროს აგვარებდა ჩვენს პრობლე-  
მებს. ახლაც კი, როცა თავისთან დაგვპატიუა,  
ამ სიკეთესაც ახლდა რაღაც შემანუხებელი  
და მტანჯველი. მე — ჯანდაბას, მაგრამ ხომ  
შეეძლო, დედასთვის თვითმფრინავის ბილე-

თი ეყიდა?!

გავიფიქრე, რომ მითრა ჩვენს უბრალო  
საჭიროებებზე არ რეაგირებდა, მაგრამ, თუ  
რამეს სთხოვდი, ეს სხვა საქმე იყო. ჩვენ კი  
მისთვის არაფერი მოგვითხოვთ. თუ მითრა  
გაიგებდა, რომ ავად იყავი, იმ წამსვე საქმეს  
შეუდგებოდა. რამდენჯერმე დაგირეკავდა,  
ჯანმრთელობის შესახებ რჩევებს მოგცემდა,  
ექიმთან კონსულტაციაზე ჩაგწერდა, სასწრა-  
ფო დახმარების ფულს გადაიხდიდა და ასე  
დაგეხმარებოდა. მაგრამ არასდროს გკითხავ-  
და, რა ჯანდაბა გჭირსო, რადგან, შეიძლება,  
ამ კითხვაზე დეტალურად პასუხის გაცემა  
მოგენდომებინა, მითრას კი ამის თავი არ  
ჰქონდა. ვგრძნობდი, თითქოს, მთელი ცხოვ-  
რებისეული სევდა ბარგივით ამეციდებინა და  
აქეთ-იქეთ დავატარებდი.

დედას წამოკივლებაზე უკან შევპრუნდი.  
მინაზე სახით გაშეღართულიყო, თავშალი  
წელთან ჩამოსცურებოდა, მისი ჩანთა კი გზის  
გაყოლებაზე რკინის კონსტრუქციებზე ეგდო.  
არ ვიცი, ეს სიბრაზე იყო, სისასტიკე თუ შიში,  
რამაც ადგილზე მიმალურსმა. ნაბიჯიც არ გა-  
დამიდგამს. მზად ვიყავი, დედას მაგივრად  
წავქცეულიყავი, ოღონდ ამ მდგომარეობაში  
არ ვმდგარიყავი. რაღაც მეღობებოდა, რომ  
მისკენ წავსულიყავი, რაღაც, რასაც სახელი  
არ ჰქონდა, მაგრამ რამაც გული დამისერა.

სახე შევაპრუნე და გზა გავაგრძელე.  
ფეხებს ძლივს მივათრევდი. კისრიდან ოფლი  
ტანსაცმელში ჩამივიდა. მერე ხმა გავიგონე.  
უცხო და მოგუდული ხმა იყო, ხაფანგში გაბ-  
მული ცხოველისას ჰგავდა. ჩემი ყელიდან  
ამოდიოდა. უკან ვერ ვბრუნდებოდი. ვფიქ-  
რობ, ზუსტად იმის გამო, რომ არ შემეძლო,  
გულმოწყალე ვყოფილიყავი. ან რაღაც ასე-  
თი... სული მეხუთებოდა და ნორმალური  
ადამიანივითაც კი ვერ ვტიროდი. რამდენ-  
ჯერმე პირი გავაღე და ისევ დავხურე. გამ-  
შრალ პირის ღრუში ჰაერის შესვლა-გამოს-  
ვლა ვიგრძენი. ამის მერე ცრემლები წამომი-

ვიდა. ფუია მომეკრა.

– ახლა მგელი მოვა და შეგვჭამს.

შემეძლო, მივბრუნებულიყავი, დედას-თვის ხელი ჩამეჭიდა და ფეხზე ამეყენებინა, მაგრამ უღირსი ადამიანივით წინ წავედი. ვე-რაფერს ვხედავდი. ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც შემეძლო, სიარული იყო. უკნიდან დედაჩემის ხმა გავიგონე.

– კაცუნას ეფსია, ასე რომ გარბის?

გვიანი იყო, ვილამდე რომ მივაღწიეთ. მითრა ხმაურით შეგვეგბა. აივნის კუთხიდან მატყლის საფენი მოიტანა და დედას ძირს და-უგო, ზურგსუკან კი ფუმფულა მუთაქები და-უნდი. აივანი განათებული იყო და ჭრიჭინებისა და მდინარის ხმა ისმოდა. ჰაერში წვიმის სუნი ტრიალებდა. კოლოები ჭალს ირგვლივ ეხვეოდნენ.

მითრამ ბავშვ/ები რბილ ლეიბებზე დაა-ძინა, ჩვენ კი ჩაი და ხილით სავსე ლანგარი მოგვიტანა. ბატონი აპასი თავისი ყალიონით აქეთ-იქით დადიოდა. მითრა საჭმლის გასათ-ბობად წავიდა. ფეხები გავშალე, თვალები დავხუჭე და ვიგრძენი, რომ ამ სასიამოვნო ჰაერზე უკვე აღარ ვიყავი დაღლილი. ვიფიქ-რე, რომ ყველაფერი უკან მოვიტოვე. ჩემი გონება ყველა ფიქრისგან გათავისუფლდა.

თვალი რომ გავახილე, მაშინვე დედა დავინახე. თავისი მსუქანი სხეულით აივნის მოაჯირთან მიწოლილიყო. სახე ბალისკენ მი-ებრუნებინა და სიბნელეს მიშტერებოდა. მისი ჩაი უკვე გაცივებულიყო და არც იმ ხილის-

თვის დაეკარებინა ხელი, მითრამ თეფშზე რომ დაუწყო. ერთი ხელი მოაჯირისთვის შე-მოეხვია, მეორე კი – ის, რომელიც უფრო უგავდა მოხუცისას და ცოტათი უკანკალებ-და კიდეც, კალთაში ედო.

ვითომ სამარილის აღება მინდოდა, მას-თან ახლოს მივიწიე.

– ვნახავ, მუხლი როგორ გაქვს.

თითქოს რაღაც გადაყლაპაო, ისე შეუმ-ჩნევლად აუკანკალდა ღაბაბი. ხელი ნელა მი-იტანა თვალის კუთხესთან, მერე ქვემოთ. სა-ხე ისევ სიბნელისკენ ჰაერნდა მიქცეული. მინ-დოდა, ჩავხუტებოდი, მაგრამ ამის მაგივრად ჩანთაში მალამოს ძებნა დავიწყე. ამდენ ხარა-ხურაში ვერ ვპოულობდი. დედას ჩუმი და ნაწყენი ხმა ჰაერნდა.

– არ მინდა.

მალამო ვიპოვე, გავხსენი და თეთრი კრემი გადმოვიდა.

– ეს მალამო ფეხების ტკივილს დაგია-მებს.

არ მომწონდა, ხმა რომ მიკანკალებდა. გავჩუმდი, მალამოიანი ხელი გავიწვდინე და ასე გავჩერდი. მალამო საბაბი იყო, რომ ეპა-ტიებინა. ეს ორივემ ვიცოდით. ფეხები ცოტა-თი წინ გამოსწია. სქელი წინდა ჩამოვუნიე. მუხლს ქვემოთ კანი საშინლად გადაყვლეფო-და. ჩემთვის არ შემოუხედავს.

– მიშველის, კი?

თავი მისი მუხლისკენ დავხარე.

– კი, გიშველის.

სპარსულიდან თარგმნა  
ანი ლაზვიაშვილმა

## პატირა და უპრალო რამების გმირი<sup>1</sup>

პრესაში თქვენი ბოლო ინტერვიუს შემდეგ თითქმის თერთმეტი წელი გავიდა. ვფიქრობ, მაშინ რომანი „ჩემი ჩიტი“ იყო ახალი გამოცემული. ამ წლების განმავლობაში მუდმივად მუშაობდით. ახლა მოთხობების ოთხი კრებულისა და ექვსი რომანის ავტორი ხართ, რამდენიმე ლიტერატურული ჯილდოც მიიღეთ და თქვენი წიგნები სხვა ენებზეც თარგმნეს. ასე ცოტა ინტერვიუს რატომ თანხმდებით?

ჩემთვის ინტერვიუც წერას ჰგავს. საბოლოო შედეგი განსხვავდება იმისგან, რაც გონიერად მაქვს. თავდაპირველი აზრი წერის დროს იკვეცება და ბოლოს ის ფორმა აღარ აქვს, რაც ჩემს ფიქრებში ჰქონდა, ხადახან კი საერთოდ შეცვლილი და არასრულია. ის ფაქტი, რომ ტექსტი ამ ფორმით რჩება და ხელის შევლების, ხელახლა გადაწერის საშუალება აღარ მაქვს, მაფორიაქებს და იმედგაცრუებულს მტოვებს. სწორედ ამის გამო ჩემს ძველ ტექსტებს იშვიათად ვკითხულობ. ინტერვიუში კი უფრო მეტად ხარ შეზღუდული. გარდა ამისა, ჩემს მოთხობებში უკვე ყველაფერი ნათქვამი მაქვს და, თუ რამე ბუნდოვანია, ვფიქრობ, ფუჭი იქნება ისევ ამაზე საუბარი.

ცოტა გვყავს ისეთი მწერალი, მუდმივად რომ მუშაობდეს და მისი წიგნები საკმარის ყურადღებას იქცევდეს. თქვენმა მოთხობების კრებულმა კი საკმაო ინტერესი გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, ამ მუდმივობამ რამდენად მოახდინა გავლენა თქვენს საქმეზე?

ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც მწერალს განასხვავებს წერით დაინტერესებული თუ თუნდაც მწერლობის ნიჭის მქონე ადამიანებისგან, სწორედ ეს მუდმივობაა, ანუ მწერალს დრო და მუდ-

მივი, სერიოზული მუშაობა აქცევს მწერლად. მწერლობა მთელი სიცოცხლის საქმეა. ერთ წიგნს დაწერ და გვონია, რომ მწერალი გახდი. მეორე წიგნზეც იგივე განცდა გაქვს, მაგრამ მომდევნო წიგნების წერისას აცნობიერებ, რომ მწერლობა რაღაც შემთხვევა ან მოვლენა არ არის, რომ ერთბაშად მოხდეს.

სადღაც თქვით, რომ თქვენთვის მწერლობა პროფესია კი არა, სურვილი იყო, უფრო ოცნება.

ახლაც ასეა.

აისრულეთ ეს ოცნება?

არა, ისევ ოცნებაა, ჯერ ვერ ავისრულე.

თუ თავიდან ჯერ კიდევ მერყეობდით, ახლა უკვე ნამდვილად იქცით მწერლად. დღეს წერა თქვენი ცხოვრების რა ნაწილს იკავებს?

არსებითად, არაფერი შეცვლილა. წერა ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და ახლაც ასეა. მხოლოდ ცოტა თავდაჯერებულობა და გამოცდილება მომემატა. დღეს შემოქმედებითი პაუზები ძველებურად აღარ მაშინებს და არ მიჩნდება განცდა, რომ წერა აღარ შემიძლია. ცოტათი გავერკვიე, როგორია წერის, როგორც პროცესის, მოქმედების მექანიზმი.

ანუ ყოველ დილით, რომ იღვიძებთ, მაგიდას მიუკვდებით და წერთ?

რა თმა უნდა, არა. ჩემი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ასეთი განრიგი არასოდეს მქონია და საკუთარი შინაგანი წესრიგით მუშაობა ვისწავლე. როგორც წესი, შემოვინახავ ხოლმე ძალიან ცოტა დროს წერისთვის და მერე ამ ძნელად მოსაპოვებელ შანსს თითქმის არასდროს ვუშვებ ხელიდან. ჩვენი მწერლები ბევრს არ საუბრობდნენ წერის პროცესთან დაკაშირებულ სირთულეებ-

<sup>1</sup> მოუდე დაყიყის ინტერვიუ ფარიბა ვაფისთან, ჟ. „ქალები დღეს“, (2), 2014.

ზე. მწერალთათვის დასმული შეკითხვებიც, ძირითადად, მათ სამწერლო სტილსა თუ ამ გზაზე არსებულ დაპრკოლებებს, მაგალითად, ცენზურას ეხება. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, რომ ზუსტად არც კი გვესმის მწერლობის არსი. თავიდან მეც ზედაპირული აღქმა მქონდა, ვერ ვაცნობიერებდი, რამდენად საჭირო იყო შემოქმედებითი აზროვნება. ვგრძნობდი, რომ აღელვებული ვიყავი, მაგრამ ამ განცდას ზუსტ განსაზღვრებას ვერ ვუძებნიდი, ვერც კი ვაცნობიერებდი, ეს რა იყო. ვერ ვხვდებოდი, ეს შინაგანი მღელვარება წერისთვის საჭირო ენერგიად როგორ მექცია და არც ის ვიცოდი, შედეგს გამოიღებდა თუ არა. თავიდან ვფიქრობდი, რომ თუ ერთი მაგიდა, კალამი და საკმარისი დრო მექნებოდა, დანარჩენი რამები ადვილად გამოვიდოდა და დავწერდი. ამიტომ მერე, როცა ბევრი მცდელობის შემდეგ საკუთარი თავისთვის დროს გამოვათავისუფლებდი, მიკვირდა, რომ წერას ვეღარ ვახერხებდი. იმედგაცრუებული ვიყავი და ვფიქრობდი, შემეძლო კი, საერთოდ, წერა?! ძალიან დიდი დრო დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ მწერლების მიერ გავრცელებული რეკომენდაციები და ინსტრუქციები ჩემს ცხოვრებას არ მიესადაგებოდა და ჩემთვის უსარგებლო იყო. თანდათან მივხვდი, ჩემი საქმე რამდენად შეუმჩნეველ და დელიკატურ პრობლემებთანაა დაკავშირებული

თქვენ მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელთაც მკითხველთა ფართო წრე ჰყავთ. თქვენს წიგნებს რიგით მკითხველებთან ერთად ინტელექტუალუბიც კითხულობდენ. შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ტექსტები სერიოზული და მასობრივი ლიტერატურის ზღვარზეა. ამ დროის განმავლობაში მიაღწიეთ თქვენი მკითხველის მხრიდან აღიარებას? მათგან რა უკურაქციას ხედავთ?

ჩემი ტექსტების მისამართით ყველანარი აზრი მომისმენია, თუმცა საბოლოო დას-

კვნას ვერ გავაკეთებ. დაზუსტებით ვერ გეტ-ყვით, ვინ არიან ჩემი მკითხველები, რადგან მე არ ვირჩევ მათ, ისინი თავად მირჩევენ. ისინი, ვისი აზრიც წამიკითხავს ან მომისმენია, ჩემი მოთხოვნების ლაკონურობასა და სილორეს უსვამენ ხაზს და ამბობენ, რომ ტექსტების სამყაროში ჩემს თანამგზავრებად იქცნენ და ისეთი რამები აღმოაჩინეს, რაც ხელისგულზე ედოთ და თავადაც იცოდნენ მათ შესახებ, თუმცა ახლა ჩემთან ერთად მათი ხელახლა აღმოჩენით სიამოვნება მიიღეს. ზოგიერთისთვის ჩემს ტექსტებში ახალი არაფერი ყოფილა, ზოგის აზრით, ისედაც მიმეცხოვრებას კიდევ უფრო დრამატულად ვუყურებ და ზოგს კი, უბრალოდ, ქალური ატმოსფერო არ მოსწონს ჩემს შემოქმედებაში.

თქვენი ტექსტებისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ადამიანთა შინაგან სამყაროსა და მათ ურთიერთობებზე დაკვირვება, თავად ამბებზე კი ნაკლებად სვამთ აქცენტს. ნებისმიერ მოვლენას ადამიანებს შორის ურთიერთობების კონტექსტში ანიჭებთ მნიშვნელობას. ეს ნიშანი იკვეთება თქვენს ახალ რომანშიც „დასასრულის შემდეგ“. მკითხველი არა უშუალოდ მოვლენის, არამედ მის შემდეგ დამდგარი რეალობის მოწმეა და ამ შემთხვევას გადარჩენილ ადამიანებს ხვდება. რომანის სათაურიც ამაზე ხომ არ მიანიშნებს?

დიახ. ამ რომანში ყველა ურთიერთობა უკვე დასრულებულია, მაგრამ, ისინი, თითქოს, არსად გამქრალა და, შესაძლოა, გაგრძელებაც ჰქოვონ. დასასრული არ არსებობს. ხანდახან მოვლენის შედეგებზე საუბარი თავად ამ შემთხვევის შესახებ საუბარზე უფრო მნიშვნელოვანია. რაღაც მოხდა და მორჩა, მაგრამ რეალურად იგი მრავალწლოვან კვალს ტოვებს ადამიანის ცხოვრებასა და სულიერ მდგომარეობაზე. ხანდახან ეს თავგადასავალი ისეთი ჩახლართული ხდება, რომ გავიწყდება კიდეც, ასეთად რამ გაქცია და ახლა ასე რატომ იქცევი. რომანში „დასასრუ-

ლის „შემდეგ“ ადამიანებს თავიანთი მოგონებები სჭირდებათ, რათა უკან დაბრუნდნენ, ეს სიმორე და გაუცხოება დააკომპენსირონ და საკუთარ თავს ახალი თვალით შეხედონ.

როგორც ჩანს, ეს რომანი ამბავია ურთიერთობების გაიშვიათებისა და დასრულების შესახებ. მაგალითად, გავიხსენოთ ასადის ურთიერთობა საკუთარ ოჯახთან, ან მარიამის დამოკიდებულება ასადთან და მანზართან.

შეიძლება ითქვას, რომ „დასასრულის შემდეგ“ სწორედ ამ ურთიერთობების გაიშვიათებას ენინააღმდეგება. ერთი შეხედვით, ურთიერთობები თითქოს დამსხვრეული და განყვეტილია, მაგრამ სინამდვილეში არაფერი დასრულებულა. თუ მართლა ყველაფერი დამთავრდა, მაშინ ეს ადამიანები ამ ამბავს რატომ უბრუნდებიან ისევ და ისევ და რატომ აკვირდებიან კიდევ უფრო მეტი ყურადღებით?! ისინი განიხილავენ ამ სიტუაციას და გამოსავალზე ფიქრობენ, სურთ, იცოდნენ, რა დაემართათ. მათ თავიანთი ცხოვრების ხელახლა შეცნობა და გადაფასება სჭირდებათ იმისათვის, რომ ისევ შეძლონ წინ სიარული.

პერსონაჟებზე რას იტყვით, ისე გამოდის, რომ ამ რომანში ყველა ქალი მთავარი მოქმედი გმირია.

როდესაც რომანის პერსონაჟმა ქალებმა ერთმანეთთან ურთიერთობა გააძეს, ამაში ყველას თავისი წვლილი ჰქონდა. მათ სხვა-დასხვა რამ ანუხებთ, მაგრამ ისინი ერთმანეთის გამოცდილებას იზიარებენ, საკუთარ თავს დანარჩენების ადგილას აყენებენ მათი მდგომარეობის უკეთ გასაგებად და ხშირად ახერხებენ კიდეც სხვა ქალების განცდების სრულად გათავისებას. სწორედ ამ თანაგან-ცდის გამო მათ შეუძლიათ, გარკვეულ მომენტში საკუთარი თავიდან გამოვიდნენ, სხვის შინაგან სამყაროს შეუერთდნენ და ერთმანეთის წუხილი იგრძნონ.

ამ რომანის პერსონაჟი ქალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მანზარი, სხვა

ქალებთან შედარებით, არასტადარტული პერსონაჟია; როიას არ სურდა ჩვეულებრივი ყოფილიყო და ცხოვრება საკუთარი სურვილისამებრ შეცვალა; ნასრინი საკუთარ ბედისწერას დამორჩილდა; ფათემებ თავისი ცხოვრების მერყევი საზღვრების ერთგულია. თავად სურიც კი, რომანში ხანმოკლე პერიოდით გამოჩენის მიუხედავად, მნიშვნელოვანი პერსონაჟია, ის ქალია, რომელიც არასოდეს წყვეტის მცდელობას და სურს, ცხოვრება ისე შეცვალოს, როგორც თავად სურს. ისინი ყველანი რეალური ქალები არიან, თავიანთი სისუსტეებით და განცდილი მარცხებით, და არა გმირები. თქვენ ყოველთვის უარს ამბობთ გმირი პერსონაჟის შექმნაზე.

ჩემთვის გმირობა მნიშვნელოვანი არ არის. ვფიქრობ, უკვე წლებია, რაც ამ თემას ჩამოვშორდით. მე განსხვავებული შეხედულებები მაქვს და გმირობას პატარა და უბრალო რამეებში ვხედავ, მაგალითად, იმაში, რომ ჩემი პერსონაჟები გულწრფელები იყვნენ, თვითმყოფადობა არ დაკარგონ და სიმამაცე გამოიჩინონ. ჩემთვის ის პერსონაჟია გმირი, რომელსაც საკუთარი თავის წინაშე დადგომა არ აშინებს, ან ის, ვინც კარგად აცნობიერებს, რა შეზღუდულია და მაინც საკუთარი ძალებით ახერხებს გულში არსებული ქაოსის წესრიგად ქცევას და თანაც, ამ ყველაფერთან გამკლავება ყოველდღიურად უწევს. ადამიანმა შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ ან თუნდაც რამდენიმეჯერ ჩაიდინოს რამე გმირული საქციელი, მაგრამ, ჩემი აზრით, გმირს არჩევანის გაკეთება ყოველდღე და დღეში რამდენიმეჯერაც კი უწევს.

ცოტა არ იყოს, ზეწოლად მეჩვენება, რომ მწერალს ტექსტში მომხდარი ყველა ქმედების მიზეზს ვეკითხებით. იქნება, ბევრი ჩვენგანის მსგავსად, არც მას არ აქვს მზაპასუხები.

ჩემთვის ეს ყოველთვის რთული იყო, რადგან, როდესაც წერის შესახებ ვსაუბრობ,

ლოგიკას უნდა ვეყრდნობდე, მე კი ამას წერის პროცესში სულ გავურბივარ ხოლმე. წერისას თავისუფალი ვარ, ეს თავისუფლება გარეთ არ არის. საკუთარ ნაჭუჭში ვარ შეკეტილი იმისათვის, რომ ყველაფერს, რაც მჭირდება, ახალი თვალით შევხედო, ისე დავაკვირდე, თითქოს პირველად ვხედავ და შემდეგ კი სასურველი ფორმა მივცე. თუ რამე მანუხებს, თავიდან ვიშორებ, რათა სრული კონცენტრაცია წერის პროცესზე მოვახდინო. როგორ შეიძლება ამ ყველაფრის გადმოცემა?

შესაძლოა, ამდენი ჩაძიება არც იყოს სწორი და მოთხოვობა თუ რომანი ისე უფრო ბუნებრივი გამოვიდეს.

იდეებს, წესებს, კანონებსა და ფორმულებს წერის პროცესში მხოლოდ რაღაც ეტაპამდე მივყვები, მერე კი მათ არსებობას ველარ ვგრძნობ, თითქოს, არც კი ყოფილან. ისინი არ მკარნახობენ, რა გავაკეთო, ან პირიქით – რა არ გავაკეთო, ან რა გზა აირჩიოს რომელიმე პერსონაჟმა. ხანდახან, როდესაც მოქმედი გმირი ისეთ რამეს აკეთებს, რაც მის საქციელს არ ჰგავს, სხვა გზა არაა, უკან უნდა დაბრუნდეს და ისე მოიქცეს, როგორც მას შეეფერება. ხანდახან ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია. ზოგჯერ ვხვდები, რომ თუ მინდა, რომანში რაღაც ახალი მოხდეს, მაშინ ახალი პერსონაჟი უნდა ვეძებო და იმას არ მივმართო, ვინც უკვე არის რომანში და მოქმედების საკუთარი ბუნებრივი ხაზი აქვს. ხანდახან ისეც ხდება, რომ ჩემს რომანში არ არის ისეთი პერსონაჟი, რომელიც ისე მოიქცევა, როგორც მე მინდა. მეტიც, ასეთს ცხოვრების გზაზეც კი არ შევხვედრივარ. შესაბამისად, ის საინტერესო მოქმედება, რომელიც მინდოდა, რომ შემდგარიყო, ჩემი ტექსტების სამყაროს მიღმა რჩება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებაც ხშირად წერთ და ეს, თითქოს, ერთგვარ ღირებულებასაც კი წარმოადგენს თქვენს რომანებსა და მოთხოვ-

ბებში, არის ყოველდღიური რუტინისგან გაქცევის მცდელობა. პერსონაჟები, განსაკუთრებით კი ქალები, ცდილობენ, თუნდაც სულ პატარა და უმნიშვნელო ცვლილების საშუალებით გაექცნენ თავიანთი ცხოვრების ერთფეროვნებას. ამ რომანის ნარატორიც ასეა.

ძირითადად, ადამიანები რაღაცნაირად ჩაძირულები არიან ამ ყოველდღიურ ერთფეროვნებაში. ისინი ან ეგუებიან ამას, ან გაქცევას ცდილობენ. ხანდახან ისე ხდება, რომ ყველაფერს ვერ უმკლავდები და ამ რუტინას თავი უნდა დაალწიო. მაგალითად, მანზარი რომანში მუდმივად ცვლის სიტუაციას, მთხოვბელი კი იუმორის საშუალებით ცდილობს რუტინისა და მისგან გამოწვეული სიცარიელისგან თავის დაღწევას.

თუ ახლოდან დავაკვირდებით საკუთარი ყოველდღიურობით ისეთ კმაყოფილ პერსონაჟსაც კი, როგორიც როიას დაა, დავინახავთ, რომ სინამდვილეში ეს ასე სულაც არ არის.

ფათემე ნიღბის უკან იმალება და მას კარგად საკუთარი დაც კი არ იცნობს. მთხოვბელი თანდათანობით უკეთ ეცნობა დას და ხვდება, რომ ადამიანები მხოლოდ გარეგნულად ჰგვანან ერთმანეთს და ჩვეულებრივებიც მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანან. სინამდვილეში არავინაა მარტივი და ყველას თავისი პრობლემები აქვს.

უმეტესად პერსონაჟებს საშუალო კლასის სხვადასხვა ფენიდან ირჩევთ. ამ კატეგორიას უკეთ იცნობთ?

მე იმ ადამიანებზე ვწერ, ვისაც ვიცნობ და ვისი სადარდებელიც ვიცი და. ნეტავ, შემეძლოს ამ თემებზე უკეთ ვწერო. იმათზე ვერ დავწერ, ვის მიმართ იქნებ ინტერესიც მაქვს, მაგრამ კარგად არ ვიცნობ. ზედაპირული ცოდნა რაში გამოდგება?

როგორ ფიქრობთ, საერთოდ, მწერალს შეუძლია ისეთი პერსონაჟი შემოიყვანოს ტექსტში, რომელსაც ბოლომდე არ იც-

ნობს?

როგორც წესი, ეს ტექსტში იგრძნობა ხოლმე. მკითხველი მალევე ხვდება, მწერალი პერსონაჟს იცნობს თუ საკუთარი წარმოსახვით წერს მის შესახებ, ნაკითხულ ინფორმაციას იყენებს მის შესაქმენლად თუ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეყრდნობა.

წერისას ხშირად მიანიშნებთ სხვადასხვა მოვლენასა თუ გარემოებაზე, რომლებმაც უდავოდ დიდი ზეგავლენა მოახდინეს პერსონაჟებზე. თუმცა ხანდახან ეს მინიშნებები ყველასთვის გასაგები არ არის და მხოლოდ იმ თაობას ესმის, რომელსაც რაღაც კონკრეტული მოვლენები ჯერ კიდევ ახსოვს. ზოგჯერ ეს იმ ადამიანებისთვისაც გაუგებარია, რომლებიც ამ გეოგრაფიულ არეალში არ ცხოვრობენ. არ გიფიქრიათ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ეს ნიუანსი, შესაძლოა, თქვენი რომანის ნაკლად იქცეს?

გააჩნია, ეს გარემოება რამდენად მნიშვნელოვანია ნაწარმოებში. მაგალითად, ამ რომანში მოქმედება ომის პერიოდში ხდება, მაგრამ ეს რომანი ომზე არ არის. აქედან გამომდინარე, ეს მინიშნებები ბევრი არ არის და, თუ გარკვეული დროის შემდეგ ამ რომანს აღარ წაიკითხავენ, ეს ამ ნიუანსების ბრალი ნამდვილად არ იქნება. მეტის გაკეთების შესაძლებლობა რომ მქონოდა, თქვენ მიერ დასახელებული პრობლემა ნამდვილად აღარ წარმოიქმნებოდა.

თქვენ არ ითვლებით იმ მწერალთა კატეგორიაში, რომლებიც სოციალურ საკითხებზე წერენ. უმეტესად თქვენი ყურადღების ცენტრში პერსონაჟის შინაგანი სამყარო ექცევა. თუმცა თქვენს ტექსტებში ჩანს სოციალური თემატიკაც და თქვენი მოთხოვები მხოლოდ ინდივიდის კვლევის პროცესზე არ არის აგებული. ინდივიდსა და საზოგადოებას რა წილი აქვთ თქვენს შემოქმედებაში? სოციალური პირობების ასახვა თქვენს მოვალეობად მიგაჩნიათ?

ჩემს რომანში არცერთი მოვლენა, მხო-

ლოდ გონიებაში მომხდარიც კი, ერთგვარ ვაკუმში არ ხდება და სოციალურ თუ სხვა ტიპის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, რომ პერსონაჟის შესახებ თხრობისას, მისი ცხოვრების კულისებსა და განვლილ გზაზეც ისაუბრო. ჩვენ ირგვლივ არსებული სიტუაციიდან განყენებულად ცხოვრება არ შეგვიძლია. განყენებულად მხოლოდ პერსონაჟის სულიერ მხარესა და ფსიქოლოგიაზე ვერ დავწერ, თუ იმ გარემოზეც არ ვისაუბრებ, რომელშიც ის ცხოვრობს. ავსტრალიელი ქალი განსხვავდება ისპაპანელი ქალისგან. არც მათი სოციალური მდგომარეობა ჰგავს ერთმანეთს და არც ცხოვრებისა და აზროვნების წესი. მათი ცხოვრებისეული ხედვაც, რა თქმა უნდა, ერთმანეთისგან განსხვავებულია.

ამ რომანში ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა წამოჭრილი, რომელსაც თქვენს სხვა ტექსტებშიც ვხვდებით, ვგულისხმობ კრიზისს თანამედროვე ოჯახში. რა არის თქვენი მიზანი, გინდათ აჩვენოთ, რა პრობლემები ექმნება ინდივიდს ოჯახის გარემოცვაში თუ, უბრალოდ, გსურთ, რომ ეს კრიზისი, როგორც ერთი გარემოება, ისე ასახოთ?

კონკრეტული მიზანი არ მაქვს. თქვენ უნდა გააკეთოთ ეს დასკვნა. მე ვწერ დაუცველობის განცდაზე, რაც ოჯახების უმეტესობაში სუფევს. ვსაუბრობ დაბრკოლებებზე, რომლებსაც ადამიანები ამ ოჯახური კავშირების დამყარებისას აწყდებინ, ვყვები იმ გაუგებრობებსა და მარტოობის განცდაზე, რაც ამ ურთიერთობებს ახლავს თან. ამ კერაში, რომელიც ხშირად თბილიც არ არის, ადამიანები ერთმანეთს ტკივილს აყენებენ. მათი სურვილები ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის, მაგრამ, არსებული წესების გამო, იძულებულები არიან, ერთმანეთი აიტანონ. როდესაც ეს წინააღმდეგობები და არეულობა დღის სინათლეზე გამოდის და თქვენ ამას კითხულობთ, ამ ყველაფერს უკვე კრიზისად

ალიქვამთ და, შეიძლება, ასეც არის.

ამ რომანის პერსონაჟ მამაკაცებს, თავად ინტელექტუალ გმირსაც კი, მეტნაკლებად პატრიარქალური შეხედულებები აქვთ. მიუხედავად ამისა, მკითხველი მათ, როგორც საყრდენს, ისე არ აღიქვამს. საბოლოო ჯამში კი პერსონაჟი კაცები ქალებზე ძლიერები არ ჩანან, მათ შორის, არც მამის, არც შორეული ნათესავის და არც ასადის. ისინი უფრო მეორეხარისხოვან როლში არიან.

ვფიქრობ, უკვე დიდი ხანია, მამაკაცებს დასაყრდენად აღარ მივიჩნევთ. როგორც სხვა ბევრი რამე ამ საზოგადოებაში, ესეც ერთ-ერთი მითია, რომლის დაჯერებაც სურთ ადამიანებს, მაგრამ ცხოვრების მძიმე პირობები მათ სწრაფად აქრობს. ქალებმა თანდათანობით ისწავლეს, რომ საკუთარ თავს უნდა დაეყრდნონ და გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სულაც არ დააზარალებს კაცებს. რაც შეეხება მამაკაც პერსონაჟებს, მათ სიძლიერესა თუ სისუსტეს არა მათი სქესი, არამედ ზოგადად ადამიანთა ერთმანეთისგან განსხვავებულობა განაპირობებს. თუმცა ის, რომ რომანში მამაკაცები მეორეხარისხოვან როლში არიან, ბუნებრივია, რადგან ეს რომანი ქალების ცხოვრების ამბებს ყვება და ზუსტად ამიტომ მასში ქალების ხმა უფრო ხმა-მალლა ისმის.

**არასოდეს გაგჩენიათ სურვილი, რომ მამაკაცის პერსპექტივიდან დაგენერათ?**

მაქვს რამდენიმე ასეთი ნოველა, თუმცა აქამდე ამის აუცილებლობა არ მიგრძნია. აი, ქალების სამყაროს შესახებ წერა კი, პირიქით, ყოველთვის მინდოდა. ვის შეუძლია ქალზე უკეთ დაწეროს საკუთარ თავზე?! ჩემი აზრით, ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ უამრავი რამ არის ამ საკითხის შესახებ დასაწერი. ამდენი ქალის მიჩქმალული განცდები და დადუმებული ხმები და მათ შესახებ ჯერაც არ დაწერილა.

ამ რომანში ურთიერთობები, თითქოს, სრულად მორღვეულია. ამის მიზეზი ცხოვრების პირობებია?

თქვენ როგორ ფიქრობთ? წესით, ამ კითხვაზე პასუხი ჩემს რომანში უნდა იყოს. იქნებ თავად მწერალი ხედავს ასე სამყაროს და შემდეგ რომანში თავის პესიმისტურ შეხედულებებს გვახვევს თავს? ან იქნებ ამ რომანს შეუძლია დაგვანახოს, რომ ეს ადამიანები სხვა სიტუაციაში რომ ყოფილიყვნენ და ამდენი ტრავმა არ მიეღოთ, შესაძლოა, სხვანაირ ადამიანებად ქცეულიყვნენ? ანუ თავს გადახდენილმა ამბებმა აქციეს ასეთ ადამიანებად? ნაკლებად სტრესული და დაძაბული ცხოვრება რომ ჰქონოდათ, მაინც ასეთი მორღვეული იქნებოდა მათი ურთიერთობები? ისინი ხომ თავიდანვე ასეთები არ იყვნენ, იმედიანი ადამიანები ეთემოდათ, თავიანთი მიზნები ჰქონდათ და სხვებთან ადამიანურ ურთიერთობებსაც ესწრაფვოდნენ. მაგრამ შეიცვალნენ და ეს ერთბაშად არ მომხდარა. დღითიდლე, წვეთ-წვეთად იქცნენ იმ ადამიანებად, ვინც ახლა არიან. მათ აღარც ცოცხალი, ნამდვილი ურთიერთობები აქვთ და აღარც კავშირი გარემოსთან და გარშემოყოფებთან.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ გარკვეულ პერიოდში ცხოვრების პირობების ზენოლა ლიტერატურაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ეს ადამიანზე, ინდივიდზე ორიენტირებული ლიტერატურა გარკვეულწილად ამ ზენოლის გამოძახილია.

ზენოლა ყოველთვის მძიმე გავლენას ახდენს ლიტერატურაზე. მათგან განსხვავებით, ვინც მიიჩნევს, რომ ეს წერი ფანტაზიას ფრთხებს ასხამს, მე პირიქით ვფიქრობ, რომ იგი ლიტერატურას თავისი ძირითადი გზიდან გადახრას აიძულებს. თუმცა, ჩემი აზრით, ნამდვილი ლიტერატურა მოგვიანებით მაინც უბრუნდება იმ რაღაცის ძიებას, რისი მოყოლაც ჯერ კიდევ საჭიროა. შეიძლება ისე მოხდეს, რომ გვერდი აუარო დაბრკოლებებს და შემდეგ ისევ უკან დაბრუნდე იმ გარემოებაში გასარკვევად, რაც აშენებს ან ანგრევს ჩვენს ცხოვრებას. ვფიქრობ, კიდევ ერთხელ უნდა

დავუბრუნდეთ იმას, რაც გვაწუხებს, ჩავუღ-  
რმავდეთ ამ ყველაფერს და მერე, იქნებ, ამა-  
ზე დავწეროთ კიდეც. შესაძლოა, ჩვენი წერის  
სტილი ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს.

თქვენი შემოქმედებისთვის ერთ-ერთი  
დამახასიათებელი ნიშან-თვისება ლაკონუ-  
რობაა. წერის პროცესში თავიდანვე მიჰყე-  
ბით ამ ლაკონურობის ხაზს თუ შემდეგ  
ამოკლებთ?

თუნდაც დასაწყისიდანვე მოკლედ  
ვწერდე, შემდეგ მაინც ბევრ რამეს ვიღებ  
ტექსტიდან. სინამდვილეში, ერთ-ერთი სია-  
მოვნება, რასაც ჩემი საქმე მანიქებს, არის  
ერთგვერდიანი ტექსტის ერთ აბზაცამდე ისე  
შეკვეცა, რომ არც მნიშვნელობა დაიკარგოს  
და არც ეფექტი.

უხვსიტყვიანობას გაურპიხართ?

ძალიან.

დროთა განმავლობაში ეს თვისება  
თანდათან უფრო შესამჩნევი ხდება თქვენს  
ტექსტებში. ვფიქრობ, თქვენი ეს ლაკონური  
სტილი დღეს უკვე იუმორთან არის შერეუ-  
ლი. ოდესმე შეგინიშნავთ, რა რეაქცია აქვთ  
თქვენს მკითხველებს ამ ხუმრობანარევ  
სტილზე? გაგება ხომ არ უჭირთ?

როგორც წესი, მკითხველებს მოსწონთ  
იუმორი, ამის გარეშე ტექსტის სიმწარე და  
სიცივე მკითხველს ამძიმებს. საერთოდაც,  
იუმორის გარეშე ცხოვრების ატანაც რთუ-  
ლია. იუმორი ადამიანის გონებას უმახვილეს  
და შემდეგ უკვე შეუძლებელია პასიურ პოზი-  
ციაში დარჩენა.

თქვენ წერა მოკლე მოთხოვების შექ-  
მნით დაინტერესოთ. „ჩემი ჩიტის“<sup>1</sup> შემდეგ კი  
თანდათან ვრცელი მოთხოვებისა და რო-  
მანებისკენ გადაიხარეთ. ვფიქრობ, თქვენს  
შემოქმედებაში დღესდღეობით რომანებზე  
უფრო დიდი წილი მოდის. თხრობის ამ ორ

სტილს ერთმანეთისგან რა განასხვავებს?

ჩემთვის მათ შორის ის განსხვავებაა,  
რომ რომანის დაწერა ყოველთვის უფრო  
რთული მეჩვენება. ყურადღების სრული კონ-  
ცენტრაცია და მეტი თავისუფალი დრო  
სჭირდება. არ გამოდის, რომ პირველი და მე-  
ორე ნაწილი დაწერონ და დანარჩენი, მოუც-  
ლელობის გამო, მაგალითად, ორი თვით გა-  
დადო. შეიძლება, გონება ისე გქონდეს ყო-  
ველდღიური ცხოვრებით გადატვირთული,  
რომ საერთოდ დაკარგო რომანის წერისთვის  
საჭირო შეგრძნებები. ეს განსხვავდება რომა-  
ნის საკუთარი ნებით გვერდზე გადადების-  
გან, სანამ ხელახლა დაუბრუნდები. მე იმ პა-  
უზებს ვგულისხმობ, რომლებიც აზიანებს  
რომანის წერის პროცესს. გარდა ამისა, რო-  
მანის დაწერას უფრო დიდი და მრავალფე-  
როვანი გამოცდილება სჭირდება, როგორც  
ფიზიური, ისე ემოციური თვალსაზრისით.  
თავდაპირველად რომანის დაწერაზე ერთი  
მწერლის ნათქვამა დამაფიქრა. მან მითხა,  
რომ მხოლოდ რომანით შეგიძლია აჩვენო, სი-  
ნამდვილეში რა შეგიძლია, რადგან მწერლის-  
თვის ნამდვილი გამოცდა სწორედ რომანის  
დაწერაა. შემომთავაზა, სცადეო და თითქოს  
გადატრიალება მოახდინა ჩემს გონებაში,  
რომ ამჯერად დავფიქრებულიყავი მაინც.  
ნოველების წერა სხვა პრობლემებთანაა და-  
კავშირებული. ისე ჩანს, რომ მათი დაწერა  
ადვილია. მე კი, მაგალითად, ექვს თვეში ან  
თუნდაც ერთ წელიწადში ერთ კარგ მოთ-  
ხრობას თუ დავწერ ხოლმე, ვფიქრობ, რომ  
ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გავაკეთე.

დღეს ირანელი მწერალი ქალების  
რიცხვი ცოტა აღარ არის. ამ ავტორებმა  
თავიანთი ადგილი დაიმკვიდრეს და მათ შე-  
მოქმედებას საერთაშორისო დონეზეც კი  
განიხილავენ. ყოველთვის საუბრობდნენ  
ირანელი მწერალი ქალების წინაშე არსე-  
ბულ დაბრკოლებებზე, რომლებიც ზოგა-  
დად მათ საქმიანობას და, ასევე, ლიტერა-  
ტურის სამყაროში თავის წარდგენას შეეხე-  
ბოდა. როგორ ფიქრობთ, ჩვენი მწერალი ქა-

<sup>1</sup> ფარიბა ვაფის რომანი, გამოიცა 2002 წელს თეირანში.

**ლები დღესაც იმავე სირთულეების წინაშე დგანან?**

შეიძლება, სადმე თანაბარი შესაძლებლობები მიეცათ, ან მათი ტექსტები უფრო მეტად მოექცა ყურადღების ცენტრში, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მათ წინაშე არსებული დაბრკოლებები შემცირდა. ჩვენს მწერალ ქალებს წერის გარდა სხვა პასუხისმგებლობები და მოვალეობებიც აქვთ. ამ საზოგადოებაში მწერლობა ისევ არ დგას შესაბამის სიმაღლეზე და, როგორ წესი, ადამიანებს არ აქვთ ზუსტი წარმოდგენა ამ მეტად სერიოზულ საქმეზე. თავი დავანებოთ იმას, რომ ჯერ კიდევ ბევრი ტაბუ არსებობს. ამას გარდა, ვფიქრობ, დღესაც ისევ სიმამაცე და გამბედაობა სჭირდება საკუთარ რეალურ გრძნობებზე წერას და მწერალს ამისთვის საფასურის გადახდა უწევს. ჩემი აზრით, ქალებისთვის უფრო რთულია როგორც ზოგადად წერა, ისე მათთვის სასურველი თემატიკის შერჩევა.

**ფიზიკური თუ მენტალური თვალსაზრისით?**

ვგულისხმობ როგორც ფიზიკური, ისე მენტალური თვალსაზრისით არსებულ სირთულეებს.

**ასეთი რა პროფესიული საჭიროებებია, რაც ჩვენს მწერალ ქალებს არ აქვთ?**

უკვე ბევრი რამ ითქვა პროფესიონალიზმზე, ეს უკვე გარკვეულია. გარდა ამისა, უნდა შეგეძლოს წერის საშუალებით ცხოვრება; შესაფერისი სივრცე უნდა გქონდეს სამუშაოდ; არ გაწუხებდეს ფინანსური და ჯანმრთელობის პრობლემები; თავისუფლებისა და უსაფრთხოების განცდა უნდა გქონდეს და წუხილი და შფოთვა ხელს არ უშლიდეს შენს საქმეს; საჭიროა, გარშემომყოფები შენს საქმეს სერიოზულად აღიქვამდნენ.

**მე ვფიქრობ, რომ სიჯიუტე და შეუბორობა არის საჭირო. შეიძლება, ბევრმა ჩვენმა ქალმა მწერალმა სწორედ ამიტომ მიატოვა თავისი საქმე.**

წერა სერიოზული და სასიამოვნო საქმეა, მაგრამ, თუ მასთან დაკავშირებული სირთულეები ძალიან მომრავლდება, მწერალს აუცილებლად გაუცრუდება იმედი და თავისი საქმის გაგრძელებას ვეღარ შეძლებს. ასეთ ატმოსფეროში სრულიად არ არის ადვილი შემოქმედებითი თვალსაზრისით ზრდა. მუშაობის მოტივაციაც იკლებს, საქმეს თავი რომც არ დაანებონ, მაინც ცოტას წერენ. ყოველთვის ისე არ ხდება, რომ მწერალმა თავის წარმოდგენებზე დაყრდნობით წეროს.

**ამ საქმის კიდევ ერთი ასპექტი ეკონომიკური ფაქტორია. დღეს თქვენ წარმატებულ მწერლად ითვლებით. ფინანსური თვალსაზრისით. თქვენმა საქმემ მოგცათ იმის შესაძლებლობა, რომ მხოლოდ პროფესიონალი მწერალი იყოთ?**

არა, რა თქმა უნდა. ჩემი წიგნების სხვადასხვა ტირაჟით გამოცემამ და აქედან მიღებულმა შემოსავალმა შესაძლებლობა მომცა, თავი დამენებებინა იმ საქმეებისთვის, რომელთაც მხოლოდ ფინანსური საჭიროებისთვის ვაკეთებდი, მაგრამ ეს თანხა იმდენი არ იყო, რომ ფინანსური დამოუკიდებლობის შესაძლებლობა მოეცა.

**თქვენი რამდენიმე წიგნი სხვა ენებზეც არის ნათარგმნი. არ ფიქრობთ, რომ, თავად ამ რომანის თუ მოთხოვობების ლიტერატურული ლირებულების გარდა, ირანელი ქალებისადმი ინტერესიც განაპირობებს ამ თარგმანებისადმი უცხოელი მკითხველების ინტერესს?**

რამდენადაც ვიცი, ორივე მიზეზია. ანუ მთარგმნელი ან უცხოური გამომცემლობა ისეთი ტექსტებით არ ინტერესდება, რომლებიც მხოლოდ ირანის მდგომარეობის, განსაკუთრებით კი ქალების ყოფის შესახებ ყვება. ამასთანავე, საჭიროა, რომ ეს ნაწარმოებები სერიოზულ ლიტერატურად ითვლებოდეს, ქვეყნის შიგნით ყურადღების ცენტრში იყოს და მკითხველები და კრიტიკოსები ჰყავდეს. მეორე მხრივ, არ ვიცი, მათთვის რამდენად საინტერესოა ისეთი ტექსტები, რომელთა შესრულების ტექნიკა და ფორმა კარგია, მაგ-

რამ სოციალურ თემატიკას არ ასახავენ.

უკვე ოცდაათ წელზე მეტია, წერთ. შეგიძლიათ მითხრათ, რას გრძნობთ ახლა, როცა განვლილ გზას იხსენებთ?

დღეს, როცა უკან ვიხედები, წერის გარეშე საკუთარი ცხოვრების წარმოდგენა არ შემიძლია. ჩემთვის მწერლობა პატარა მშვიდი თავშესაფარია, სადაც ვემალები სამყაროს ხმაურს, შფოთვასა და სტრესს და მერე იქიდან უფრო მეტი ენერგიით აღვისილი გამოვდივარ გარეთ. ჩემთვის მწერლობა მხოლოდ ერთგვარი წამალი არ ყოფილა, რომლითაც სულიერ ტკივილებს დავიამებდი, მას ჩემთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან მომცა შესაძლებლობა, სამყარო სხვა თვალით დამენახა და, მინდა გითხრათ, რომ ამის გამო ყოველთვის მადლიერი ვიყავი. თუმცა, მეორე მხრივ, ეს მარტივი არ ყოფილა, თავდაპირველად მას ისე აღვიქვამდი, როგორც ბავშვს, რომელიც, მართალია, მიყვარდა, მაგრამ არ შემეძლო მასზე ზრუნვა და მისი დაცვაც კი. ის იყო ბავშვი, რომლის ყოლა ხანადახან მტანჯავდა კიდეც და მას ვმალავდი. არც პირადობის მოწმობა ჰქონდა,

არც არაფრად ითვლებოდა. ზოგჯერ მზად ვიყავი, მიმეტოვებინა. ეჭვი, რომ საერთოდ ველარ შევძლებდი გაგრძელებას და, ასევე, ცხოვრების სხვა სირთულეები წერისთვის თავის დანებებისკენ მიბიძგებდა, მაგრამ არ გამოვიდა. ჩემი დღეები და ლამეები სიბნელემ მოიცვა. ისევ მივუბრუნდი მას და მეც მასთან ერთად გავიზარდე. სინამდვილეში, ჩვენ ერთმანეთისგან მივიღეთ საჭირო ძალა და გავაგრძელეთ.

ახლა წერასთან დაკავშირებული თავდაპირველი პრობლემები უკვე აღარ მაქვს. მხოლოდ თავად წერის პროცესზე ვლელავ და კიდევ იმ რაღაცებზე, რაზეც ვწერ. წერაში გატარებული მრავალი წელი დამეხმარა, რომ ეს თავდაპირველი დაბრკოლებები გადამელახა და ჩემთვის სხვა საზღვრებს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. შევძლებ, რომ, რაც მინდა, ის დავწერო? ხანდახან მგონია, რომ ყველაფერი, რაც დავწერე, ზედაპირული იყო და მინდა, ჩემმა კალამმა ისეთი ძალა შეიძინოს, რომ ცხოვრების სიღრმეში ჩავყვინთ, მისი ხეეულები გამოვიკვლიო და ამაზე დავწერო.

სპარსულიდან თარგმნა  
ანი ლაზვაშვილმა

## სარჩევი

### არაპული ლიტერატურა

მურიდ ალ-ბარლუთი, ლექსები. თარგმანი ნინო დოლიძისა	7
ჰუდა ბარაქათი, ნაწყვეტები რომანიდან „ლამეული ფოსტა“.	
თარგმანი დარეჯან გარდავაძისა	12

### თურქული ლიტერატურა

იუნუს ემრე, ჩემი გესმათ... თარგმანი მაყვალა ხარებავასი და ია სულაპერიძისა	27
მემდუჭ შევქეთ ესენდალი, ორი ნოველა, თარგმანი ასმათ ჯაფარიძისა	28
გიულთენ აკინი, ლექსი დამსხვრეულ ქალებს. თარგმანი მაყვალა ხარებავასი და ეთერ სადაღაშვილისა	33
ჰალიდე ნესრეთ ზორლუთუნა, წადი, გამეცალე, გაზაფხულო. თარგმანი მაყვალა ხარებავასი და ეთერ სადაღაშვილისა	34
აზიზ ნესინი, ეროვნული სტუმართმოყვარეობა. თარგმანი მერი წიკლაურისა	35
თურქი პოეტები (სენურ სეზერი, ათაოლ ბეჰრამოლლუ, მურათპან მუნგანი). თარგმანი მაყვალა ხარებავასი და ია სულაპერიძისა	39

### სომხური ლიტერატურა

გურგენ ხანჯიანი, ვირთხა. თარგმანი ასია დარბინიანისა	45
---	----

### სპარსული ლიტერატურა

სადეყ ჰედაიათი, სამი წვეთი სისხლი. თარგმანი მარიკა ბახტაძისა	55
ჰუშანგ მორადი-ქერმანი, ჩექმა. თარგმანი თინათინ წიკლაურისა	62

<b>აბას საფარი,</b> ბეჭეშთე ზაპრაზე დაკრძალვის გზამკვლევი. ბუდა არ ვიყავი.	
თარგმანი თეა შურლაიასი.....	69
 პალიტრამები. თარგმანი თეა შურლაიასი.....	72
ფარიბა ვაფი, ვილის გზაზე. თარგმანი ანი ლაზვიაშვილისა.....	76
მოჟღე დაყიყი, ინტერვიუ ფარიბა ვაფისთან. თარგმანი ანი ლაზვიაშვილისა .....	83

ყდაზე

ტირაჟი

რედაქტორი

593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com

სწავლული მდივანი

599160619; E-mail: nanio02@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com